

---

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა  
და განვითარების ცენტრი**

**შინაარსი**

გრიგოლ ფანცულანია შიდა კაღები .....	<b>2</b>
დავით ამაღლობელი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი .....	<b>9</b>
დავით ლომიკა საქართველოს საბანკო სისტემა .....	<b>20</b>
დავით ლომიკა გიორგი ბარაბაქაძე ეკონომიკური მიმოხილვა.....	<b>43</b>

თბილისი

# შიდა ვალეპი

გრიზოლ ფანცულია

დღევანდელ საქართველოში ძალზედ აქტუალურ საკითხად წარმოგვიდგება ქვეყნის საშინაო ვალეპი. შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი ბევრად უფრო აინტერესებს საზოგადოებას, რადგან უმეტეს შემთხვევაში პირდაპირი კავშირი აქვს მათ ჯიბესთან.

## შიდა ვალის სტრუქტურა ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის დაზუსტებული

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით შეუძლებელია შიდა ვალზე, როგორც ერთიან კონკრეტულ თანხაზე საუბარი. ეს განპირობებულია არა მარტო იმით, რომ შეუძლებელი გახდა შიდა ვალის ცალკეულ პუნქტებში შემავალი თანხის მოცულობის განსაზღვრა, არამედ იმით, რომ ჯერჯერობით სახელმწიფომ ვერ შეძლო შიდა ვალის სტრუქტურის განსაზღვრა, ე.ი. ჯერ არ არის საბოლოოდ განსაზღვრული, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს შიდა ვალად და რა არა.

შიდა ვალის მნიშვნელოვან პუნქტს, სახელმწიფოს ერთ-ერთ გარდაუვალ ფინანსურ პრობლემას,

რომელიც მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმს უკავშირდება და ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია დღესდღეობით, ყოფილი სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოქალაქეთა ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრები წარმოადგენს.

1993 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით მოქალაქეთა ანაბრებზე რიცხული ფულადი ნაშთების მოცულობამ 27 250 მილიონი კუპონი შეადგინა, რომელიც ირიცხებოდა 4 450 ათას საანაბრო ბარათზე (იხ. ცხრ. N 1).

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მანეთის კუპონით და შემდეგ კუპონის ლარით შეცვლის პერიოდში სახელმწიფოს მიერ გადაცვლის თანაფარდობა შეადგენდა: 1 მან. — 1 კუპონზე, ხოლო 1 000

## ანაბრებზე რიცხული თანხების დღევანდელი ღირებულება დაახლოებით 13 949 მილიონ ლარს შეადგენს

000 კუპონი — 1 ლარზე, აღმოჩნდება, რომ დღევანდელი მდგომარეობით, 1993 წლის 3 აგვისტომდე სა-

ცხრილი N 1

მოქალაქეთა ანაბრებზე რიცხული თანხები

წლები	ანაბრებზე რიცხული თანხა წლის ბოლოსათვის მილიონებში	ანაბრებზე რიცხული თანხის ნაზარდი წლების მიხედვით, მილიონებში		
		სულ	მათ შორის	
			სოციალურად დაუცველი მენაბრეები	დანარჩენი მენაბრეები
1985	4 864	4 864	1 216	3 648
1989	6 893	2 029	507	1 522
1990	8 103	1 210	303	907
1991	12 156	4 053	1 013	3 040
1992	20 018	7 862	1 966	5 896
1993 წ. 03.08	27 250	7 232	1 808	5 424

ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე

ცხრილი N 2

ანაბრებზე რიცხული თანხების დღევანდელი ღირებულება

წლები	ანაბრებზე რიცხული თანხის ნაზარდი წლების მიხედვით მილიონებში	საქართველოში მოქმედი ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში	ანაბრების ღირებულება მილიონ დოლარებში	ანაბრების რეალური ღირებულება მილიონ ლარებში
1985	4 864	0,66 მან. — 1 დოლ.	7 369,7	9580,6
1989	2 029	1 მან. — 1 დოლ.	2 029	2637,7
1990	1 210	2 მან. — 1 დოლ.	605	786,5
1991	4 053	6 მან. — 1 დოლ.	675,5	878,15
1992	7 862	191 მან. — 1 დოლ.	41,16	53,5
1993 წ. 03.08	7 232	751 მან — 1 დოლ	9,6	12,5
<b>სულ</b>	<b>27 250</b>		<b>10729,96</b>	<b>13948,95</b>

ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე

ქართველოს მოსახლეობის მიერ გამომუშავებულმა და ბანკში ჩადებულმა თანხამ შეადგინა მხოლოდ 27 250 (ოცდაშვიდიათას ორას ორმოცდაათი) ლარი.

რა თქმა უნდა ცხადია, რომ ეს ციფრი რეალურობისაგან ძალიან შორსაა. მართალია დღესდღეობით მეტად რთულია ზუსტად გამოიანგარიშო მოსახლეობის მიერ ანაბრებზე შეტანილი თანხის რეალური ღირებულება, მაგრამ მიახლოებითი გათვლებით ეს თანხა 13 949 მილიონი ლარის ფარგლებში მერყეობს (იხ. ცხრ. N 2). მართალია ეს ციფრი არ ასახავს ზუსტად ანაბრებზე არსებული რეალური თანხის მოცულობას, მაგრამ მიახლოებით ნარმოდგენას მაინც გვიქმნის ამ მხრივ.

საქართველოს მთავრობამ 1995 წლიდან დაიწყო

ციის პროცესი 2000 წლისათვის არა მარტო არ დამთავრდება, არამედ შეიძლება დაწყებულიც არ იყოს.

შიდა ვალის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია საქართველოს მთავრობის დავალებით ქვეყნის სანარმოებისა და ორგანიზაციების მიერ თურქმენეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის სანაცვლოდ გადატვირთული და გადასატვირთი პროდუქციის ანაზღაურებაში არსებული დავალიანება. 1998 წლის 1 იანვრისათვის ორგანიზაციებისადმი სახელმწიფოს შიდა ვალი შეადგენდა 3,369 მილიონ ლარს, რომელთაგან 1,5 მილიონის გასტუმრება 1998 წლის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივ აირში პროდუქ-

**ცხრილი N 3**

**ანაბრებზე რიცხული თანხების ინდექსაციის მეთოდი**

წლები	პირველ 1000 მანეთზე (კუპონზე)		დანარჩენ ყოველ 100 მანეთზე (კუპონზე)	
	ინდექსაციის კოეფიციენტი	ინდექსირებული თანხა (ლარებში)	ინდექსაციის კოეფიციენტი	ინდექსირებული თანხა (ლარებში)
01.01.92	0.1	100	0.01	10
01.01.93	0.01	10	0.002	2
03.08.93	0.002	2	0.001	1

მუშაობა ანაბრების ინდექსაციის საკითხზე და 1997 წლის ბოლოსათვის შემუშავებული იქნა მექანიზმი,

**ანაბრების ინდექსაციისათვის გამოყოფილი თანხა მათი რეალური ღირებულების 3,6 %-ია**

რომლის მიხედვითაც მოხდება მოსახლეობის მიერ ანაბრებზე შეტანილი თანხის განაღდება (იხ. ცხრ. N 3).

მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციისათვის ფინანსთა სამინისტროს 502 მილიონი ლარი აქვს მოთხოვნილი, რაც ანაბრებზე რეალურად არსებული თანხის 3,6 პროცენტს შეადგენს. შემუშავებული მექანიზმის მიხედვით გათვალისწინებულია ჯერ „სახელობით“ ანაბრებზე რიცხული თანხის, ხოლო შემდეგ „ნარმოდგენზე“ ანაბრების ინდექსაცია.

ინდექსაციის პროცესი 2000 წლისათვის უნდა დამთავრდეს. თუმცა საკვირველია საქართველოს დეფიციტურმა ბიუჯეტმა სად უნდა გამოიხოს სამ წელიწადში 502 მილიონი ლარი (აქედან 492 მილიონი ბოლო ორ წელიწადში). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1997 წელს სოციალურად ყველაზე დაუცველ მენაბრეთა (პირველი კატეგორიის ინვალიდები) „სახელობით“ ანაბრების ინდექსაციისათვის გამოყოფილი 5 მილიონი ლარი არ დახარჯულა (წლის ბოლოსათვის „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ გადაერიცხა მხოლოდ 500 ათასი ლარი) და ასეთივე სიტუაციაა ჯერჯერობით წელსაც (ამ განცხადების გაკეთების საშუალებას იძლევა ფინანსთა სამინისტროში ინდექსაციის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის არ არსებობა), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი ტემპების მქონე ინდექსა-

ციის გადატვირთვის შედეგად ნარმოქმნილი სახელმწიფო ვალის 3,369 მილიონი ლარით შემოფარგვლა გარკვეულ ეჭვს იწვევს, რადგან ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა რაოდენობის ბუნებრივი აირი იქნა მოწოდებული კონკრეტულად გადატვირთული პროდუქციის საფასურში და არც სახელმწიფოს კრედიტორი ორგანიზაციების ზუსტი ნუსხა არსებობს. მოცემული თანხის დადგენა მოხდა მხოლოდ იმ განცხადებების საფუძველზე, რომელიც ორგანიზაციებმა გააკეთეს, მათ მიერ ბუნებრივი აირის საფასურში პროდუქციის გადატვირთვის თაობაზე.

შიდა ვალის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მი-

**ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის სანაცვლოდ გადატვირთული და გადასატვირთი პროდუქციის ანაზღაურებაში არსებული დავალიანება დადგინდა ისე, რომ არ არის განსაზღვრული კრედიტორ ორგანიზაციათა ზუსტი სია.**

ერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილებაში ანგარიშზე რიცხული თანხები, რომელთა ეტაპობრივი ანაზღაურებისათვის გამოყოფილია შესაბამისად ფიზიკური პირებისათვის 1,5 მლნ ლარი და იურიდიულ პირთათვის 8,7 მლნ ლარი.

ფიზიკურ პირთა ანგარიშებზე რიცხული თანხების ინდექსაცია 1997 წლიდან უნდა დაწყებულიყო, რისთვისაც ბიუჯეტში 300 ათასი ლარი იქნა გამოყოფილი. ინდექსაცია უნდა მომხდარიყო შემდეგი წესით:

— თანხა 100 დოლარის ჩათვლით ანაზღაურდება მთლიანად.

— თანხა 100 დოლარის ზევით ანაზღაურდება 20 %-ის ოდენობით.

— ანაზღაურება უნდა მომხდარიყო ეროვნულ ვალუტაში კურსით 1 დოლარი — 1,3 ლარი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ შარშან ბიუჯეტში ინდექსაციისათვის გამოყოფილი 300 ათასი ლარი არ დახარჯულა და ჯერ გაუგებარია, თუ რა

ლარი შეადგინა.

წლებანდელი ბიუჯეტით გათვალისწინებულია, რომ ეროვნული ბანკიდან აღებული ზღვრული სესხების მოცულობა გაიზარდოს 54 მილიონი ლარით, ხოლო საერთოდ ვალის მომსახურებისათვის 40 მილიონი ლარია გამოყოფილი.

ქვეყნის შიდა ვალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილ მთავრობის დავალიანებას. ეს ის ფასიანი ქაღალდებია, რომლებიც უნდა გადაცვლილიყო სსრკ-ს დროინელ ე.წ. „სამპროცენტინ“ ობლიგაციებში.

1992 წელს საქართველოში გამოშვებული იქნა 5 მილიარდი მანეთის ოდენობის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები ათი წლის ვადით. ყოფილი შემნახველი ბანკის ცნო-

**სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განკის მიერ ბლოკირებული ამავე განკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული თანხების გამო სახელმწიფოს ვალი 10,2 მილიონ ლარს შეადგენს და მათი დაბრუნება ეჭვქვეშაა.**

ბედი ეწევა წლებანდელ ბიუჯეტში ფიზიკური და იურიდიული პირების ბლოკირებულ ანაზღაურების ინდექსაციისათვის გამოყოფილ შესაბამისად 100 ათას და 200 ათას ლარს.

არსებული სიტუაცია აქაც არ იძლევა ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთების საშუალებას, რომ ეს თანხები წელს მაინც დაიხარჯება, რადგან არც ერთი ანგარიში განუული სამუშაოს შესახებ, რომელიც უნდა წარედგინოს ყოველი თვის ბოლოს ფინანსთა სამინისტროს, ჯერ არ არსებობს, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამ მხრივ ჯერ არაფერი გაკეთებულა.

ამრიგად, 10,2 მილიონი ლარი სახელმწიფოს ჯერ კიდევ ვალი აქვს სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული ამავე განკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული თანხების გამო.

შიდა ვალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ ამ განკის საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფოს საგარეო ვალის ანგარიშში ჩამონერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება. ამ ვალის მოცულობა ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით 585 ათასი ლარის ფარგლებში მერყეობს, მისი ეტაპობრივი ანაზღაურებისათვის კი 400 ათასი ლარია გამოყოფილი, რომელთაგან 200 ათასი 1998 წლის ბიუჯეტშია გათვალისწინებული.

ქვეყნის შიდა ვალის უმნიშვნელოვანეს პუნქტს თავისი მოცულობით შეადგენს საქართველოს მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებული სესხი და მისი მომსახურების ხარჯები.

სხვა ზემოთ მოყვანილ შიდა ვალების პუნქტებისაგან განსხვავებით ამ ვალს ზრდის ტენდენცია ახასიათებს და ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ცხადყოფს, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნებული იქნება რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც. მაგრამ აუცილებელი აღნიშვნის ღირსია, რომ ეს ზრდის ტემპი ყოველწლიურად მცირდება.

საქართველოს მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებული სესხების ზღვრულმა მოცულობამ 1998 წლის დასაწყისისათვის 384,2 მილიონი ლარი შეადგინა. ვალის მომსახურების ხარჯებმა კი 1997 წელს 26,8 მილიონი ლარი. მაშასადამე, მთავრობის საერთო ვალმა ეროვნული ბანკიდან 411 მილიონი

**საქართველოს მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებულმა სესხმა 411 მილიონი ლარი შეადგინა, წლის ბოლოსათვის კი კიდევ მინიმუმ 94 მილიონით გაიზარდა**

ბით, 1992-94 წლებში რეალიზებული იქნა 5 811 395 000 კუპონის ობლიგაცია (კუპონი, რადგან 1993 წელს კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების შემდეგ, ყოველგვარი ინდექსაციის გარეშე ხუთი მილიარდი მანეთის ღირებულების ობლიგაცია გადაიქცა ხუთი მილიარდი კუპონის ფასიან ქაღალდად), აქედან შესყიდული იქნა 1 188 446 000 კუპონის ობლიგაცია. გათამაშებული იქნა 2 171 400 000 ოდენობის მოგება, რომლიდანაც განაღებული იქნა 359 457 000 კუპონის.

მაშასადამე, დღესდღეობით საქართველოს მთავრობის ვალი ამ ობლიგაციების მიხედვით შეადგენს 6 434 892 000 კუპონს (4 622 949 000 კუპონის ძირითადი თანხა და 1 811 943 000 მოგებასხვედრილი ობლიგაციების თანხა).

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მთავრობას ობლიგაციებთან დაკავშირებით ინდექსაცია არ მოუხდენია, ოფიციალური გაცვლითი კურსით (1 000 000 კუპონი — 1 ლარი) გადაანგარიშებისას საქართველოს მთავრობის ვალი ობლიგაციების მფლობელებისადმი შეადგენს 6 435 ლარს.

ობლიგაციებით წარმოქმნილი ვალის 6 435 ლა-

**ცხრილი N4  
ობლიგაციების ინდექსაციის მექანიზმი**

თანხა კუპონებში	გასაცემი თანხა ლარებში	
1	1 000 000	20
2	500 000	10
3	250 000	5
4	100 000	2
5	75 000	1.5
6	50 000	1
7	10 000	0.2
8	5 000	0.1
9	1 000	0.02

რით შემოფარგვლა ნამდვილად არარეალურია. ეს ფაქტი მთავრობამაც აღიარა და შემუშავებული იქნა ობლიგაციების ინდექსაციის მექანიზმი (იხ. ცხრ. N4).

ინდექსაციის შედეგად ობლიგაციათა მფლობელთა მიმართ სახელმწიფოს დავალიანებამ 130 ათასი ლარი შეადგინა. რა თქმა უნდა ეს თანხა გაცი-

და. 1998 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სახაზინო ვალდებულებების ქვეყნის ბიუჯეტის 32 მილიონი ლარით შევსება, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ეს ციფრი არარეალურად გვევლინება.

მიუხედავად დადებითი ფაქტორებისა, სახაზინო ვალდებულებები მაინც წარმოადგენს შიდა ვალის ზრდის ერთ-ერთ ნყაროს. 1997 წელს სახაზინო ვალ-

ცხრილი N 5

**ობლიგაციებით სახელმწიფოს ვალის რეალური მოცულობა (მილიონ ლარებში)**

წელი	რეალიზებული ობლიგაციები	უკან დაბრუნებული	დარჩენილი	კურსი დოლართან	ღირებულება დოლარებში	ღირებულება ლარებში
1992	150.000	1.158	148.842	450	0.33	0.433
1993	2 846.392	1 181.537	1 664.855	10 000	0.166	0.216
1994	2 800.000	—	2 800.000	150 000	0.187	0.243
*	2 171.400	359.457	1 811.943	100 000	0.018	0.023
<b>სულ</b>	<b>7 967.792</b>	<b>1 542.152</b>	<b>6 434.892</b>		<b>0.701</b>	<b>0.911</b>

ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე

**ობლიგაციების ინდექსაციისათვის გამოყოფილი თანხა მათი რეალური ღირებულების დაახლოებით 14%-ს შეადგენს.**

ლებით მეტია 6 435 ლარზე, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ვალის რეალურ მოცულობას, რომლის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ მიახლოებით 911 ათას ლარს შეადგენს (იხ. ცხრ. N5).

ობლიგაციების ინდექსაციისათვის გამოყოფილი თანხა მათი რეალური ღირებულების დაახლოებით 14%-ს შეადგენს.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ობლიგაციების ინდექსაციის პროცესი „წარმატებით“ ჩაივლის, რადგან 130 ათასის ღირებულების ობლიგაციის განაღდებასთან ერთად 70 ათასი ორგანიზაციულ საკითხებზეა გამოყოფილი.

**სახაზინო ვალდებულებები შიდა ვალის ერთადერთი პუნქტია, რომლის ზრდაც ჯერჯერობით დადებით მომენტად შეიქცევა ჩაითვალოს.**

სახაზინო ვალდებულებებით შიდა ვალის ზრდის ნეგატიური მხარეები ჯერჯერობით მთლიანად გადანონის მის პოზიტიურ მხარეებს. კერძოდ, სახაზინო ვალდებულებები გვევლინება ბიუჯეტის დეფიციტის შევსების ერთადერთ არაინფლაციურ ნყაროდ. მათი საშუალებით 1997 წლის ბიუჯეტის დეფიციტი შეივსო 5 822 287 ლარით.

მართალია ეს მეტად მცირე თანხაა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ სახაზინო ვალდებულებების ინსტიტუტი 1997 წლის აგვისტოდან ამოქმედ-

დებულებებმა 5,8 მილიონით ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვასთან ერთად, 6 415 600 ლარის შიდა ვალდებულება წარმოქმნა. მარტის დასაწყისისათვის (4 მარტის 91 დღიანი აუქციონის შემდეგ) დაუფარავმა ვალდებულებამ 6 316 000 ლარი შეადგინა. წლის ბოლოსათვის კი (თუ მოხერხდა 32 მილიონით ბიუჯეტის შევსება) ეს თანხა 40 მილიონს გადააჭარბებს.

სახაზინო ვალდებულებებთან მიმართებაში სა-

**სანგრძლივი მოსაზრებალი საშუაოების შემდეგ, 21 აგვისტოდან ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო სახაზინო ვალდებულებების განთავსება. ეს ერთადერთი პუნქტია შიდა ვალის სტრუქტურაში, რომლის ზრდაც ჯერჯერობით დადებით მომენტად შეიქცევა ჩაითვალოს.**

ბოლოოდ ერთის თქმა შეიძლება, არც ბიუჯეტის შევსებისას 5,8 მილიონით და არც 6,4 მილიონ დაუფარავ ვალდებულებას იმდენი მნიშვნელობა ჯერჯერობით არა აქვს, რამდენიც თავად ამ სახაზინო აუქციონების შემოღების ფაქტს, კერძოდ იმ გამოცდილებას, რომელიც დაუგროვდათ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ფასიან ქალაქთან მიმართებაში, რაც ძალზე აუცილებელია დღევანდელი საქართველოსათვის.

ამრიგად, 1998 წლის 1 იანვრისათვის საქართვე-

**სახაზინო ვალდებულებებით წარმოქმნილმა შიდა ვალმა 6,316 მილიონი ლარი შეადგინა და დაგეგმილია, რომ ეს თანხა წლის ბოლოსათვის 40 მილიონამდე გაიზარდოს.**

ლოში ოფიციალურად აღიარებული შიდა ვალის მოცულობამ შეადგინა 933.21 მილიონი ლარი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრები არ ასახავს რეალურ სურათს. მასში არ შედის ისეთი პუნქტები, როგორცაა:

\* მოგებახვედრილი ობლიგაციები.

ცხრილი N 6

1997 წელს გამომუშავებული სასაზღვრო ვალდებულებების აუსციონერების შედეგები

აუსციონის ჩატარების თარიღი	1998 წელი													
	21.08.97	18.09.97	16.10.97	6.11.97	13.11.97	20.11.97	4.12.97	11.12.97	18.12.97	14.01.98	04.02.98	11.02.98	18.02.98	04.03.98
ეგისის ვადა	28	28	28	91	28	91	91	28	91	28	91	28	91	91
ღაფარვის ვადა	18.09.97	16.10.97	13.11.97	05.02.98	11.12.98	19.02.98	05.03.98	08.01.98	19.03.98	11.02.98	06.05.98	11.03.98	20.05.98	03.06.98
სე-ს სპროცენტო განაკვეთი	30.00%	23.82%	30.19%	36.27%	32.47%	37.10%	46.76%	44.51%	44.03%	35.41%	40.47%	35.81%	43.42%	42.20%
გამოცხადებული ემისიის მოცულობა	1,000,000	1,250,000	2,500,000	1,000,000	2,750,000	1,100,000	1,000,000	2,900,000	800,000	1,800,000	1,200,000	2,000,000	1,350,000	1,350,000
განთავსებული ემისიის მოცულობა	1,000,000	1,250,500	2,500,000	1,000,000	2,750,500	1,099,800	1,000,000	2,899,800	416,000	1,800,000	1,200,000	2,000,000	1,350,000	1,350,000
ნაზარდი ჯამი	1,000,000	2,250,500	4,750,500	5,750,500	8,501,000	9,600,800	10,600,800	13,500,600	13,916,600	15,716,600	16,916,600	18,916,600	20,266,600	21,616,600
შემოსავალი აუსციონიდან	977,199	1,227,756	2,442,642	916,020	2,682,749	1,005,493	894,309	2,802,774	374,345	1,751,815	1,088,689	1,945,766	1,216,523	1,219,860
ნაზარდი ჯამი	977,199	2,204,955	4,647,597	5,563,617	8,246,366	9,251,859	10,146,168	12,948,942	13,323,287	15,075,102	16,163,791	18,109,557	19,326,080	20,545,940
დისკონტის მოცულობა	22,801	22,744	57,358	83,980	67,751	94,307	105,691	97,026	41,656	48,185	111,311	54,234	133,477	130,140
ნაზარდი ჯამი	22,801	45,545	102,903	186,883	254,634	348,941	454,632	551,658	593,313	641,499	752,810	807,044	940,520	1,070,660
ბიუჯეტის შევსება	977,199	227,756	1,192,142	916,020	182,749	1,005,493	894,309	52,274	374,345	(1,147,985)	88,689	145,766	116,723	219,860
ნაზარდი ჯამი	977,199	1,204,955	2,397,097	3,313,117	3,495,866	4,501,359	5,395,668	5,447,942	5,822,287	4,674,302	4,762,991	4,908,757	5,025,480	5,245,340
ბალანსი ბიუჯეტიდან										(1,147,985)	(1,059,296)	(913,530)	(796,807)	(576,947)
ნაზარდი ჯამი	977,199	1,204,955	2,397,097	3,313,117	3,495,866	4,501,359	5,395,668	5,447,942	5,882,287	4,674,301	4,762,989	4,908,755	5,025,480	5,245,340
ვალის მომსახურების ხარჯები		1,000,000	1,250,500		2,500,000			2,750,500	2,899,800	1,000,000	1,800,000	1,099,800	1,000,000	
ნაზარდი ჯამი	1,000,000	1,250,500	2,250,500	4,750,500	4,750,500	4,750,300	7,501,000	7,501,000	10,400,800	11,400,800	13,200,800	14,300,600	15,300,600	
დაუფარავი სხვ	1,000,000	1,250,500	2,500,000	3,500,000	3,750,500	4,850,300	5,850,300	5,999,600	6,415,600	5,315,800	5,515,800	5,715,800	5,966,000	6,316,000
დისკონტის ნაწილი ვალის მომსახურების ხარჯებში		22,801	22,744		57,358			67,751		97,026	83,980	48,185	94,307	105,691
ნაზარდი ჯამი		22,801	45,545	45,545	102,903	102,903	102,903	170,654	170,654	2,667,681	351,661	399,846	494,153	599,844
აუსციონის N	1	2	3	4	5	6	7	8	9	1	2	3	4	5



... ყოფილი სსრკ-ს 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულება.

... კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავ-

კირებული, ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება.

**დღეისათვის არსებული მონაცემებით შიდა ვალის რეალური მოცულობა 14 381.281 მილიონ ლარია**

შირებული სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები.

... მუნიციპალურ სანარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაკმაყოფილებით წარმოქმნილი ვალდებულება.

... მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღებლობით წარმოქმნილი დავალიანება.

... ყოფილი სსრკ „ინდუსტრია ბანკის“ მიერ ბლო-

ეს გამონვეულია იმით, რომ ამ პუნქტების მიხედვით შიდა ვალის მოცულობა ჯერ არ არის ოფიციალურად დაანგარიშებული და ვინ იცის კიდევ რამდენით გაიზრდება ქვეყნის შიდა ვალი. პუნქტები, რომლებიც დაანგარიშებულია შიდა ვალის სახით, არ არის გათვალისწინებული თავისი რეალური ღირებულებით. როგორც N7 ცხრილი ცხადყოფს, რეალური ციფრები შიდა ვალის მოცულობას 14 381.281 მილიონ ლარამდე ზრდის (ეს ციფრები არ აცხადებს პრეტენზიას აბსოლუტურ სისწორეზე, მაგრამ უფრო ახლოსაა რეალობასთან), რაც ბევრად უფრო სავალალო სურათს ქმნის.

ცხრილი N 7

**სახელმწიფოს შიდა ვალი**

დასახელება	ვალის რეალური მოცულობა	ინდექსაციისთვის გამოყოფილი თანხა	1998 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული	ვალი 1998 წლის ბოლომდე	
				ინდექსაციისთვის	რეალურად
1 ყოფილი სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოქალაქეთა ანაზღაურებზე რიცხული ფულადი სახსრები	13 948.9	502	5	497	13943.9
2 ქვეყნის სანარმოებისა და ორგანიზაციების მიერ თურქმენეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის სანაცვლოდ და გადატვირთული და გადასატვირთი პროდუქციის ანაზღაურებაში არსებული დავალიანება	3.369*	3.369	1.5	1.869	1.869
3 სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილებაში ანგარიშზე რიცხული თანხები					
ა) ფიზიკურ პირთათვის	1.5*	1.5	0.1	1.4	1.4
ბ) იურიდიულ პირთათვის	8.7*	8.7	0.2	8.5	8.5
4 რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფოს საგარეო ვალის ანგარიშში ჩამონერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება	0.585	0.400	0.200	0.200	0.385

ცხრილი N 7 გაგრძელება

5 საქართველოს მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებული სესხის სესხის მომსახურების ხარჯები	411	411	54 40	465 40	465 40
6 საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი მთავრობის დავალიანება	0.911	0.130	0.130	—	0.781
7 სახაზინო ვალდებულებებით წარმოქმნილი ვალი	6,316	6.316	40		40
8 ყოფილი სსრკ-ს 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულებებით წარმოქმნილი ვალი	—	—	—	—	—
9 კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები	—	—	—	—	—
10 მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაკმაყოფილებით წარმოქმნილი ვალდებულება	—	—	—	—	—
11 მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით წარმოქმნილი დავალიანება	—	—	—	—	—
12 ყოფილი სსრკ „ინდუსტრიაბანკის“ მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება	—	—	—	—	—
სულ	14 381.281	933.21			14 501.835

\* რეალური ციფრების არარსებობის გამო მითითებულია ის თანხები, რომლებიც სახელმწიფომ გამოყო რესტრუქტურისაქციისათვის.



# ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

## დავით ამალოვალი

მსოფლიოს სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა აღიარებს იმ ფაქტს, რომ თავისუფალი ეკონომიკა საფუძველია ზრდისა და აყვავებისა. ბაზრის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგოა, ამიტომაც სახელმწიფო უნდა დაემორჩილოს ბაზრის მოთხოვნებს. თანამედროვე ეპოქა მოუწოდებს მსოფლიოს ქვეყნებს გახსნან ბაზრის კარები, რაც გულისხმობს სავაჭრო ბარიერების მოხსნას, კაპიტალების მოძრაობაზე შეზღუდვების გაუქმებას, იმ სანარმოთა პრივატიზებას, რომლებიც მანამდე სახელმწიფოს სადავეებში იყო მოქცეული. თუკი ბაზარს მიეცემა თავისუფლად და ღიად მოქმედების საშუალება, იგი ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას.

ეკონომიკურმა თავისუფლებამ იმდენად დიდი მნიშვნელობა შეიძინა უკანასკნელ პერიოდში, რომ წარმოიშვა ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის ლიბერალიზაციის კონკრეტული დონის განსაზღვრის საჭიროება. პიონერის როლი ამ საქმეში ამერიკულმა ორგანიზაციამ „ჰერიტიჯ ფაუნდემენტმა“ (Heritage Foundation) შეასრულა, რომელმაც უკვე 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა. ორგანიზაციის მიზანი იყო შეემუშავებინა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების განმსაზღვრელი ერთიანი მაჩვენებელი. ამის გაკეთება 1994 წელს მოხერხდა. მოყოლებული ამ პერიოდიდან „ჰერიტიჯ ფაუნდემენტი“ „ვოლ სტრიტ ჯორნალთან“ (Wall Street Journal) ერთად ანარმოებს მსოფლიოს 156 ქვეყნის რანჟირებას 10 მსხვილი ეკონომიკური ფაქტორის მიხედვით. რაც უფრო მაღალია ამა თუ იმ ფაქტორის შეფასება, მით დიდია ეკონომიკაში მთავრობის ჩარევა და ნაკლები ეკონომიკური თავისუფლება. მთლიანობაში ანალიზი ეფუძნება 50 დამოუკიდებელ ეკონომიკურ პარამეტრს, რომლებიც დაჯგუფებული არიან შემდეგ 10 მსხვილ ფაქტორად: 1) სავაჭრო პოლიტიკა; 2) დაბეგვრა; 3) მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში; 4) მონეტარული პოლიტიკა; 5) კაპიტალების მოძრაობა და უცხოური ინვესტიციები; 6) საბანკო საქმე; 7) ხელფასებისა და ფასების კონტროლი; 8) საავტორო უფლებები; 9) რეგულირება; 10) შავი ბაზარი. ამ ათივე ფაქტორის გაერთიანებით მიიღება ერთიანი ინდექსი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს განსაზღვრავს. აღნიშნული ინდექსი ვარირებს ერთსა და ხუთს შორის: რაც უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ესა თუ ის ქვეყანა, მით უფრო ნაკლებია ეკონომიკური თავისუფლების დონე და პირიქით. ამასთან თითოეულ შეფასებას თან ახლავს ნიშანი პლუს (+) ან მინუს (-) ან „სტაბილური“. ეს დამატებითი ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ შესაბამისად მოცემული ფაქტორი უმჯობესდება, უარესდება ან უცვლელი რჩება. თითოეული ქვეყნის შეფასების შედეგად მოხდა მათი დაჯგუფება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით ოთხ მსხვილ ნაწილად:

• **თავისუფალი: ქვეყნები**, რომელთა საშუალო ერთიანი მაჩვენებელია 1.99 ან ნაკლები;

• **შედარებით თავისუფალი:** ქვეყნები, რომელთა

ცხრილი N 1

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

ქვეყნები	1998 შეფასება	1997 შეფასება	1996 შეფასება	1995 შეფასება	ვაჭრობა	დაბეგვრა	მთავრობის ინტერვენცია	მონეტარული პოლიტიკა	უცხოური ინვესტიციები	საბანკო საქმე	ხელფასები ფასები	საკუთრებითი უფლებები	რეგულირება	შავი ბაზარი
1. ჰონ-კონგი	1.25	1.25	1.25	1.25	1	1.5	1	2	1	1	2	1	1	1
2. სინგაპური	1.30	1.30	1.30	1.25	1	3	1	1	1	2	1	1	1	1
3. ბაჰრეინი	1.70-	1.60	1.70	1.60	2	1	3	1	2	2	2	1	2-	1
4. ახალი ზელანდია	1.75	1.75	1.75	—	2	3.5	2	1	2	1	2	1	2	1
5. შვეიცარია	1.90	1.90	1.80	—	2	3	3	1	2	1	2	1	3	1
5. აშშ	1.90	1.90	1.90	1.90	2	4	2	1	2	2	2	1	2	1
7. ლუქსემბურგი	1.95+	2.05	1.95	—	2	3.5+	3	1	2	2	2	1	2	1
7. ტაივანი	1.95	1.95	1.95	1.95	2	2.5	2	1	3	3	2	1	2	1
7. დიდი ბრიტანეთი	1.95	1.95	1.95	1.95	2	4.5	2	1	2	2	2	1	2	1
10. ბაჰამა	2.00	2.00	2.00	2.10	5	1	2	1	3	2	2	1	1	2
10. ირლანდია	2.00+	2.20	2.20	2.20	2	5	2	1	2	2	2	1	2	1+
12. ავსტრალია	2.05+	2.15	2.10	2.20	2	4.5	3	1	2	1	2	1	3	1+
12. იაპონია	2.05	2.05	2.05	1.95	2	4.5	1	1	3	3	2	1	2	1
14. ბელგია	2.10	2.10	2.10	—	2	5	2	1	2	2	2	1	3	1
14. კანადა	2.10	2.10	2.00	2.00	2	5	2	1	3	2	2	1	2	1
14 არაბეთის გაერთიანებული საამიროები	2.10	2.10	2.10	—	2	1	3	1	4	3	3	1	2	1
17. ავსტრია	2.15	2.15	2.05	2.05	2+	4.5	3	1	2	2-	2	1	3	1
17. ჩილე	2.15+	2.25	2.45	2.50	2	3.5	1	3	2	3	2	1	2	2+
17. ესტონეთი	2.15+	2.35	2.35	2.25	1+	3.5	2	4	1	2	2	2	2	2+
20. ჩეხეთი	2.20-	2.05	2.00	2.10	2-	4-	2	2	2	1	2	2	2-	3+
20. პოლანდია	2.20-	2.00	1.85	—	2	5	3	1	2	1	3-	1	3-	1

ცხრილი N 1 გაგრძელება

ქვეყნები	1998 შეფასება	1997 შეფასება	1996 შეფასება	1995 შეფასება	კაჭობა	დაბეგვრა	შთავრობის ინტერვენცია	მონეტარული პოლიტიკა	უცხოური ინვესტიციები	საბანკო საქმე	ხელფასები ფასები	საკუთრებითი უფლებები	რეგულირება	შავი ბაზარი
22 დანია	2.25-	2.05	1.95	—	2	4.5	4	1	2	2	1	1	2	3-
22 ფინეთი	2.25+	2.30	2.30	—	2	4.5-	3	1	2	3	1+	1	3	1
24 გერმანია	2.30-	2.20	2.10	2.00	2	5	2+	1	2	3-	2	1	4-	1
24 ისლანდია	2.30+	2.50	—	—	2	4	3	2+	2	3	2+	1	3	1
24 სამხ. კორეა	2.30+	2.45	2.30	2.15	3	4+	2	2	2+	2	2	1	3	2
27 ნორვეგია	2.35+	2.45	2.45	—	2+	4.5	3	1	2	3	3	1	3	1
28 ქუვეიტი	2.40	2.40	2.40	—	2	1	4	2	4	3	3	1	2	2
28 მალაიზია	2.40+	2.60	2.40	2.15	3+	3	2	1	3	3	3	2	2	2
28 პანამა	2.40+	2.50	2.40	2.70	3+	3	3	1	2	1	2	3	3	3
28 ტაილანდი	2.40-	2.30	2.30	2.30	3	3	2-	1	2+	3	3	2-	3	2
32 ელ-სალვადორი	2.45+	2.55	2.45	2.65	3	2.5	1+	3	2	2	2	3	3	3
32 შრი-ლანკა	2.45	2.45	2.65	2.80	3	3.5	2	2	3	2	1	3	2	3
32 შვედეთი	2.45	2.45	2.55	2.65	2	4.5	5	1	2	2	2	2	3	1
35 საფრანგეთი	2.50	2.50	2.30	2.30	2	5	3	1	3	3	3	2	2	1
35 იტალია	2.50+	2.60	2.70	2.50	2+	5	3	2	2	2	2	2	3	2
35 ესპანეთი	2.50+	2.60	2.70	2.60	2	5	2	2	2	2+	3	2	3	2
38 ტრინიდადი და ტობაგო	2.55	2.55	2.50	—	5	4.5	2	2	1	2	2	1	3	3
39 არგენტინა	2.60+	2.65	2.65	2.85	4	3+	2	5	2	2	2	2	2	2
39 ბარბადოსი	2.60+	2.80	3.00	—	3+	5	3	1	2	2	2	2+	3	3
39 კვიპროსი	2.60	2.60	2.60	—	3	4	3	1	2	2	3	3	2	3
39 იამაიკა	2.60	2.60	2.70	2.80	2	3	2	4	2	2	3	2	3	3
39 პორტუგალია	2.60	2.60	2.60	2.80	2	5	3	2	2	3	2	2	3	2
44 ბოლივია	2.65+	2.85	2.75	3.20	2	2.5	3+	3	2	2	1	3	4	4
44 ომანი	2.65+	2.75	2.85	2.65	2+	3.5	4	1	3	4	3	2	2	2
44 ფილიპინები	2.65+	2.80	2.90	3.30	3+	3.5-	1	2	3	3	2	2	3	4
47 სვაზილენდი	2.70+	2.80	2.90	2.90	3+	3	2	2	2	3	3	2	3	4
47 ურუგვაი	2.70	2.70	2.80	2.90	2	3	3	5	2	2	2	2	3	3
49 ბოსტვანა	2.75+	2.85	2.80	3.05	3+	2.5	4	2	3	2	2	2	3	4-
49 იორდანია	2.75-	2.70	2.80	2.90	4	2.5+	3-	2	2	2	3	2	3	4
49 ნამიბია	2.75+	2.95	—	—	4	3.5	4	2	2	2	2+	2	3+	3
49 ტუნისი	2.75	2.75	2.65	2.85	5	3.5	3	2	2	2	2	3	2	3
53 ბელიზი	2.80-	2.70	2.70	2.70	5	4	2	1	2	3	2	3-	3	3
53 კოსტა-რიკა	2.80	2.80	2.80	2.90	4	3	2	3	2	3	2	3	3	3
53 გვატემალა	2.80	2.80	2.85	3.05	3	3	1	3	3	2	3	3	4	3
53 ისრაელი	2.80	2.80	2.90	3.10	2	5	4	3	1	3	2	2	2	4
53 პერუ	2.80+	2.90	3.00	3.40	2+	3	1	5	2	2	2	3	4	4
53 საუდის არაბეთი	2.80	2.80	2.90	—	4	4	4	1	4	3	3	1	2	2
53 თურქეთი	2.80	2.80	3.00	3.00	2-	4+	2	5	2	2	3	2	3	3
53 უგანდა	2.80+	2.90	2.83	2.94	5-	4	2+	5	2	3	1	2	2+	2
53 დასავ. სამოა	2.80	2.80	2.80	—	3	4	2	2	3	3	3	3	3	2
62 ინდონეზია	2.85	2.85	2.85	3.35	2	3.5	1	2	2	3	3	3	4	5
62 ლატვია	2.85+	2.95	3.05	—	2+	2.5	3	5	2	2	2	3-	3	4
62 მალტა	2.85+	2.95	3.05	3.25	4	3.5	2	1	2	3	4	2+	3	4
62 პარაგვაი	2.85-	2.75	2.65	2.75	2	2.5	2	4	1	2	3	4-	3	5
66 საბერძნეთი	2.90-	2.85	2.80	2.80	2	4-	3	3	2	4	3	2	3	3
66 უნგრეთი	2.90	2.90	2.90	2.80	4	4	3	4	2	2	2	2	3	3
66 სამხ. აფრიკა	2.90+	3.00	3.00	3.00	4+	4	3	3	2	3	2	3	2	3
69 ბენინი	2.95	2.95	2.95	—	4	3.5	3	1	3	3	3	3	3	3
69 ეკვადორი	2.95+	3.05	3.15	3.25	3	2.5	1	5	2	3	2+	3	4	4
69 გაბონი	2.95	2.95	3.05	3.06	5	4.5	3	1	2	2	3	3	3	3
69 მაროკო	2.95-	2.75	2.70	2.90	5-	3.5	3	1	2	3	3	3-	3	3
69 პოლონეთი	2.95+	3.15	3.05	3.25	2+	3.5	3	5	2	3	3	2	3	3
74 კოლუმბია	3.00+	3.10	3.00	2.90	3+	4	2	4	2	2	2	3	3	5
74 განა	3.00+	3.20	3.20	3.30	3+	3	3	4	3	3	2	3	4	2
74 ლიტვა	3.00+	3.10	3.50	—	1+	3	3	5	2	3	3	3	3	4
77 კენია	3.05	3.05	3.05	3.05	4	3.5	3	2	3	2	3	3	4	3
77 სლოვაკეთი	3.05	3.05	2.95	2.75	3-	4.5	3	2+	3	3	3	3	3	3
77 ზამბია	3.05-	2.85	2.95	3.05	3-	3.5	3-	5	2	2	2	3	4	3
80 მალი	3.10	3.10	3.10	3.50	3	5	3	1	2	3	3	3	3	5

ცხრილი N 1 გაგრძელება

ქვეყნები	1998 შეფასება	1997 შეფასება	1996 შეფასება	1995 შეფასება	ვაჭრობა	დაბეგვრა	მოავრობის ინტერვენცია	მონეტარული პოლიტიკა	უცხოური ინვესტიციები	საბანკო საქმე	ხელუასები ფასები	საკუთრებითი უფლებები	რეგულირება	შავი ბაზარი
80 მონღოლეთი	3.10+	3.30	3.50	3.33	1+	4	3	5	3	3	3	3	3	3
80 სლოვენია	3.10	3.10	3.35	—	4	4	3	5-	2+	2	3	2+	3	3
83 ჰონდურასი	3.15	3.15	3.15	3.15	4	3.5	1+	3-	3	3	3	3	4	4
83 პაპუა ახალი გვინეა	3.15-	3.10	3.10	—	5	2.5+	3	1	3	4	3	3	4-	3
85 ჯიბუტი	3.20-	3.00	—	—	4	2	5-	1	3	3	3	3	4	4
85 ფიჯი	3.20	3.20	3.10	3.30	5	3	3	1	3	3	3	3	4	4
85 პაკისტანი	3.20-	3.10	3.05	3.15	5	4	3	2	2	3	3	3-	4	3
88 ალჟირი	3.25	3.25	3.25	3.15	5	3.5	3	3	3	3	3	3	3	3
88 გვინეა	3.25+	3.45	3.35	3.35	3+	4.5	3-	3	3	2	2	4	4	4+
88 ლიბანი	3.25-	2.95	2.95	—	5-	2.5	2	5	3	2	2	3	3	5
88 მექსიკა	3.25+	3.35	3.35	3.05	3	3.5	2+	5	2	4	3	3	4	3
88 სენეგალი	3.25	3.25	3.40	—	4+	4.5	3	1	3	3	4	3-	4	3
88 ტანზანია	3.25	3.25	3.45	3.50	3	3.5	3	4	3	3	2	3	4	4
94 ნიგერია	3.30-	3.20	3.25	3.15	5	3	2	5-	2	4	2	3	4	3
94 რუმინეთი	3.30+	3.40	3.70	3.55	2	5	3	5	2	3	2	4	4	3+
96 ბრაზილია	3.35	3.35	3.45	3.30	4	2.5	3	5	3	3	3	3	3	4
96 კამბოჯა	3.35+	3.55	—	—	3+	2.5	3+	5-	3	3	3	4	4	3
96 ეგვიპტე	3.35+	3.45	3.45	3.50	5	4.5	3	3	3	2+	3	3	4	3
96 სპილოს ძეღის სანაპირო	3.35	3.35	3.25	3.25	5	3.5	3	1	3	3	3	4	4	4
96 მადაგასკარი	3.35-	3.25	3.35	3.50	5-	3.5	2	3	4	4	2	3	3	4
96 მოლდოვა	3.35	3.35	3.45	4.10	3	3.5	3	5	3	3	3	3	3	4
102 ნეპალი	3.40+	3.60	3.50	—	3+	3	2+	2	4	4	4	3	4	5
103 კაპე ვარდე	3.44	3.44	3.44	—	5	N/A	3	2	2	5	4	2	4	4
104 სომხეთი	3.45	3.45	3.75	—	2	3.5	3	5	4	3	3	3	4	4
104 დომინიკელთა რესპუბლიკა	3.45	3.45	3.45	3.40	5	2.5	2	5	3	3	2	4	4	4
104 რუსეთი	3.45+	3.65	3.50	3.50	4+	3.5	3+	5	3	2	3	3	4	4
107 ბურკინა-ფასო	3.50	3.50	3.70	—	5	4	3	1	2	4	4	3	4	5
107 კამერუნი	3.50+	3.60	3.60	3.60	5	4	2+	1	3	4	3	4	4	5
107 ლესოტო	3.50+	3.65	3.65	—	3+	4+	3	3	3	4	4	3	4	4
107 ნიკარაგუა	3.50+	3.60	3.60	3.90	4+	3	2	5	2	3	3	4	4	5
107 ვენესუელა	3.50+	3.60	3.50	3.00	3+	4	3	5	3	3	3	3	3	5
112 გამბია	3.60	3.60	—	—	4	4	3	2	4	4	4	2	4	5
112 გვიანა	3.60-	3.50	3.35	—	5-	4	3	5	3	3	2	3	4	4
114 ბულგარეთი	3.65-	3.60	3.50	3.50	4-	4.5+	3	5	3	3	3	3	4	4
114 საქართველო	3.65+	3.85	3.85	—	3	2.5	2+	5	3	4	4	4	4	5
114 მალავი	3.65-	3.55	3.40	3.40	5	4.5	3	4-	3	3	3	3	4	4
117 ეთიოპია	3.70-	3.60	3.70	3.80	5-	4	3	2	4	4	3	4	4	4
117 ინდონეზია	3.70	3.70	3.75	3.70	5	4	3	2	3	4	4	3	4	5
117 ნიგერია	3.70	3.70	3.70	—	5	4	3	1	4	4	4	3	4	5
120 ალბანეთი	3.75-	3.65	3.45	3.55	3	3.5	5	5	2	4	3	4-	3	5
120 ბანგლადეში	3.75-	3.70	3.65	3.90	5	3.5+	3-	2	3	3	4	4	5	5
120 ჩინეთი	3.75+	3.80	3.80	3.80	5	3.5+	5	3	3	3	3	4	4	4
120 კონგო	3.75	3.75	3.80	3.90	5	4.5	3	1	4	4	3	4	4	5
120 ხორვატია	3.75-	3.70	3.70	—	3	3.5-	5	5	3	3	4	4	4	3
125 ჩადი	3.80	3.80	—	—	5	4	3	1	4	4	4	4	4	5
125 მავრიტანია	3.80	3.80	3.80	—	5	4	3	2	3	5	4	4	4	4
125 უკრაინა	3.80-	3.75	4.00	3.90	4	4+	3	5	3	4	3	4-	4	4
128 სიერა-ლეონე	3.85	3.85	3.75	3.75	4	4.5	3	5	3	4	3	4	3	5
129 ბურუნდი	3.90-	3.80	—	—	5	4	3	2-	4	4	4	4	4	5
129 სურინამი	3.90+	4.00	3.90	—	5	4+	3	5	3	4	3	3	4	5
129 ზიმბაბვე	3.90-	3.70	3.70	3.50	5	4	4-	4	4	3	3	4-	4	4
132 ჰაიტი	4.00	4.00	4.20	4.20	4	3	3	3	4	4	4	5	5	5
132 ყირგიზეთი	4.00	—	—	—	4	4	3	5	3	4	4	4	4	5
132 სირია	4.00+	4.20	4.20	—	5	5	3	3+	4	5	4	4	2	5
135 ბელორუსია	4.05	3.85	3.55	3.65	4+	4.5	3	5	4	3	4-	4-	4-	5
136 ყაზახეთი	4.10	—	—	—	4	4	3	5	4	4	4	4	4	5
136 მოზამბიკი	4.10-	4.00	4.05	4.40	5-	4	3	5	4	3+	3	4	5	5
136 იემენი	4.10-	3.90	3.75	3.75	5	3	4	5	4-	4	3	4	4	5

ცხრილი N 1 გაგრძელება

ქვეყნები	1998 შეფასება	1997 შეფასება	1996 შეფასება	1995 შეფასება	ვაჭრობა	დაბეგრვა	მთავრობის ინტერვენცია	მონეტარული პოლიტიკა	უცხოური ინვესტიციები	საბანკო საქმე	ხელფასები ფასები	საკუთრების უფლებები	რეგულირება	შავი ბაზარი
139 სუდანი	4.20	4.20	4.10	4.22	5	5	3	5	4	4	4	4	4	4
140 მიანმარი	4.30	4.30	4.30	—	5	3	5	4	4	4	4	4	5	5
140 რუანდა	4.30-	4.20	—	—	5	5	4	2-	4	5	3	5	5	5
142 ანგოლა	4.35	4.35	4.35	4.35	5	3.5	4	5	4	4	4	4	5	5
143 აზერბაიჯანი	4.40+	4.60	4.70	—	5	4	5	5	4+	4	5	4	4	4+
143 ტაჯიკეთი	4.40	—	—	—	5	5	4	5	4	4	4	4	4	5
145 თურქმენეთი	4.50	—	—	—	5	5	4	5	4	5	4	4	4	5
146 უზბეკეთი	4.55	—	—	—	5	4.5	4	5	4	5	4	4	5	5
147 კონგო (ყოფილი ზაირი)	4.70-	4.20	4.20	—	5	5	4	5	5	5	4	5	4	5
147 ირანი	4.70	4.70	4.70	—	5	5	5	4	5	5	4	5	4	5
147 ლიბია	4.70	4.70	4.70	—	5	5	5	2	5	5	5	5	5	5
147 სომადი	4.70	4.70	4.70	—	5	5	5	5	4	5	3	5	5	5
147 ვიეტნამი	4.70	4.70	4.70	4.70	5	5	5	5	4	4	4	5	5	5
152 ბოსნია	4.80	—	—	—	5	5	5	5	4	5	4	5	5	5
153 ერაყი	4.90	4.90	4.90	—	5	5	5	5	5	5	5	5	4	5
154 კუბა	5.00	5.00	5.00	5.00	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
154 ლაოსი	5.00	5.00	5.00	—	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
154 ჩრ. კორეა	5.00	5.00	5.00	5.00	5	5	5	5	5	5	5	5	5	5

საშუალო ერთიანი მაჩვენებელი 2.00-სა და 2.99-ს შორისაა;

• **შედარებით არათავისუფალი:** ქვეყნები, რომელთა საშუალო ერთიანი მაჩვენებელი 3.00-სა და 3.99-ს შორისაა;


• **დახშული:** ქვეყნები, რომელთა საშუალო ერთიანი მაჩვენებელია 4.00 ან უფრო მაღალია;

უფრო დანვრისებით თითოეული ეკონომიკური ფაქტორის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ

დღესდღეობით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნის კეთილდღეობის ამალღების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტს წარმოადგენს. თანამედროვე ეკონომიკური ზრდის თეორიაც, რომელიც 1983 წელს პროფესორ პოლ რომერის მიერ იქნა შემუშავებული, ძირითადად სწორედ ეკონომიკის ფართომასშტაბიან ლიბერალიზაციას ეფუძნება. კონკრეტულად კი ახალი ეკონომიკური ზრდის თეორია ექვს ძირითად პუნქტს მოიცავს, ესენია:

1. კაპიტალის დაგროვება;
2. მთავრობის როლის შეზღუდვა;
3. ეკონომიკის გაღება სავაჭრო ვაჭრობისა და ინ-

ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდის ტემპები  
გაქვეყნების მიხედვით 1980-1993



ვესტიციებისათვის;

4. საკუთრებითი უფლებებისა და სამართლებრივი ნორმების დაცვა;

5. სანარმო სექტორის განთავისუფლება სამთავრობო რეგულირებისა და კონტროლისაგან;

6. ადამიანურ რესურსებში ინვესტირება.

როგორც ემპირიული გამოკვლევები ადასტურებენ, ეკონომიკური თავისუფლება მართლაც და პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ ზრდასთან. ეს ნათლად ჩანს შემდეგ ნახაზზე, სადაც მოცემულია ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მთლიანი შიდა პროდუქტების (მშპ) ზრდის ტემპები ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ოთხივე კატეგორიის მიხედვით.

განვიხილოთ ეკონომიკური თავისუფლების ფაქტორები სათითაოდ:

**ფაქტორი 1: სავაჭრო პოლიტიკა.**

სავაჭრო პოლიტიკა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისათვის.

სავაჭრო პოლიტიკის შეფასების შკალა

შეფასება	პროტექციის დონე	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	საშუალო ტარიფის განაკვეთი 4%-მდე და'ან ძალიან დაბალი არასატარიფო ბარიერები.
2	დაბალი	საშუალო ტარიფის განაკვეთი 5%-დან 9%-მდე და'ან დაბალი არასატარიფო ბარიერები.
3	ზომები	საშუალო ტარიფის განაკვეთი 10%-დან 14%-მდე და'ან ზომიერი არასატარიფო ბარიერები.
4	მაღალი	საშუალო ტარიფის განაკვეთი 15%-დან 19%-მდე და'ან მაღალი არასატარიფო ბარიერები.
5	ძალიან მაღალი	საშუალო ტარიფის განაკვეთი 20%-ზე მაღალი და'ან ძალიან მაღალი არასატარიფო ბარიერები, რომლებიც ფაქტიურად ხურავენ ბაზარს იმპორტირების.

რა ზომითაც მთავრობა ხელს უშლის საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას, იმდენად ფერხდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. ამასთან სავაჭრო პოლიტიკას განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

**მეთოდოლოგია.** ამა თუ იმ ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის შეფასებისას ძირითადად გამოიყენება შემდეგი სამი ფაქტორი: 1) ქვეყნის საშუალო სატარიფო განაკვეთი; 2) არასატარიფო ბარიერები, რაც გულისხმობს საიმპორტო ქვოტებს, ლიცენზირების მოთხოვნებს და სხვა იმპორტის შემზღვეველ ღონისძიებებს; 3) კორუფცია საბაჟო სამსახურში ძალზე მნიშვნელოვანი პარამეტრია, ვინაიდან ქვეყანას შეიძლება დაბალი საბაჟო ტარიფები ჰქონდეს, მაგრამ სამაგიეროდ ამ ქვეყნის საბაჟოს თანამშრომლები მოითხოვდნენ მსხვილ ქრთამს ტვირთის გატარებისათვის.

**ფაქტორი 2: დაბეგვრა.**

გადასახადებსაც, ასევე, ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავთ ეკონომიკური თავისუფლების განსაზღვრისათვის. ყველა სახის გადასახადი ზიანს აყენებს ეკონომიკურ საქმიანობას, ამიტომაც ზედმეტი გადასახადი აფერხებს ეკონომიკურ ზრდას.

**მეთოდოლოგია.** დაბეგვრის დონის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი პარამეტრები: 1) საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი; 2) საგადასაქმონებელი გადასახადის უმაღლესი განაკვეთი

**საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი**

შეფასება	განაკვეთები	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	არავითარი გადასახადები, ან ფიქსირებული გადასახადი 10%-ის ფარგლებში.
2	დაბალი	უმაღლესი განაკვეთი 25%-მდე, ან ფიქსირებული გადასახადი 10-დან 20%-მდე, ხოლო საშუალო შემოსავალი იბეგრება 10%-მდე განაკვეთით.
3	ზომიერი	უმაღლესი განაკვეთი 35%-მდე, ხოლო საშუალო შემოსავალი ხვდება 15%-იანი დაბეგვრის ფარგლებში.
4	მაღალი	უმაღლესი განაკვეთი 36-დან 50%-მდე, ხოლო საშუალო შემოსავალი ხვდება 15-დან 20%-მდე დაბეგვრის ფარგლებში.
5	ძალიან მაღალი	უმაღლესი განაკვეთი 50%-ზე მეტი, ხოლო საშუალო შემოსავალი ხვდება 20-დან 25%-მდე დაბეგვრის ფარგლებში.

**მომავლის გადასახადის უმაღლესი განაკვეთი**

შეფასება	განაკვეთები	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	ძალზე მცირე გადასახადები მოგებაზე.
2	დაბალი	ფიქსირებული განაკვეთი 25%-მდე, ან პროგრესული გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 25%-მდე.
3	ზომიერი	პროგრესული გადასახადის უმაღ. განაკვეთი 26-დან 35%-მდე, ან ფიქსირებული გადასახადი 25%-ზე მეტი.
4	მაღალი	პროგრესული გადასახადის უმაღ. განაკვეთი 36-დან 45%-მდე და საგადასახადო სტრუქტურა არ არის სათანადოდ განვითარებული ქვეყანაში.
5	ძალიან მაღალი	პროგრესული გადასახადის უმაღ. განაკვეთი 46% და მეტი.

სახადო განაკვეთი, რომლითაც იბეგრება საშუალო შემოსავალი; 3) მოგების გადასახადის უმაღლესი განაკვეთი; 4) სხვა გადასახადები.

**ფაქტორი 3: მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში.**

რაც უფრო დიდია მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის დონე, მით ნაკლებ ინდივიდს აქვს საშუალება

**მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის უმაღლესი განაკვეთი**

შეფასება	განაკვეთები	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	მშპ-ში 10%-ზე ნაკლები; ფაქტობრივად მთავრობის ეკონომიკაში ჩაურევლობა.
2	დაბალი	მშპ-ში 11-დან 25%-მდე; მცირედენი სახ. სანარმო, აგრესიული პრივატიზაციის პროგრამის მოქმედება.
3	ზომიერი	მშპ-ში 26-დან 35%-მდე. მცირედენი სახ. სანარმოები, როგორცაა ტელეკომუნიკაციები, ზოგიერთი ბანკი და ენერჯის წარმოება.
4	მაღალი	36%-დან 45%-მდე; ბევრი სახ. სანარმო, როგორცაა ტრანსპორტი და სამრეწველო სანარმოები.
5	ძალიან მაღალი	46% და მეტი, ძირითადად სახ. სანარმოები; თითქმის არ არის კერძო სანარმო.

თავისუფლად ჩაერთოს საკუთარ ეკონომიკურ საქმიანობაში.

**მეთოდოლოგია.** მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის ხარისხის დასადგენად საჭიროა გამოვიყენოთ შემდეგი ფაქტორები: 1) მთავრობის მოხმარების დონე, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტების პროცენტული წილი ან სახელმწიფო ბიუჯეტის წილი მშპ-ში; 2) სახელმწიფო სექტორის მოცულობა; 3) სახელმწიფო სანარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის წილი მშპ-ში.

**ფაქტორი 4: მონეტარული პოლიტიკა.**

**მეთოდოლოგია.** მონეტარული პოლიტიკის შეფასების ერთადერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ქვეყნის საშუალო ინფლაციის ტემპი. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების შეფასებისას ამ მხრივ უნიკალური

**მონეტარული პოლიტიკის უმაღლესი განაკვეთი**

შეფასება	ინფლაციის ტემპი	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	6%-ს ქვემოთ.
2	დაბალი	7-სა და 13%-ს შორის.
3	ზომიერი	14-სა და 20%-ს შორის.
4	მაღალი	21-დან 30%-მდე.
5	ძალიან მაღალი	30%-ზე მეტი.

პრობლემა წარმოიშება. კერძოდ, საშუალო ინფლაციის ტემპი მსოფლიოს ქვეყნებისათვის გაანგარიშებულ იქნა 1985-1995 წლებისათვის, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ინფლაცია აქ თითქმის არ არსებობდა, ვინაიდან მთავრობას შეეძლო ფასები მუდმივ დონეზე შეენარჩუნებინა. ამიტომაც, ინფლაციის საშუალო ტემპი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის გამოთვლილ იქნა 1992 წლის შემდგომ. თუმცა ამ პერიოდის ინფლაციის მაჩვენებლები ძალიან მაღალი იყო ამ ქვეყნებში ეკონომიკის ტრანსფორმირებასთან დამთხვევის გამო.



**ფაქტორი 5: კაპიტალების მოძრაობა და უცხოური ინვესტიციები.**

უცხოური ინვესტიციები უზრუნველყოფენ საჭირო სახსრების ამა თუ იმ ადგილობრივ ინვესტორს, რომლებმაც სურთ წამოიწყონ ან გააფართოვონ თავიანთი საქმიანობა. აქედან გამომდინარე შეზღუდვე-

**კაპიტალის მოძრაობა და უცხოური ინვესტიციები**

შეფასება	ბარიერები უცხო. ინვესტ. მიმართ	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	ღია და მიუკერძოებელი მოპყრობა უცხოელი ინვესტორების მიმართ.
2	დაბალი	შეზღუდვები იმ ინვესტიციებზე, რომლებიც ხორციელდება კომუნალურ მომსახურებაში, ეროვნ. თავდაცვის სანარმოებში და ბუნებრივ რესურსებში.
3	ზომიერი	შეზღუდვები ინვესტიციების დიდ ნაწილზე, თუმცა ოფიციალური პოლიტიკა ეხმარება უცხო. ინვესტიციების კანონს; უცხო. ინვესტიციების განხილვის ბიუროკრატიული სისტემა.
4	მაღალი	ინვესტიციები ნებადართულია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში; ბიუროკრატიული განხილვის პროცესი და კორუფციის ელემენტები.
5	ძალიან მაღალი	მთავრობა კრძალავს უცხო. ინვესტიციებს.

ბი კაპიტალის მოძრაობაზე ამცირებენ ეკონომიკურ თავისუფლებას.

**მეთოდოლოგია.** ამ ფაქტორის შეფასებისას საჭიროა გაირკვეს, თუ როგორია ქვეყნის პოლიტიკა უცხოური ინვესტიციებთან მიმართებაში, კერძოდ, არსებობს თუ არა უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონი; ჩაყენებულია თუ არა უცხოური ინვესტორი ისეთივე მდგომარეობაში, როგორც ადგილობრივი; არსე-

**საბანკო საქმის შეფასების შკალა**

შეფასება	შეზღუდვები ბანკებზე	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	ძალზე დაბალი შეზღუდვები უცხო. ბანკებზე; ბანკებს შეუძლიათ ჩაერთონ ყველა სახის ფინანსურ მომსახურებაში; მთავრობა არ აკონტროლებს ბანკებს; მთავრობისათვის სადაზღვევო შენატანების გამოყოფის აუცილებლობა არ არსებობს.
2	დაბალი	დაბალი შეზღუდვები უცხო. ბანკებზე; ქვეყანას შეიძლება გააჩნდეს გარკვეული შეზღუდვები ფინანსური მომსახურების განვებაზე; ადგილობრივი ბანკების დაარსება შეიძლება აწყდებოდეს გარკვეულ ბარიერებს.
3	ზომიერი	მთავრობა დიდად ზემოქმედებს ბანკებზე; მთავრობა ფლობს ზოგიერთ ბანკს; ადგილობრივი ბანკების დაარსება შეიძლება აწყდებოდეს სერიოზულ ბარიერებს.
4	მაღალი	საბანკო სისტემა გარდამავალ ეტაპზე; ბანკები მჭიდროდ კონტროლირდება მთავრობის მხრიდან; არსებობს კორუფციის ელემენტები; ადგილობრივი ბანკების დაარსება თითქმის შეუძლებელია.
5	ძალიან მაღალი	ფინანსური ინსტიტუტები სრულ ქაოსში იმყოფებიან; ბანკები ფუნქციონირებენ პრიმიტიულ დონეზე; კრედიტების უმრავლესობა მიედინება სახელმწიფო სანარმოებში; კორუფცია ფართოდაა გავრცელებული.

ბობს თუ არა შემოსავლების რეპატრიაციაზე შეზღუდვები და სხვა.

**ფაქტორი 6: საბანკო საქმე.**

ქვეყნების უმრავლესობაში, ბანკები უზრუნველყოფენ ეკონომიკას ფინანსური რესურსებით. რაც უფრო დიდია მთავრობის ბანკებზე კონტროლი, მით უფრო ნაკლებია ეკონომიკური თავისუფლების დონე ქვეყანაში.

**მეთოდოლოგია.** საბანკო საქმის შეფასებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: 1) სახელმწიფოს ხელში არსებული ბანკების რაოდენობა; 2) შეზღუდვები უცხო. ბანკებზე გახსნან ფილიალები მოცემულ ქვეყანაში; 3) მთავრობის ზემოქმედება კრედიტების განაწილებაზე; 4) ყველა სახის ფინანსური მომსახურების განვების შესაძლებლობები.

**ფაქტორი 7: ხელფასებისა და ფასების კონტროლი.**

თავისუფლად ჩაითვლება ის ეკონომიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ბაზრის ცალკეულ მონაწილეებს თავად განსაზღვრონ იმ საქონლისა და მომსახურების ფასი, რომლის მომწოდებლაც ისინი ითვლებიან. ზოგიერთი მთავრობა თავად ადგენს ფასებისა და ხელფასების დონეს. ამით ისინი ზღუდავენ ეკონომი-

**ხელფასებისა და ფასების კონტროლის შეფასების შკალა**

შეფასება	ხელფასებზე და ფასებზე კონტროლი	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	ხელფასები და ფასები განისაზღვრება ბაზრის მიერ; არ არსებობს მინიმალური ხელფასის ზღვარი.
2	დაბალი	ფასების დიდი ნაწილი განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდებით, თუმცა ზოგიერთი ფასის დადგენა ხდება მთავრობის ან ისეთი მონოპოლიური გაერთიანებების მიერ, როგორცაა კომუნალური მომსახურება; მინიმალური ხელფასის კანონები შეიძლება არსებობდეს ან არ არსებობდეს.
3	ზომიერი	მთავრობისა და ბაზრის მიერ დაწესებული ფასებისა და ხელფასების ნარევი;
4	მაღალი	ხელფასებისა და ფასების კონტროლი, უმრავლესობა სამუშაო ადგილებსა და საგნებზე.
5	ძალიან მაღალი	ხელფასები და ფასები თითქმის მთლიანად მთავრობის მიერ დგინდება.

კურ აქტივობას და ამცირებენ ეკონომიკურ თავისუფლებას.

**მეთოდოლოგია.** აღნიშნული ფაქტორის შეფასება ხდება შემდეგი მომენტების გათვალისწინებით, კერძოდ, რომელ საქონელზე იქნა მთავრობის მიერ ფასების დაწესება, აკონტროლებს თუ არა მთავრობა ისეთ სფეროებს, როგორცაა კომუნალური მომსახურება და ახორციელებს თუ არა მთავრობა მინიმალური ხელფასის დაწესების პოლიტიკას.

**ფაქტორი 8: საკუთრებითი უფლებები.**

აღნიშნული ფაქტორი გვიჩვენებს, თუ რამდენად უზრუნველყოფს მთავრობა კერძო საკუთრების დაცვას და რამდენადაა დაცული კერძო საკუთრება ექსპროპრიაციისაგან.

**მეთოდოლოგია.** ამ ფაქტორის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ის, თუ რა დონით უზრუნ-

**საკუთრებით უზღავების შეფასების შკალა**

შეფასება	კერძოსაკუთრების დაცვა	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	კერძო საკუთრება გარანტირებულია მთავრობის მიერ, და არსებობს ეფექტიანი სასამართლო სისტემა; სამართლის სისტემით ისჯება ყველა ის, ვინც კი უკანონოდ ითვისებს კერძო საკუთრებას; ექსპროპრიაცია არ ხდება.
2	დაბალი	კერძო საკუთრება გარანტირებულია მთავრობის მიერ. ექსპროპრიაცია არ ხდება.
3	ზომიერი	მთავრობა აღიარებს ზოგიერთ კერძო საკუთრებასთან წარმოშობილ უფლებებს, მაგრამ საკუთრების ნაციონალიზების შესაძლებლობა არსებობს და მთავრობა არ იცავს კერძო საკუთრებას ადეკვატურად, სასამართლო სისტემა განიცდის გავლენას მთავრობის სხვა შტოებიდან; სასამართლოს შიგნით კორუფციის ელემენტები; საკანონმდებლო სისტემა მოშლილია.
4	მაღალი	საკუთრებითი უფლებები ვრცელდება მხოლოდ პირად ნივთებზე; კოლექტიური საკუთრება ნებადართულია; ექსპროპრიაციის შესაძლებლობა არსებობს და მთავრობა არ იცავს კერძო საკუთრებას ადეკვატურად; სასამართლო სისტემა განიცდის გავლენას მთავრობის სხვა შტოებიდან; სასამართლოს შიგნით კორუფციის ელემენტები; საკანონმდებლო სისტემა მოშლილია.
5	ძალიან მაღალი	კერძო საკუთრება იკრძალება; თითქმის მთელი ქონება ეკუთვნის სახელმწიფოს; ექსპროპრიაცია გარდაუვალი მოვლენაა ან ქვეყანა იმდენად კორუმპირებულია და ქაოტური, რომ საკუთრების დაცვა არ არსებობს.

ველყოფს მთავრობა კერძო საკუთრების დაცვას; არსებობს თუ არა შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც იცავს კერძო საკუთრებას; მთავრობის მხრიდან კერძო საკუთრების ექსპროპრიაციის ალბათობა; აგრეთვე, სასამართლოს დამოუკიდებლობა და კორუფციის დონე სასამართლოში.

**ფაქტორი 9: რეგულირება.**

ბევრ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში საქონლის ან მომსახურების გასაყიდად ლიცენზიის მოპოვება თითქმის შეუძლებელი ხდება. რეგულირება და შეზღუდვები ხელს უშლის მენარმეებს წამოიწყონ ახალი საქმიანობა. თუმცა ბევრი რეგულირებასთან დაკავშირებული ზომა არსებობს, რომელიც ხელს უშლის ბიზნესს, ყველაზე მნიშვნელოვანია ლიცენზირების საკითხი. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ., როგორცაც აშშ ლიცენზიის მოპოვება, შეიძლება ისეთი იოლი იყოს, როგორც ფოსტით წე-

**რეგულირების შეფასების შკალა**

შეფასება	რეგულირების დონე	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	არსებული რეგულირებანი ღიაა და ერთნაირად გამოიყენება ყველა ბიზნესის მიმართ; რეგულირება მძიმე ტვირთად არ აწვება ბიზნესს; კორუფცია თითქმის არ არსებობს.
2	დაბალი	ლიცენზირების მარტივი პროცედურები; არსებული რეგულირებანი ღიაა და მეტწილად ერთნაირად გამოიყენება ყველა ბიზნესის მიმართ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ტვირთად

3	ზომიერი	ანგება მენარმეებს; კორუფცია თუმცა შესაძლებელია, იშვიათია და არ არის პრობლემა. არსებული რეგულირებანი გამოიყენება დროგამოშვებით და ზოგიერთ შემთხვევაში მათი მთავრობის მიერ გამოქვეყნებაც კი არ ხდება; ლიცენზირების პროცედურები გართულებულია; რეგულირება სერიოზულ ტვირთად აწვება ბიზნესს; სახელმწიფო სექტორის წილი დიდია; კორუფცია არსებობს და გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ბიზნესზე.
4	მაღალი	მთავრობა აწვებს ქვოტებს წარმოებისათვის და მოქმედებს სახელმწიფო დაგეგმარების პრაქტიკა; სერიოზული ბარიერები არსებობს ბიზნესის წამოწყებისათვის; გართულებულია ლიცენზირების პროცესები; ძალიან მაღალია გადასახდელები; ქრთამი ზოგჯერ აუცილებლობას წარმოადგენს; გადამეტებული კორუფცია; რეგულირება მძიმე ტვირთად აწვება ბიზნესს.
5	ძალიან მაღალი	მთავრობა ხელს უშლის ახალი ბიზნესის განვითარებას ქვეყანაში; კორუფცია ფართოდაა მოდებული.

რილის გაგზავნა, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით განვითარებადში, ლიცენზიის მოპოვება დაკავშირებულია აურაცხელ ქრთამებთან და პრობლემებთან სამთავრობო სტრუქტურებში და მან შეიძლება ერთი წელიც კი გასტანოს.

**მეთოდოლოგია.** ამ ფაქტორის შეფასებისას გამოიყენება: ბიზნესის წამოწყებისათვის ლიცენზირების მოთხოვნები, ლიცენზიის მოპოვების სირთულე; კორუფცია ბიუროკრატიის შიგნით; შრომითი ხასიათის რეგულირებანი, როგორცაც დადგენილი სამუშაო კვირა, ფასიანი შევთვლებანი და გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უსაფრთხოებისა და მომუშავეთა ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული რეგულირება.

**ფაქტორი 10: შავი ბაზარი.**

შავი ბაზარი მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის

**შავი ბაზრის შეფასების შკალა**

შეფასება	შავი ბაზრის აქტივობის დონე	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	შავი ბაზრის ძალიან დაბალი დონე; ეკონომიკა ძირითადად თავისუფალია, მაგრამ არსებობს იარაღისა და ნარკოტიკების შავი ბაზარი.
2	დაბალი	შავი ბაზრის დაბალი დონე; ეკონომიკისათვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს მცირეოდენი სამუშაო ძალის შავი ბაზარი ან ინტელექტუალური საკუთრების შეკობრება.
3	ზომიერი	შავი ბაზრის ზომიერი დონე; ქვეყნებს შეიძლება ჰქონდეთ შავი ბაზარი სამუშაო ძალის, სოფლის მეურნეობის და სატრანსპორტო სექტორებში და ინტელექტუალური საკუთრების მეკობრების ზომიერი დონე.
4	მაღალი	შავი ბაზრის აქტივობის მაღალი დონე; ქვეყნებს შეიძლება გააჩნდეთ შავი ბაზრის არსებითი დონე ისეთ სექტორებში, როგორცაც სამუშაო ძალა, ინტელექტუალური საკუთრების მდგომარეობა და სამომხმარებლო საქონლის კონტრაბანდა, აგრეთვე ისეთ მომსახურების სფეროებში, როგორცაც ტრანსპორტი, ელექტრობა და ტელეკომუნიკაციები.
5	ძალიან მაღალი	შავი ბაზრის ძალიან მაღალი დონე; ქვეყნების შავი ბაზარი სჭარბობს მათ ფორმალურ ბაზარს.



უშუალო შედეგია.

**მეთოდოლოგია.** ამ ფაქტორის შეფასებისას გამოიყენება ისეთი მონაცემები, როგორცაა კონტრაბანდის მოცულობა, შავ ბაზარზე ინტელექტუალური საკუთრების მეკობრეობა, შავ ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სამრეწველო პროდუქციის, მომსახურების და სამუშაო ძალის მიწოდება.

ახლა კი გავეცნოთ, როგორ აფასებს საქართველოს „პერიტიჯ ფაუნდეიშენი“ და შევადართ ჩვენში არსებული მდგომარეობა მეზობელ ქვეყნებს.

**1. სავაჭრო პოლიტიკა.**

**საქართველო** — 3 (პროტექციონიზმის ზომიერი დონე). საიმპორტო ტარიფის სიდიდე უმრავლესობა საქონელზე 12%-ია, ხოლო საშუალო ტარიფის სიდიდე კი 8%. იმპორტზე არავითარი ბარიერები არ არსებობს, თუმცა განსაკუთრებული სახის საქონლისათვის, როგორცაა სამედიცინო აღჭურვილობა, საჭიროა სამთავრობო ლიცენზიები.

**სომხეთი** — 2 (პროტექციონიზმის დაბალი დონე). სომხეთის საშუალო ტარიფის განაკვეთი 5%-ზე ნაკლებია. გარკვეული არასატარიფო ბარიერები არსებობს ზოგიერთი სახის საქონელზე, მაგ., როგორცაა ფარმაცევტული პროდუქცია.

**აზერბაიჯანი** — 5 (პროტექციონიზმის ძალიან მაღალი დონე). 1997 წლის იანვარში მიღებული კანონის თანახმად, იმპორტზე მოქმედებს ერთიანი 15%-იანი ტარიფი. ეს საერთაშორისო სტანდარტებით ძალიან მაღალია და ამასთან მნიშვნელოვანი არასატარიფო ბარიერებიც არსებობს. აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის თანახმად: „კომპანიები ხშირად დგანან საზღვარზე ტვირთის გადატანის პრობლემის წინაშე, ვინაიდან საბაჟოს მუშაკები აყოვნებენ მათ ქრთამების მოლოდინში“.

**რუსეთი** — 4 (პროტექციონიზმის მაღალი დონე). საბაჟო ტარიფები მერყეობენ 5-დან 30%-მდე, ხოლო საშუალო განაკვეთი 10.67%-ია. სიტუაცია უკეთესობისაკენ შეიძლება შეიცვალოს, როდესაც რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდება და ეს კი ამ საუკუნის ბოლომდეა ნავარაუდები. საბაჟოზე კორუფციის დონე მაღალია.

**უკრაინა** — 4 (პროტექციონიზმის მაღალი დონე). საიმპორტო ტარიფები ვარიირებენ 5-დან 30%-მდე, ხოლო საშუალო ტარიფის სიდიდე 16%-ია.

**თურქეთი** — 2 (პროტექციონიზმის დაბალი დონე). საშუალო საბაჟო ტარიფი 5,6%-ია. მართალია თურქეთმა გააუქმა საიმპორტო ლიცენზიების დიდი ნაწილი, მაგრამ იმპორტიორებს ჯერ კიდევ მოეთხოვებათ გარკვეული სერთიფიკატის მოპოვება ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციამდე. აღნიშნული სერთიფიკატის მოპოვება შედარებით იოლია, მაგრამ ეს პროცედურა ადმინისტრაციულ და ფინანსურ ტვირთად აწვება იმპორტიორს.

**2. დაბეგვრა.**

ამ ფაქტორის მიხედვით შეფასებები საქართველოსათვის შემდეგნაირია:

**საშემოსავლო გადასახადი** — 2 (დაბალი განაკვეთები).

მოგების გადასახადი — 2 (დაბალი განაკვეთები).

**საბოლოო შეფასება** — 2.5 (ზომიერი საგადასახადო განაკვეთები).

**სომხეთი:**

**საშემოსავლო გადასახადი** — 3 (ზომიერი განაკვეთები).

**მოგების გადასახადი** — 3 (ზომიერი განაკვეთები).

**საბოლოო შეფასება** — 3.5 (მაღალი საგადასახადო განაკვეთები).

**სომხეთის საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთია 30%. საშუალო შემოსავალი ხვდება 12-დან 15%-მდე დაბეგვრის ზონაში. მოგების გადასახადის უმაღლესი განაკვეთია — 30%.**

**აზერბაიჯანი:**

**საშემოსავლო გადასახადი** — 4 (მაღალი განაკვეთები).

**მოგების გადასახადი** — 3 (ზომიერი განაკვეთები).

**საბოლოო შეფასება** — 4 (მაღალი საგადასახადო განაკვეთები).

აზერბაიჯანის საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთია 40%, მაშინ როდესაც 1996 წელს იყო — 55%. საშუალო შემოსავალი ხვდება 15%-იანი დაბეგვრის ზონაში. მოგების გადასახადის უმაღლესი განაკვეთია — 35%.

**რუსეთი:**

**საშემოსავლო გადასახადი** — 3 (ზომიერი განაკვეთები).

**მოგების გადასახადი** — 3 (ზომიერი განაკვეთები).

**საბოლოო შეფასება** — 3,5 (მაღალი საგადასახადო განაკვეთები).

რუსეთის საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთია 35% (წინა წელს — 30%), ხოლო საშუალო შემოსავალი იბეგრება 12%-იანი განაკვეთით. მოგების გადასახადის უმაღლესი განაკვეთია — 35%.

**უკრაინა:**

**საშემოსავლო გადასახადი** — 4 (მაღალი განაკვეთები).

**მოგების გადასახადი** — 3 (ზომიერი განაკვეთები).

**საბოლოო შეფასება** — 4 (მაღალი საგადასახადო განაკვეთები).

უკრაინის საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთია 40%. საშუალო შემოსავალი იბეგრება 20%-იანი განაკვეთით (წინა წელს — 30%). მოგების გადასახადის უმაღლესი განაკვეთია — 30%.

**თურქეთი:**

**საშემოსავლო გადასახადი** — 5 (ძალიან მაღალი განაკვეთები).

**მოგების გადასახადი** — 2 (დაბალი განაკვეთები).

**საბოლოო შეფასება** — 4 (მაღალი საგადასახადო განაკვეთები).

თურქეთის საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთია 55%. საშუალო შემოსავალი იბეგრება 25%-იანი განაკვეთით. მოგების გადასახადის უმაღლესი განაკვეთია — 25% (1995 წელს — 42%).

**3. მთავრობის ეკონომიკაში ჩარევა.**

**საქართველო** — 2 (მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის დაბალი დონე). მთავრობა მოიხმარს მშპ-ს მხოლოდ 7%-ს, მაშინ როდესაც 1992 წელს — 30%-ს. მშპ-ს ძირითადი ნაწილი სახელმწიფო საწარმოების

მიერ იქმნება, მაგრამ იმის გამო, რომ მთავრობის მოხმარების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა, ეკონომიკაში ინტერვენციის დონე საერთაშორისო სტანდარტებით საკმაოდ დაბალია.

**სომხეთი** — 3 (მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის ზომიერი დონე). მთავრობა მოიხმარს სომხეთის მშპ-ს 13%-ს. ამასთან კიდევ აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სექტორის მოცულობა საკმაოდ დიდია და აზერბაიჯანთან ომზე მნიშვნელოვანი რესურსები იხარჯება.

**აზერბაიჯანი** — 5 (მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის ძალიან მაღალი დონე). მართალია აზერბაიჯანმა დაიწყო პრივატიზაცია, მაგრამ ეკონომიკის უდიდესი ნაწილი კვლავ სახელმწიფოს ხელში რჩება.

**რუსეთი** — 3 (მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის ზომიერი დონე). ოფიციალური მონაცემებით მთავრობა მოიხმარს მშპ-ს 18%-ს, მაშინ როდესაც 90-იანი წლების დასაწყისში 25%-ს. სახელმწიფო საწარმოთა რაოდენობა კვლავ დიდია, ამასთან მთავრობა განაგრძობს ისეთი არარენტაბელური დარგების სუბსიდირებას, როგორცაა ქვანახშირის მოპოვება, სოფლის მეურნეობა და შავი და ფერადი ლითონების წარმოება.

**უკრაინა** — 3 (მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის ზომიერი დონე). მთავრობა მოიხმარს უკრაინის მშპ-ს 18,3%-ს. საზოგადოებრივი სექტორი კვლავ მშპ-ს დიდ ნაწილს ქმნის.

**თურქეთი** — 2 (მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის დაბალი დონე). მთავრობა მოიხმარს თურქეთის მშპ-ს დაახლოებით 7,6%-ს და ჯერ კიდევ ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილის მეპატრონეა. მართალია თურქეთში მიმდინარეობს პრივატიზაციის პროგრამა, მაგრამ მთავრობის ხელშია მოქცეული პორტები, რკინიგზები, რკინისა და ფოლადის წარმოება, მინერალური რესურსების მოპოვება, საჰაერო ხაზები, ნავთობი და ელექტრონიკა.

**4. მონეტარული პოლიტიკა.**

**საქართველო** — 5 (ინფლაციის ძალიან მაღალი დონე). ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშება მოხდა 1992-1997 წლების პერიოდისათვის. ვინაიდან ინფლაციის ტემპები ამ პერიოდში საქართველოში ძალიან მაღალი იყო, შეფასებაც შესაბამისად მკაცრია.

**სომხეთი** — 5 (ინფლაციის ძალიან მაღალი დონე). სომხეთშიც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ინფლაცია მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა.

**აზერბაიჯანი** — 5 (ინფლაციის ძალიან მაღალი დონე).

**რუსეთი** — 5 (ინფლაციის ძალიან მაღალი დონე).

**თურქეთი** — 5 (ინფლაციის ძალიან მაღალი დონე). მოყოლებული 1995 წლიდან, თურქეთში ინფლაციის ტემპები საკმაოდ სერიოზული ტემპებით იზრდებოდა, რამაც გააუარესა ამ ქვეყნის საერთო მაჩვენებელი.

**5. კაპიტალის მოძრაობა და უცხოური ინვესტიციები.**

**საქართველო** — 3 (ზომიერი ბარიერები). ოფიციალური შეზღუდვები ინვესტიციებზე მცირეა. უმრავლესობა დარგებისა ღიაა უცხოური ინვესტიციებისათვის, თუმცა არაეფექტიანი და გაბერბილი ბიუროკრატია სერიოზულ სირთულეებს ქმნის. მინის

კერძო საკუთრებაში გადაცემის კანონები ბუნდოვანი და დამაბნეველია.

**სომხეთი** — 4 (მაღალი ბარიერები). უცხოური ინვესტიციებისათვის მცირე შეზღუდვები არსებობს, თუმცა არსებობს სხვა სახის შედარებით არაფორმალური შეზღუდვები, კერძოდ დუნე პრივატიზაციის პროცესი, არაადეკვატური ინფრასტრუქტურა და არაეფექტიანი საბანკო და სასამართლო სისტემები.

**აზერბაიჯანი** — 4 (მაღალი ბარიერები). მართალია მთავრობას სურს გაზარდოს უცხოური ინვესტიციები, მაგრამ კაპიტალდაბანდებებს ძირითადად მხოლოდ ნავთობის სექტორში აქვს ადგილი, რაც განპირობებულია არაეფექტიანი ლეგალური გარემოს, კორუმპირებული და გაუნვრთნელი ბიუროკრატიული აპარატის და სუსტი ინფრასტრუქტურის არსებობით. ამას გარდა, ყველა სახის უცხოურმა ინვესტიციამ უნდა მიიღოს სამთავრობო ნებართვა.

**რუსეთი** — 3 (ზომიერი ბარიერები). საერთაშორისო სტანდარტებით მცირეოდენი ლეგალური შეზღუდვები არსებობს უცხოური ინვესტიციებისათვის, გამონაკლისია საბანკო სფერო, დაზღვევა და ფასიანი ქაღალდები. აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის ინფორმაციით, რუსეთს სირთულეები აქვს სტაბილური და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაში და ის უცხოური კომპანიები, რომლებსაც რუსეთში სურთ ინვესტირება, არასაიმედო პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს გამო თავს იკავებენ კაპიტალდაბანდებისაგან.

**უკრაინა** — 3 (ზომიერი ბარიერები). მართალია კანონმდებლობის თვალსაზრისით უკრაინაში ყველაფერი წესრიგშია მოყვანილი, მაგრამ ყოვლისშემძველი კორუფცია, არაეფექტიანი ბიუროკრატია და მცირეოდენი პროგრესი რეფორმებში აფერხებს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

**თურქეთი** — 2 (დაბალი ბარიერები). თურქეთი შედარებით გახსნილია უცხოური ინვესტიციებისათვის. ადგილობრივ საწარმოთა საკუთრებაში უცხოელ ინვესტორთა წილის შეზღუდვას, როგორც წესი, ადგილი არა აქვს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მთავრობამ შეიძლება აუკრძალოს უცხოელ ინვესტორებს სრული საკუთრება.

**6. საბანკო სექტორი.**

**საქართველო** — 4 (შეზღუდვების მაღალი დონე). „საქართველოს საბანკო სისტემაში სრული ქაოსი სუფევს“ — ამგვარია უცხოელ ექსპერტთა შეფასება. მთავრობა თითქმის მთლიანად აკონტროლებს ადგილობრივ საბანკო სისტემას, ხოლო ბანკების უმრავლესობსი სათავეში მდგომი პირები არაკომპეტენტურნი არიან. აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის თანახმად, საქართველოს კანონით ნებადართულია ფინანსური რესურსების თავისუფალი დინება. მაგრამ პრაქტიკულად მსგავსი დინებები შეზღუდულია სუსტი და არასაიმედო ბანკთაშორისი კომუნიკაციის გამო და ჩვეულებრივი საბანკო გარიგებები საქართველოს შიგნით რამდენიმე დღეს გრძელდება.

**სომხეთი** — 3 (შეზღუდვების ზომიერი დონე). სომხეთის საბანკო სისტემა სულ უფრო და უფრო ეფექტიანი ხდება და დღევანდელი მონაცემებით 40-ზე მეტი კერძო ბანკი ფუნქციონირებს.

**აზერბაიჯანი** — 4 (შეზღუდვების მაღალი დონე). საბანკო სისტემა მძიმე მდგომარეობაშია. ბანკების

უმრავლესობა მთავრობის ხელშია და მათი დიდი ნაწილი გადახდისუუნაროა.

**რუსეთი** — 2 (შეზღუდვების დაბალი დონე). რუსეთის ბევრი სახელმწიფო ბანკი პრივატიზებულ იქნა და მათ შორის მძაფრი კონკურენცია მიმდინარეობს. საბანკო სისტემა ძალზე სწრაფად განვითარდა რუსეთში და მსხვილი ბანკები კლიენტებს ყველა სახის მომსახურებას სთავაზობენ.

**უკრაინა** — 4 (შეზღუდვების მაღალი დონე). უკრაინის საბანკო სისტემა ჯერ კიდევ მთავრობის მხრიდან რეგულირდება და კერძო ბანკები ვერ ახორციელებენ სერიოზულ საქმიანობას თავიანთი უსუსურობის გამო.

**თურქეთი** — 2 (შეზღუდვების დაბალი დონე). საბანკო სფერო ღიაა კონკურენციული ბრძოლისათვის და თურქეთში 20-ზე მეტი უცხოური ბანკიც მოქმედებს. გლობალური სტანდარტებით შეზღუდვების დონე დაბალია.

**7. ხელფასებისა და ფასების კონტროლი.**

**საქართველო** — 4 (კონტროლის მაღალი დონე). მთავრობა ჯერ კიდევ აწესებს ხელფასებსა და ფასებს. სამთავრობო სუბსიდიები სახელმწიფოს ხელში არსებული საწარმოებისათვის ინვესტაციებზე ფასების ხელოვნურ შემცირებას და მთავრობა აწესებს ფასს ელექტროენერგიაზე და ზოგიერთ მუნიციპალურ მომსახურებაზე.

**სომხეთი** — 3 (კონტროლის ზომიერი დონე). ფასების უმეტესობა ბაზრის მიერ რეგულირდება, თუმცა კონტროლი ვრცელდება ელექტროენერგიაზე და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე.

**აზერბაიჯანი** — 5 (კონტროლის ძალიან მაღალი დონე). მთავრობა ხელოვნურად დაბალ დონეზე აწესებს ფასებს საქონლის დიდ ნაწილზე, მაშინ როდესაც რეალურად ფასები იზრდება.

**რუსეთი** — 3 (კონტროლის ზომიერი დონე). ფასების დაახლოებით 90% წესდება ბაზარზე დამოუკიდებლად, 5% უშუალოდ მთავრობის მიერ, ხოლო დანარჩენი 5% კი — მთავრობის გარკვეული ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. ფასების კონტროლი ვრცელდება სანავაზზე, ხორბალზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, მედიკამენტებზე და სხვა.

**უკრაინა** — 3 (კონტროლის ზომიერი დონე). სახელმწიფო კონტროლი ვრცელდება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და კომუნალურ მომსახურებაზე.

**თურქეთი** — 3 (კონტროლის ზომიერი დონე). მთავრობის მხრიდან ფასების უშუალოდ დაწესება უმრავლესობა საქონელზე არ ხდება, მაგრამ სახელმწიფოს ხელში არსებული მსხვილი კორპორაციების საბითუმო ფასები კონტროლირდება მთავრობის მხრიდან.

**8. საკუთრებათა უფლებები.**

**საქართველო** — 4 (დაცვის დაბალი დონე). მთავრობის კონტროლის გაუვრცელებლობა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ხელს უშლის კერძო საკუთრებაზე უფლებების დაცვას. ჯერჯერობით საქართველოში არ არსებობს სრულიად ფუნქციონირებადი სასამართლო სისტემა და არც ლეგალური გარეშოა შექმნილი კერძო საკუთრების დასაცავად. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის თანახმად: „საქართველოს კონსტიტუციით არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო გარჩევის შესაძლებლობა. კონსტიტუციის მიღებამდე, სასამართლოები ხშირად განიცდიდნენ ზენოლას აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან. ეს მდგომარეობა დღემდე გრძელდება და მთავრობის აღმასრულებელი შტო ზემოქმედებს სასამართლოებზე, განსაკუთრებით კი დაბალი რიგის სასამართლოებზე“.

**სომხეთი** — 3 (დაცვის ზომიერი დონე). კერძო საკუთრება სომხეთში კანონითაა დაცული. „უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონის“ თანახმად ყველა დავა, რომელიც კი წარმოიშვება უცხოელ ინვესტორებსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის, უნდა იქნეს გადაწყვეტილი სომხეთის სასამართლოებში, რაც ზღუდავს საკუთრების მფლობელთა უფლებებს, განსაკუთრებით კი უცხოელ ინვესტორთა უფლებებს. სომხეთის სასამართლოები კი განიცდიან ზენოლას როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან.

**აზერბაიჯანი** — 4 (დაცვის დაბალი დონე). კერძო საკუთრება აზერბაიჯანში არ არის სათანადოდ დაცული, რაც სასამართლოების დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხით არის განპირობებული.

**რუსეთი** — 3 (დაცვის ზომიერი დონე). მართალია 1993 წელს მიღებული კონსტიტუციით კერძო საკუთრების დაცვა სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებულია, რეალური სიტუაცია სხვაგვარია. სასამართლო სისტემა ცუდად ფუნქციონირებს. ამას გარდა, კერძო საკუთრების დაცვის დონე განსხვავდება რეგიონების მიხედვით და კორუფცია და ორგანიზებულ დამნაშავეთა სამყარო სერიოზულ საფრთხეებს ქმნიან.

**უკრაინა** — 4 (დაცვის დაბალი დონე). უკრაინაშიც იგივე პრობლემები დგას კერძო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით, რაც სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში, კერძოდ კი ძირითადი პრობლემა აქაც არაეფექტიანი და კორუმპირებული სასამართლო სისტემაა.

**თურქეთი** — 2 (დაცვის მაღალი დონე). თურქეთის საკანონმდებლო სისტემა იცავს კერძო საკუთრებას. აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის თანახმად, მთავრობის ჩარევა სასამართლო სისტემაში ფაქტობრივად არ ხდება.

**9. რეგულირება.**

**საქართველო** — 4 (რეგულირების მაღალი დონე). საქართველოში ბიზნესის წამოწყება ხშირ შემთხვევაში ძალზე რთულია, განსაკუთრებით კი თუკი ბიზნესი უნდა შევიდეს კონკურენციაში სახელმწიფოს ხელში არსებულ საწარმოებთან. რეგულირება მეტწილად არასამართლიანად გამოიყენება და კორუფცია ხშირად ერევა საქმეში. აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის მიერ დადგენილ იქნა „კორუფციისა და დანაშაულებათა მაღალი დონე“ და „ცენტრალიზებული დაგეგმარებისა და ბიუროკრატიის ნარჩენები“, როგორც დამატებითი ხელისშემშლელი ფაქტორები.

**სომხეთი** — 4 (რეგულირების მაღალი დონე). აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის თანახმად, მიუხედავად მთავრობის შთაბეჭდავი წარმატებისა რეფორმების განხორციელების საქმეში, რეგულირებასთან დაკავშირებული პრობლემები ვერ იქნა დაძლეული.

**აზერბაიჯანი** — 4 (რეგულირების მაღალი დონე). აზერბაიჯანიც იმავე პრობლემების წინაშე დგას,

როგორც სომხეთი და საქართველო და აქაც ახალი საქმიანობის წამოწყება მნიშვნელოვან ბიუროკრატიულ ბარიერების გადალახვასთან არის დაკავშირებული.

**რუსეთი** — 4 (რეგულირების მაღალი დონე). რუსეთის სამართლებრივი და საკანონმდებლი რეფორმების განვითარებამ ვერ აუწყო ნაბიჯი კრიმინალური სამყაროს განვითარების ტემპებს. დამნაშავეთა სამყარო ფართოდ შეიჭრა კომერციულ საქმიანობაში, რაც სერიოზულად აფერხებს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას.

**თურქეთი** — 3 (რეგულირების ზომიერი დონე). თურქეთმა მოახერხა ბიუროკრატიული აპარატის შემცირება და რეგულირება მიმართა ბიზნესისათვის მაქსიმალური თავისუფლების მინიჭებისაკენ.

**10. შავი ბაზარი.**

**საქართველო** — 5 (აქტივობის ძალზე მაღალი დონე). ზოგიერთი გაანგარიშებით, საქართველოს შავი ბაზარი მოცულობით შეესაბამება ფორმალურ ბაზარს. იგი მოიცავს ისეთ საქმიანობას, როგორცაა მეკობრეული წესით მოპოვებული კომპიუტერული პროგრამების, კომპაქტ-დისკების და ვიდეოკასეტების რეალიზაცია, ასევე არალეგალურად დასაქმებული სამუშაო ძალა. კონტრაბანდული წესით შემოიზიდება მნიშვნელოვანი ოდენობის საქონელი თურქეთიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

**სომხეთი** — 4 (აქტივობის მაღალი დონე). შავი ბაზრის აქტივობა მაღალია ისეთ სექტორებში, როგორცაა ტრანსპორტი და დასაქმება. სავაჭრო ემბარგოს გამო ბევრი საქონელი კონტრაბანდის გზით შეიტანება სომხეთში. ასევე, სომხეთი არ უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას და მეკობრეობა ფართოდაა გავრცელებული.

**აზერბაიჯანი** — 4 (აქტივობის მაღალი დონე). კონტრაბანდა ფართოდაა გავრცელებული. იმის გამო, რომ ბარტერული ვაჭრობა ფართოდაა აპრობირებული, ეს ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოშობის სერიოზულ საბაბად გადაიქცა. აზერბაიჯანმა მიიღო საავტორო უფლებების, სავაჭრო ნიშნებისა და პატენტების დაცვის ახალი კანონები, რამაც გარკვეულად შეზღუდა შავი ბაზრის სიდიდე.

**რუსეთი** — 4 (აქტივობის მაღალი დონე). რუსეთის შავი ბაზრის მოცულობა კვლავ დიდი რჩება და სერიოზული პრობლემები არსებობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის თვალსაზრისით.

**უკრაინა** — 4 (აქტივობის მაღალი დონე). იმის გამო, რომ მთავრობა აკონტროლებს ეკონომიკის დიდ ნაწილს, ბიზნესის დიდი ნაწილი არაფორმალურ სექტორში მიმდინარეობს. მსოფლიო ბანკის შეფასებით, შავ ბაზარზე ინარმოება უკრაინის მშპ-ს დაახლოებით ნახევარი (ოფიციალურს პლუს არაოფიციალური ეკონომიკა).

**თურქეთი** — 3 (აქტივობის ზომიერი დონე). თურქეთის შავი ბაზარი მეტწილად მოიცავდა კონტრაბანდას, მაგრამ მას შემდეგ, რაც მიიღეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კანონები, რაც ძირითადად ევროკავშირში განწევრიანების სურვილით იყო ნაკარნახევი, მდგომარეობა გარკვეულად შეიცვალა.

როგორც ვხედავთ, საქართველოს შეფასება უცხოელი ექსპერტების მხრიდან არცთუ სახარბიელოა და მსოფლიოს 156 ქვეყანას შორის საქართველო 114-ე ადგილზე იმყოფება. აღნიშნული გარემოება ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ. ამიტომაც საჭიროა სერიოზული მუშაობა, რათა მოხდეს საქართველოს საერთო შეფასების გარკვეულწილად გაუმჯობესება, მით უმეტეს თუკი გავითვალისწინებთ, რომ მსგავსი განვითარების მქონე ქვეყნებმა ამ მხრივ გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს (ასე მაგალითად, ესტონეთი მე-17 ადგილზე იმყოფება). განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის შემცირებას და მონეტარულ პოლიტიკას, სადაც საქართველოს შეფასება ძალზე არასასურველია და ამ მხრივ აღსანიშნავია ის სერიოზული წარმატება, რომელიც მიღწეულ იქნა ინფლაციასთან ბრძოლაში და ეს ფაქტი აუცილებლად ჰპოვებს ასახვას მომდევნო წლების შეფასებებში. ასევე საჭიროა, რომ თანდათანობით მოხდეს ფასების და ხელფასების ლიბერალიზაცია, რეგულირების შეზღუდვა და საბანკო სისტემის განვითარების სტიმულირება.



# საქართველოს საბანკო სისტემა

დავით ლომია

1995 და 1996 წლები თამამად შეიძლება საქართველოში ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და გარდატეხვის წლებად ჩაითვალოს. გატარებული რეფორმების შედეგად ქვეყანამ უმოკლეს ვადებში დაძლია პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი უმწვავესი კრიზისი. ამ წლებში სტაბილიზაციის პროგრამის ამოქმედებამ გამოიწვია ბიუჯეტის ფისკალური დეფიციტის შემცირება და ფულადი მასის შეზღუდვა, სუბსიდიების ძირითადი ნაწილის შეზღუდვა, დაბეგვრის მექანიზმების და საბანკო ზედამხედველობის გამკაცრება, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ეროვნული ვალუტის — ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა და სხვა.

უკანასკნელ პერიოდში ასევე ბევრი რამ გაკეთდა საქართველოს დამოუკიდებელი საბანკო სისტემის შესაქმნელად: მეტნაკლებად მონესრიგდა საბანკო საკანონმდებლო ბაზა; გადაიკეტა მიმოქცევაში ფულის უკონტროლოდ გამოშვების არხები; ყალიბდება საფინანსო ბაზარი (ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა, საფონდო ბირჟა); კომერციული ბანკების საქმიანობა რეგულირდება ეროვნული ბანკის ნორმატივებით.

როგორც სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რეფორმების პროცესის ადრეულ სტადიაზე მყოფთათვის, საქართველოს საბანკო სექტორი არ ასრულებს უმთავრეს როლს საფინანსო შუამავლობაში. მიზეზი შეიძლება იყოს საერთოდ გარდამავალი ეკონომიკა და მჭიდრო ურთიერთკავშირი სხვა დარგების განვითარებასთან.

## ბანკები ზუსტად ასახავენ იმ ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ.

საბანკო სისტემის განვითარებას თუ ისტორიასთან კონტექსტში გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ მის ძირითად პრობლემებს: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღებამდე საქართველოს საბანკო სისტემაში შედიოდა ცენტრალური და დარგობრივი სახელმწიფო ბანკები (80-იან წლებში საქართველოში წარმოიშვა 5 დარგობრივი ტიპის სპეციალიზირებული სახელმწიფო ბანკი: საექსპორტო ბანკი - ექსიმბანკი, სამრეწველო ბანკი - მრეწმშენბანკი, სოფლის მეურნეობის ბანკი - აგრომრეწბანკი, კომუნალური მეურნეობის მომსახურების ბანკი - ბინსოცბანკი და შემნახველი ბანკი). საკანონმდებლო ბაზის ლიბერალიზაციის პირობებში დაიწყო ახალი კომერციული ბანკების წარმოშობა. მათ სიმრავლეს ხელი შეუწყო რეალური სანესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის შემცირებამ, რაც განპირობებული იყო მზარდი ინფლაციური პროცესებით. ამ დროს უკონტროლოდ იყო მათი საქმიანობის ხარისხი და პროფესიონალიზმი. ბანკები უმთავრესად კრედიტების მიზნობრივად განაწილებით ან ეროვნული ბანკიდან აღებული კრედიტების რეფი-

ნანსირებით იყვნენ დაკავებული, ასევე დიდ მოგებას პოულობდნენ შავ ბაზარზე სპეკულაციური სავალუტო ოპერაციებით.

პიპერინფლაციის პირობებში კომერციული ბანკები აღმოჩნდნენ თავისუფალი ფინანსური რესურსების დეფიციტის პირობებში, გაიზარდა საკრედიტო რისკი, შემცირდა ოპერაციების მომგებიანობა. ამას დაემატა კომერციული ბანკების გაკოტრების შედეგად გამოწვეული — საბანკო სისტემის ანტირეკლამა.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მისაღწევად განხორციელებულმა რეფორმებმა, ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღებამ, ინფლაციური პროცესების კონტროლმა, გაცვლითი კურსის სტაბილიზაციამ, ნათლად დაგვანახა საბანკო სისტემის უუნარობა და საჭირო შეიქნა მისი რესტრუქტურალიზაცია. ასევე გამოირკვა, რომ საწარმოებზე გაცემული კრედიტების უმთავრესი ნაწილი „უიმედო“ კრედიტები იყო. ამ პრობლემის წინაშე დადგა პირველ რიგში დიდი სახელმწიფო ბანკები (სამი ყოფილი სახელმწიფო ბანკი განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, ძირითად სირთულეს აქ „უიმედო“ სესხების დიდი წილი ქმნის. ბევრი მათგანი 90-იან წლების დასაწყისში გაჩნდა) და ახალი კომერციული ბანკების უდიდესი ნაწილი.

ასეთი ვითარების რეგულირების მიზნით 1995 წლის ოქტომბრიდან ძალაში შევიდა გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების გათვალისწინების სისტემა. „უიმედო“ სესხების ჩამოწერის მიმართ აღმოცავლეთ ევროპასა და დსთ ქვეყნებში მიღებული შე-

დარებით რბილი მიდგომის საპირისპიროდ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოსთხოვა ბანკებს სესხის დაკარგვის საშიშროების შემთხვევაში შესაბამისი რეზერვების დაუყოვნებლივ შექმნა და 6 თვით ვადაგადაცილებული სესხების სრული ჩამოწერა. სარეზერვო მოთხოვნები შემდეგია: ახალი სესხი - 2%, 1 - 30 დღით ვადაგადაცილებული სესხი - 10%, 31 - 60 დღით — 30 - 50%, 61 - 90 დღით — 50 - 70%, 90 დღეზე მეტად - 100%.

„უიმედო“ კრედიტორული დავალიანებები განაპირობებენ ქვეყნის საწარმოებში შექმნილ რთულ სიტუაციას, რომლის დაძლევაც შესაძლებელია მრეწველობის განვითარებით, სასამართლო რეფორმების განხორციელებითა და შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების სრულყოფით. ამ პროცესებს ხელი უნდა შეუწყოს მდგრადმა საბანკო სისტემამ ჯანსაღი საინვესტიციო და სადებორზიტო პოლიტიკის განხორციელებით.

1991-1994 წ.წ. ეროვნული ბანკის პოლიტიკა მიმართული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე და კომერციული ბანკების ფართო რეფინანსირებაზე. ეს პოლიტიკა ეხმარებოდა ახალი ბანკების წარმოშობას. საბანკო საქმიანობისთვის ლიცენზიის აღება არ იყო რთული. არავინ არ ამოწმებდა ბანკის პირველადი კაპიტალის წყაროებს, არასაკმარისი

ყურადღება ეთმობოდა ბანკის თანამშრომლების მომზადების დონესა და ხელმძღვანელების პროფესიონალიზმს.

საწყისს პერიოდში პირველადი კაპიტალის მინიმალური რაოდენობა იყო 500 მლნ კუპონი, რომელიც უთანაბრდებოდა 700 ათას USD-ს. ჰიპერინფლაციის პირობებში 1994 წ. ეს თანხა უკვე ეკვივალენტი იყო 500 USD-ს. ამის შედეგად 1995 წ. საბანკო საქმიანობის ლიცენზია 230 ბანკს ჰქონდა, საიდანაც ნახევარს საწესდებო კაპიტალი საშუალოდ 5000 USD ჰქონდა.

ბანკებს სისტემატიურად ეცვლებოდათ ვალდე-

**1994 წელს 500 აშშ დოლარით შესაქლებელი იყო ბანკის ბაზსნა**

ბულება - 1996 წელს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოცულობა გაზრდილი იქნა 100 ათას USD-მდე. შემდგომ, 1998 წლის ივნისამდე უნდა გაეზარდათ საწესდებო კაპიტალი 500 ათას USD-მდე. საერთოდ საწესდებო კაპიტალის ზრდის გრაფიკის შეუსრულებლობის შედეგად 60 ბანკი იქნა დახურული. საერთო რეგულაციების ნესებს დაექვემდებარენ სახელმწიფო ბანკებიც და მოხდა მათი განსახელნიფოებრიობა, რითაც ეროვნულმა ბანკმა პრაქტიკულად დაამთავრა სამსაფეხურიანი სისტემის (ცენტრალური, სახელმწიფო და კომერციული ბანკები) ორსაფეხურიანად (ცენტრალური და კომერციული ბანკები) გარდაქმნა.

ახალმა კომერციულმა ბანკებმა პოზიცია გაიძლიერეს ყოფილ სახელმწიფო ბანკებთან შედარებით. სახელმწიფო ბანკების საქმიანობის შეზღუდვის პერიოდში დანარჩენმა ბანკებმა მიიღეს შესაძლებლობა უფრო აქტიური ზრდისა და განვითარებისა, რაც უკეთესმა პროფესიონალურმა მოქნილობამ გამოიწვია. 1995 წელს ყოფილი სახელმწიფო ბანკების წილი საბანკო სექტორის აქტივებში 70% იყო, ხოლო 1997 წლის ბოლოს 29%-ს მიაღწია.

1996 წლის დეკემბერში მიღებული იყო გადაწყვეტილება აიძულონ კომერციული ბანკები 2000 წლის 31 დეკემბრისთვის მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოცულობა იყოს 5 მლნ ლარი (რაც 3,8 მლნ USD-ს ეკვივალენტურია). ასევე დადგინდა მოქმედი კომერციული ბანკებისათვის განაღდებული საწესდებო კაპიტალის ფულად ფორმაში მინიმალური ოდენობის ზრდის განრიგი:

- ა) 1998 წლის 31 დეკემბერი — არანაკლებ 1 მლნ. ლარი;
- ბ) 1999 წლის 30 ივნისი — არანაკლებ 2 მლნ. ლარი;
- გ) 1999 წლის 31 დეკემბერი — არანაკლებ 3 მლნ. ლარი;
- დ) 2000 წლის 30 ივნისი — არანაკლებ 4 მლნ. ლარი;
- ე) 2000 წლის 31 დეკემბერი — არანაკლებ 5 მლნ. ლარი;

**2000 წლის 31 დეკემბრისათვის ყველა კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალი 5 მლნ. ლარი უნდა იყოს.**

ამის შედეგად საქართველოში 1995 წლის დასაწყისიდან (როცა მოქმედებდა 230 ბანკი) 1997 წლის ბოლომდე არსებობა შეწყვიტა 180 საბანკო დაწესებულებამ. ასეთი ისტორიას არ ახსოვს, ორნახევარწელიწადში არსებობა შეწყვიტა რეგისტრირებული ბანკების 80%. 70%-მდე ბანკებმა შეწყვიტეს საქმიანობა ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზიების გამოთხოვნის შედეგად, 13%-მა თვითლიკვიდაცია მოახდინა, 17% შეერწყა ან გაერთიანდა.

საბანკო სისტემის განმწინდა პატარა და სუსტი ბანკებისაგან უდაოდ დადებითი ფაქტია. შეწყვიტეს არსებობა იმ ბანკებმა, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ არა მხოლოდ მინიმალურ საბანკო ზედამხედველობის მოთხოვნებს, არამედ არ ჰქონდათ განვითარების არავითარი შანსი. ამ მოთხოვნის შედეგად მომავალშიც მოსალოდნელია ბანკების რიცხვის შემცირება.

„განმწინდილი“ საბანკო სისტემის ძირითად ნაკლოვანებად კვლავ რჩება ბანკების საკუთარი კაპიტალის დაბალი დონე. 1997 წლის განმავლობაში საბანკო სისტემა საწესდებო ფონდი 3 მლნ ლარით გაიზარდა და 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მისმა ოდენობამ 9 მლნ ლარი შეადგინა. მოქმედი 53 ბანკიდან მინიმალური საწესდებო ფონდის ფორმირება უზრუნველყო: 18 კომერციულმა ბანკმა — 250 ათ. ლარიდან 500 ათ. ლარამდე, 6 კომერციულმა ბანკმა — 500-დან 650-მდე, 22 კომერციულმა ბანკმა — 650-დან 2 მლნ-მდე, 7 კომერციულმა ბანკმა — 2 მლნ-დან 4 მლნ-მდე და მეტ ლარამდე.

**1998 წლის 1 იანვრისათვის კომერციული ბანკებისთვის ფულადი სახით საწესდებო ფონდის დადგენილი 500 ათ. აშშ დოლარის ეკვივალენტის მინიმალური ზღვარი 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადალახა 35 კომერციულმა ბანკმა.**

1998 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით (იხ. დანართი №1) 3 ბანკის (გაერთიანებული ქართული ბანკი, ბანკი „როსიისკი კრედიტი-ქართუ“ და ივერთბანკი) საწესდებო კაპიტალი აღემატება 9 მლნ. ლარს. 2 ბანკს (აგრობანკი და საქართველოს ბანკი) აქვს - 5-დან 9 მლნ ლარამდე, 4 ბანკს (ბანკი „აბსოლუტი“, შავი ზღვის საერთაშორისო ბანკი, თბილკომბანკი და ინტელექტბანკი) აქვს 3-დან 5 მლნ-მდე, 8 ბანკს აქვს 1-დან 3 მლნ-მდე და დანარჩენ ბანკს 1 მლნ-მდე.

ჩვენი აზრით მოქმედი ბანკებისათვის საწესდებო კაპიტალის ფულად ფორმაში მინიმალური ოდენობის ზრდის გრაფიკის დადგენა საკვალდებულო დირექტიული მოთხოვნით არ უნდა ხდებოდეს.

საწესდებო კაპიტალის ზრდა თვით ბანკების ინტერესებშია, ვინაიდან მათი საქმიანობა სამწინარმეო საქმიანობაა და მიზნად ისახავს მოგების მიღებას.

ამიტომ რაც უფრო დიდია საწესდებო კაპიტალი, მით უფრო მეტია თავისუფალი რესურსების მოზიდვის, დაბანდების და მოგების ზრდის შესაძლებლობა.

რაც შეეხება ბანკის სტაბილურობას,

იმედიანობასა და მდგრადობის უზრუნველყოფას იგი დამოკიდებულია არა მარტო სანესდებო კაპიტალის სიდიდეზე, არამედ პირველ რიგში ბანკის მიერ სწორად შემუშავებულ სტრატეგიაზე და პოლიტიკაზე, რომლის განხორციელებაც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. გარდა ამისა ბანკების საქმიანობის სტაბილურობასა და მდგრადობის უზრუნველყოფას იცავს ეროვნული ბანკი ზედამხედველობის წესით, მის მიერ დადგენილი ნორმატივებისა და მეთოდების მეშვეობით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკები, რომლებიც ვერ შეძლებენ სანესდებო კაპიტალის გაზრდას, მის ბაზაზე თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვასა და მათ ეფექტურ დაბანდებას მოგების მისაღებად, კონკურენციული გარემო თვითონ აიძულებს გაერთიანდნენ, შეუერთდნენ სხვა ბანკებს, გადაკეთდნენ ფილიალებად ან შეწყვიტონ საბანკო საქმიანობა. გადარჩენის რამდენიმე ვარიანტი არსებობს:

1. ინვესტიციების მოზიდვა
2. შერწყმა-გაერთიანება
3. შთანთქმა.

ამ მხრივ შეუძლებელია არ აღვნიშნოთ მსოფლიოში დღეს მიმდინარე გაერთიანების პროცესი - UNION BANK OF SWITZERLAND-ისა (UBS) და SWISS BANK CORPORATION-ის (SBC) გაერთიანება, რომელიც მსოფლიო საბანკო სისტემაში დეკემბრის თვის სენსაციად იქცა. ეს ახალი გაერთიანება UBS მსოფლიო 10 უძლიერესი და უმსხვილესი ბანკის სიაში I, II და III ადგილი უკავია სხვადასხვა მაჩვენებლებით. სპეციალისტებმა ასევე მოახდინეს მოსალოდნელი შერწყმა-გაერთიანების მონახაზი:

1. საფრანგეთი: შესაძლოა BANK NATIONAL DE PARIS, CREDIT LYONNAIS და CIC-ის გაერთიანება
2. გერმანია: DRESDNER BANK-ისა და COMMERZBANK-ის გაერთიანება
3. ბენილუქსი: KREDITBANK, CGER და RABOBANK, GENERAL DE BANQUE და ABN-AMRO დაინტერესებულნი არიან CIC-ით. ABN-AMRO-მ შეიძლება შეიერთოს DETCHINSUPER AEGON -ი
4. დიდი ბრიტანეთი: BARCLAYS NATWEST შესაძლოა, ასევე დიდი ბანკებისა და ყოფილი სამშენებლო კომპანიების გაერთიანებები.

თუ ბანკი ინარჩუნებს სტაბილურობას, მდგრადობას, შეუფერხებლად ასრულებს ვალდებულებებს, არის ლიკვიდური და მომგებიანი, გაუგებარია ამ შემთხვევაში რატომ უნდა დაჯარიმდეს ფულადი ფორმით და გაუუქმდეს მას ლიცენზია (სადაც დასაქმებულია ათობით ადამიანი, ასობით მეანბრეები იღებენ დივიდენდებს და ბიუჯეტი კი შემოსავალს) სავალდებულო მინიმალური სანესდებო კაპიტალის ზრდის გრაფიკის შეუსრულებლობის გამო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული მეთოდებით ბანკების რაოდენობის შემცირება და ამის შედეგად ვითომ ძლიერი საბანკო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება მიზანშეუწონავად მიმაჩნია. პირველ რიგში ეროვნული ბანკის ბრძანება „საქართველოს კომერციული ბანკის სანესდებო კაპიტალის (ფონდის) მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ უხეშად არღვევს კანონს

„მინოპოლური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“. მეორე ის არის, რომ წერილ ბანკებს აქვთ ბაზარზე თავისი სეგმენტი და მომსახურების მაღალი დონე, ხოლო ამის ათვისება „მსხვილი“ ბანკებისთვის თითქმის შეუძლებელი იქნება.

### ეროვნული ბანკის ბრძანება "საქართველოს კომერციული ბანკების სანესდებო კაპიტალის (ფონდის) მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ხელს შეუწყობს მონოპოლური საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას

ჩვენი წინადადებაა მივცეთ ბანკებს დამოუკიდებელი ფუნქციონირების უფლება და ნუ ვიმოქმედებთ მათზე ადმინისტრაციული წესით სანესდებო კაპიტალის სავალდებულო ზრდასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა თუ ისინი იცავენ სტაბილურობას, მდგრადობას და ლიკვიდურობას, რომლის შემომშებასაც ზედამხედველობის წესით ახორციელებს ეროვნული ბანკი.

საქართველოს საბანკო სისტემის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ამაღლებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელი ბანკების ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის შექმნამ. კომერციული ბანკების ზედამხედველობა ხორციელდება, როგორც მათ მიერ ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი საბალანსო მონაცემების, ისევე ადგილზე შემონმების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით.

1994 წლის ბოლომდე ეროვნული ბანკი ფაქტიურად არ ახორციელებდა ზედამხედველობას. 1995 წელს სიტუაცია შეიცვალა და განხორციელდა ბანკების ზედამხედველობის სამმართველოს რეორგანიზაცია. 1997 წელს მასში შედიოდა: ადგილებზე ინსპექციის განყოფილება, საბანკო აღრიცხვიანობის განყოფილება, მეთოდისა და ანალიზის განყოფილება და უშუალო კონტროლის განყოფილება. სამმართველოში მუშაობდა 30 კაცი. ასეთი მცირე შტაბით და დიდი რაოდენობის ბანკების პირობებში, სამმართველომ ცენტრალური მეთოდებით დაიწყო სიტუაციის ნორმალიზება. პირველ რიგში გაზარდა კომერციული ბანკების მინიმალური სანესდებო კაპიტალის მოცულობა, შემდეგ უცხოეთის ექსპორტების დახმარებით შემუშავდა უსაფრთხოების ნორმების სისტემა. საბანკო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით ძირითადი აქცენტი აღებულია ეროვნული ბანკის მიერ ნორმატიული აქტებისა და კაპიტალის მინიმალური დონის ზედამხედველობის სამსახურის გაძლიერების შესრულებაზე. ამ მიმართულებით, აზიის ბევრი სახელმწიფო დღესდღეობით ფინანსურ კრიზისში იმყოფება სწორედ საბანკო სისტემის არაადეკვატური ზედამხედველობის გამო. საქართველოსთვის ეს ნიშნავს, რომ იმ ბანკებისადმი, რომლებიც არღვევენ ნორმატიულ აქტებს გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული. იმისათვის, რომ მოხდეს ბევრი ბანკის გაერთიანება ან დახურვა, გადაწყვეტილია მათი მინიმალური კაპიტალის მოთხოვნების დონე მუდმივად გაიზარდოს, რითაც შემცირდება მათი რაოდენობა და შედეგად საქართველოში ძლიერი საბანკო ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბდება. ამ მიზნით განხორციელდა ბანკე-



ბის სერტიფიკაციის პროგრამა.

სერტიფიკაციის პროცესში გამოსაყენებლად სპეციალური სანქციებისა და სტიმულირების სისტემა იქნა შემუშავებული. სერტიფიცირებულ ბანკებს გაუადვილდათ საკრედიტო აუქციონებში მონაწილეობის მიღება. მათ მიეცათ უფლება ისესხონ თანხა, რომლის მოცულობა არ აღემატებოდა მათი სავალდებულო რეზერვების 90%-ს, განსხვავებით 75%-იანი ლიმიტისაგან არასერტიფიცირებული ბანკებისათვის.

**1998 წლის დასაწყისში ეროვნული ბანკის სპეციალური სანქციებით კომერციული ბანკებიდან შემოვიდა 298719 ლარი**

1998 წლის დასაწყისში მინიმალური სანესდებო ფონდის დაგვიანებით შეესებინა გამო დაჯარიმდა 18 ბანკი. მათ მიერ გადახდილი ჯარიმის საერთო თანხამ 144214 ლარი შეადგინა. სავალდებულო რეზერვების შეუვსებლობის გამო 34 ბანკის მიმართ გამოყენებული იქნა საჯარიმო სანქცია, რომლის ოდენობამაც 154505 ლარი შეადგინა. 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ანგარიშზე მობილიზებული თანხის ოდენობამ 16 მლნ ლარი შეადგინა. სავალდებულო რეზერვების ნორმის შესრულება 53 ბანკიდან ვერ უზრუნველყო 7-მა ბანკმა 2 მლნ ლარის ოდენობით.

ბანკების სერტიფიკაციის პროგრამის შედეგად 1997 წლის ბოლოს საქართველოში მოქმედებდა 53 ბანკი. აქედან 49-მ გაიარა სერტიფიკაცია, ხოლო 1998 წელს მათ დაემატა თურქეთის „ემლაქ“ ბანკის ფილიალი.

1995 წელს ბანკები ძირითად შემოსავლებს ლეზულობდნენ სავალუტო ოპერაციებისაგან. ეროვნული ვალუტის შემოღებამ და მისი კურსის სტაბილიზაციამ კომერციულ ბანკებს თითქმის მოაშორა ეს შემოსავლის წყარო, ხოლო 1997 წელს ასეთი სახის შემოსავლების წილი ძალიან შემცირდა ბანკის საერთო შემოსავალში.

**1998 წლის დასაწყისში სავალუტო ოპერაციები კომერციული ბანკების საერთო შემოსავლის 10-15%-ს შეადგინდა.**

დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს საბანკო სისტემის მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ინტეგრაციას და უცხოური გამოცდილების გაცნობას. მსოფლიო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა უცხოური ვალუტით მიმდინარე ვაჭრობის ორი ფორმა: ბანკთაშორისი ვაჭრობა და სავალუტო აუქციონები.

უპირატესობა მინიჭებული აქვს ბანკთაშორის ბაზარს, რომელიც ფუნქციონირებს კერძო სექტორში და მისი მონაწილენი არიან კერძო ბანკები და სავალუტო დილერები. ბანკთაშორის ბაზარზე ვალუტის კურსი განისაზღვრება ბანკებსა და მის კლიენტებს შორის გარიგებათა პროცესში, აგრეთვე სხვა საბანკო დაწესებულებებს შორის გარიგებისას და ეს კურსი თავისუფლად იცვლება ყოველდღიურად და ყოველსაათობრივად.

ქვეყანათა ერთი ნაწილი მიმართავს ვალუტით ვაჭრობის მეორე ფორმას—სავალუტო აუქციონებს. აუქ-

ციონები ბანკთაშორისი ბაზრებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ მთავრობა ატარებს და იქ დაწესებული კურსი ძალაში რჩება მომდევნო აუქციონამდე. ვალუტით მიმდინარე ვაჭრობის ამ ორი ფორმადან მთავრობა უპირატესობას აძლევს იმ ფორმას, რომელიც უფრო შეესაბამება ქვეყნის ადგილობრივ ინსტიტუციონალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს.

საქართველოს მთავრობა, ისევე როგორც განვითარებად ქვეყნებში, ახდენს ვალუტით მიმდინარე ვაჭრობის ადრე აღნიშნული ორივე ფორმის რეგულირებას, მაგრამ რეგულირების დონე უფრო მკაცრია აუქციონის პირობებში.

ქვეყნებს შორის კაპიტალების მოძრაობის სფეროში სამთავრობო პოლიტიკა მოიცავს სკიზოტა ფართო წრეს, რომლებიც მოიცავენ სავალუტო შეზღუდვებს; უცხოური სესხების მიღება-დაფარვის, კაპიტალების გადინების შეჩერების, უცხოური ვალის კონვერსიის ლონისძიებებს და ა.შ.

სავალუტო შეზღუდვების სიდიდის მიხედვით ქვეყნები დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად:

1. ქვეყანათა მცირე ჯგუფი ფაქტობრივად არ იყენებენ სავალუტო შეზღუდვებს არა მარტო მიმდინარე ვაჭრობაზე, არამედ კაპიტალებისა და კრედიტებზე.

2. ქვეყანათა ჯგუფი, სადაც უცხოური სესხების მიღება შეზღუდული არ არის, მაგრამ ცენტრალური ბანკი ინფორმირებულ უნდა იქნეს საკრედიტო გარიგების ხელმოწერამდე, რათა განახორციელოს პირდაპირი სტატისტიკური კონტროლი საგარეო დავალიანებათა მოცულობაზე.

3. ქვეყნების ჯგუფი (მათ შორის საქართველო), სადაც სავალდებულოა წინასწარი ნებართვა სავალუტო ოპერაციების განსახორციელებლად.

საქართველოში დღეისათვის უპირატესობა მინიჭებული აქვს აუქციონის ტიპის ვაჭრობას. კერძოდ, ამ მიზნებისათვის ჩამოყალიბებულია თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა, რომელზეც დაფიქსირებული ლარის სავალუტო კურსის ეროვნული ბანკის მიერ აღიარება ხდება, როგორც ოფიციალური სავალუტო კურსი.

მსოფლიოში ერთი გარიგების მინიმალური ოდენობა უდრის ერთ მილიონ აშშ დოლარს, რუსეთში ამ მხრივ მიახლოებული მდგომარეობაა, კერძოდ ერთი გარიგება ტოლია 100000 აშშ დოლარის, საქართველოში კი - 10000 აშშ დოლარისა.

სავალუტო ბაზრის ამ მოკლე მიმოხილვიდან გადავალ ჩვენი ქართული რეალობის განსილვაზე და რამოდენიმე მოსაზრებას შემოგთავაზებთ მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ქართულ საბანკო დაწესებულებათა შესაძლო მონაწილეობის შესახებ.

ნებისმიერმა დაინტერესებულმა ქართულმა კომერციულმა ბანკმა უნდა შეიმუშავოს სადილინგო სფეროში ოპერაციათა წარმოების პოლიტიკა, განსაზღვროს ღია სავალუტო პოზიციის ზღვრული ლიმიტები და ზარალის შემთხვევაში ამ უკანასკნელის დასაშვები მაქსიმალური ოდენობა.

საერთაშორისო ანგარიშსწორება აუცილებელს ხდის ერთი ვალუტის მეორეზე კონვერტაციას. მაგა-

ლითისათვის, რუსეთის ლითონის ექსპორტიორს თურქეთში აინტერესებს არა თურქული ლირა, არამედ რუსული რუბლი. ანალოგიური მდგომარეობაა გერმანული მერსედესების ექსპორტისას საქართველოში, სადაც გერმანელებს აინტერესებთ არა ქართული ლარი, არამედ გერმანული მარკა. ექსპორტიორთა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია საერთაშორისო სავალუტო ბაზრის მეშვეობით. ამ საერთაშორისო ბაზარზე ხდება ვალუტის გაცვლა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ცენტრალიზებულ ბაზართან, არამედ სავალუტო მექანიზმებისა და ბერკეტების ერთობლიობასთან. მას აქვს სრულიად არაოფიციალური ხასიათი. არ გააჩნია განსაზღვრული სამუშაო საათები და რაც ყველაზე საინტერესოა ამ ბაზარს არა აქვს ვაჭრობის სტანდარტული წესები. დადებულ გარიგებებში კი ხელმძღვანელობენ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეთიკური პრინციპებით და აპრობირებული პროცედურებით.

უცხოურ ვალუტაში ოპერაციებს ახორციელებს თითქმის ყველა ბანკი, მაგრამ მათი მონაწილეობა განსხვავდება სავალუტო კურსზე ზემოქმედების და სავალუტო რეზერვების ზომით. ბანკებს, რომლებიც ქმნიან და მხარს უჭერენ საერთაშორისო სავალუტო ბაზარს, კერძოდ მიჰყავთ სავალუტო პოზიცია და ინახავენ რეზერვებში საკმაო რაოდენობით უცხოურ ვალუტას, ეწოდებათ "მარკეტ-მეიკერები". მათ მიერ დაფიქსირებულ სავალუტო კურსს იყენებენ დანარჩენი საბანკო დაწესებულებები, რომლებსაც ეწოდებათ "მარკეტ-იუზერები". ამ დომინანტი ბანკებთან ურთიერთობა ნებისმიერი ქართული ბანკისათვის რალა თქმა უნდა სასურველი და მეტად ნაყოფიერი იქნება, რამეთუ მათ დროის ნებისმიერ მომენტში ექნებათ ჩვენი კლიენტურისათვის საჭირო ვალუტის განსაზღვრული ოდენობა.

როგორც ვიცით, მსოფლიო სავალუტო ბაზრის ყველაზე მსხვილი ცენტრები მდებარეობენ: ლონდონში, ნიუ-იორკში, ფრანკფურტში და ტოკიოში. ამასთან არსებობს საკმაოდ საინტერესო პერსპექტივა ახალი რეგიონალური ცენტრის ჩამოყალიბებისა, კერძოდ მოსკოვში.

ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა დასავლეთის-ს და ამიერკავკასიის სავალუტო ბაზრები. ეს ბაზრები გამოირჩევიან თავიანთი სიჭრელით, მრავალფეროვნებით, აუთენტიკულობით და მთელი რიგი დადებითი თავისებურებებით.

საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე მრავალი მოულოდნელი და მეტად საინტერესო წინადადებაა, რომელთა რეალიზაციაში მონაწილეობა მაღალი მოგების მიღების საწინდარი შეიძლება გახდეს. ნებისმიერ ქართულ ბანკს, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი საბანკო ტექნოლოგიებით და აქვს მჭიდრო პარტნიორული კავშირები ურთიერთობები საერთაშორისო სავალუტო ბაზრის დომინანტი ბანკების საფინანსო ჯგუფებთან შეუძლიათ სარგებლის მიღება სხვაობის სახით „მყიდველის ფასსა“ და „გამყიდველის ფასს“ შორის, რომელიც ხშირად თანხის 1%-საც უახლოვდება.

სავალუტო ოპერაციებზე დასპეციალიზებული მცირე ბანკები ძირითადად გამოდიან ბრიკერთა რო-

ლში. ამ ამპლუაში ისინი დიდი სავალუტო რეზერვების არქონის გამო მართალია ვერ ახერხებენ „პოზიციის მხარდაჭერას“, მაგრამ აპრობირებული პოზიციის დაცვით უზრუნველყოფენ მყიდველის გაყვანას გამყიდველზე, რისთვისაც იღებენ მოგებას საკომისიოს სახით.

ამ პროცესებში ორიენტაციის სისწორის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია ბანკი ან საფინანსო ჯგუფი ფლობდეს ამომწურავ ინფორმაციას იმ ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკურ სიტუაციაზე, რომლის ვალუტაზეც არის ორიენტირებული მოცემული ბანკი. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულ ბანკს უნდა ჰყავდეს ძლიერი ანალიტიკური ჯგუფი, რომელიც რეგულარულად მოახდენს არსებული სიტუაციის ანალიზს და სამომავლო პროცესების პროგნოზირებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დსთ-ს სავალუტო ბაზარი. ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი დამაფიქრებელი ფაქტი, კერძოდ ქართული საბანკო დაწესებულებები ფლობენ ძალიან მწირ ინფორმაციას „დსთ“-ს სივრცეში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე.

ამასთან, სავალუტო ბაზარზე მიმდინარე პროცესების განხილვა სასაქონლო ბაზარზე არსებული სიტუაციისაგან იზოლირებულად არასწორად მიმაჩნია, რამეთუ მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. აქვე უნდა ითქვას, რომ „დსთ“-ში შემავალ სახელწიფოთა შორის სავაჭრო ურთიერთობათა მასშტაბები განუხრელად იზრდება და ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნებულ იქნება.

აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ არცთუ იშვიათად „დსთ“-ში შემავალ სახელმწიფოთა მთავრობები იღებენ ეკონომიკური ხასიათის არაორდინალურ გადაწყვეტილებებს საკუთარი ეროვნული ვალუტის, წარმოების დასაცავად. ასე მაგალითად: ყაზახეთში, უზბეკეთში და თურქმენეთში შემოღებული აქვთ სპეციფიკური შეზღუდვები ვითომდა საკუთარი სავალუტო ბაზრის დაცვის მიზნით. თუმცა „დსთ“-ს ბაზარზე მოქმედი დომინანტი ბანკები ადგილობრივი ბიზნესმენებისა და ბანკების დახმარებით პოულობენ სარგებლებს, რომლითაც არ არღვევენ ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილ ნორმატივებს და ამასთან ახორციელებენ სავალუტო ოპერაციებს აპრობირებული საბანკო ტექნოლოგიების მეშვეობით.

ამგვარ ოპერაციებზე მუშაობისას დომინანტი ბანკი ძალაუნებურად იღებს უნიკალურ ყოვლისმომცველ ინფორმაციას ბაზრის მოცემულ სეგმენტზე არსებული ინფორმაციის შესახებ და აქედან გამომდინარე თავის კლიენტურას მარტივი რეკომენდაციების მაგივრად უკვე სთავაზობს დოკუმენტების პაკეტს, რომელშიც შედის ოპერაციები, დაწყებული საქონლის ხარისხის დადგენით და დამთავრებული საბანკო მომსახურებით.

თუმცა აქ შეიძლება ერთი ასპექტი გამოვჩინოთ. კერძოდ, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია. საქართველოს ჩართვა „დსთ“-ს ეკონომიკურ სივრცეში ზომ არ გამოიწვევს პოლიტიკურადაც „დსთ“-ზე საქართველოს მიზმას და გაზრდის რუსეთის პოლიტიკურ გავლენას ამიერკავკასიის რეგიონზე. აქედან გამომდინარე მართებულად მიგვაჩნია ალტერ-

ნატიული წინადადების განხილვა, კერძოდ ამიერკავკასიის სივრცე, ბისეკის სივრცე, ან ამიერკავკასია — შუა აზიის სივრცე.

ჩვენი ბანკებისთვის საკმაოდ დიდ ინტერესს უნდა ინვესტირდეს ამიერკავკასიის სახელმწიფოების: აზერბაიჯანისა და სომხეთის კომერციულ ბანკებთან მუშაობა. გასაოცარია ის ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც არსებობს ამჟამად ამიერკავკასიის ბანკებს შორის. არადა საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს საქონელგაცვლა ამ ქვეყნებს შორის, მაგრამ საქონელგაცვლასთან დაკავშირებული გარიგებების საფინანსო ნაწილი ხორციელდება ჩანთებით, დიპლომატიებით ნაღდი ფულის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანის გზით. ამგვარი მეთოდებით საქმიანობის ფაქტები კი შემდგომში კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტთა გასარჩევი ხდება ხოლმე, რაც დამეთანხმებით საკმაოდ შორს დგას ეკონომიკური საკითხებისაგან. დღეისათვის სამივე ქვეყანაში არსებობენ ბანკები, რომლებსაც შეუძლიათ ითანამშრომლონ ევროპული ბანკების შუამავლობის გარეშე. აღნიშნულის საფუძველად კი შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს მიერ ორივე ქვეყანასთან ხელმოწერილი დიდი ხელშეკრულება, რომლის პაკეტშიც დევს ხელშეკრულება ბანკებს შორის თანამშრომლობაზე. ასევე ფოთის და ბათუმის პორტების ფენომენის გამო საქართველოს ბუნებრივად ენიჭება პრიორიტეტული ადგილი სომხეთისა და აზერბაიჯანის ბაზარზე მუშაობის თვალსაზრისით, რაც ქართულმა ბანკებმა ხელიდან არ უნდა გაუშვან. სხვადასხვა დაზუსტებული ინფორმაციით სტრატეგიულ პროდუქტებზე როგორებიც არის ნავთობპროდუქტები, ბამბა, ჩაი — გარიგებების საბანკო მომსახურებას ეპიზოდურად ახორციელებენ ევროპული ბანკები. გასაგებია, რომ ამ სტრატეგიულ პროდუქტებზე საბანკო მომსახურებისათვის დღემდე ჩვენი ბანკები ფინანსურად არ იყვენენ მზად, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს უფლება ხელიდან გაუშვათ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა რეზიდენტებისა და არარეზიდენტების თუნდაც მცირე ბიზნესთან დაკავშირებული მომსახურების ბაზარი, რომელსაც ცხადია თან ახლავს მუშაობა ამ ქვეყნების სავალუტო ბაზარზე.

**ქართული ბანკებისათვის ამიერკავკასიის ბაზარი ძირითადი პრიორიტეტი უნდა იყოს.**

ზემოთ აღნიშნული მხოლოდ ნაწილია იმ მომგებიანი ოპერაციებისა, რომელიც მიმდინარეობს სავალუტო ბაზარზე. ამ ბაზარზე საქმიანობა მრავალფეროვანი, მაღალ რენტაბელური და მეტად საინტერესოა. წარმატების მისაღწევად კი აუცილებელია: გამართული კომუნიკაციები, ბანკის მაღალპროფესიონალური საკადრო პერსონალი, შესაბამისი საბანკო ინსტრუმენტები, ტექნოლოგიები და ამ პროცესების მართვისას ეროვნულმა ბანკმა უნდა შექმნას რეკომენდაციების მექანიზმი, რომელიც კომერციულ ბანკებს მიაწვდის ინფორმაციას მეზობელ ქვეყნებში არსებული სიტუაციის შესახებ.

ამ პროცესებში მონაწილეობისას მთავარია შე-

ნარჩუნებულ იქნას ვიწრო სპეციალიზაცია და ბანკის სპეციალისტები არ გაერთონ წმინდა სასაქონლო ოპერაციებზე მუშაობით, რამეთუ ასეთი მოქმედება თანდათან გამოიწვევს ბანკის ჩამოშორებას სავალუტო ბაზრიდან.

საბანკო სისტემის განვითარებაში დიდ მნიშვნელობას იძენს დეპოზიტების მოზიდვის დონე და მისი გაუმჯობესება.

**1997 წელს წინა წელთან შედარებით დეპოზიტები გაიზარდა რეგულაციის ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში შესაბამისად 14 მლნ ლარით და 40 მლნ ლარით.**

კომერციულ ბანკებში დეპოზიტების თანხა 1996 წლის ბოლოს უტოლდებოდა 78 მლნ ლარს, რაც მშპ-ს 1,4% იყო, ხოლო 1997 წელს ამ მაჩვენებელმა 2,1% შეადგინა. ეს ძალიან დაბალი მაჩვენებელია და გამოხატავს მოსახლეობის უნდობლობას ბანკების მიმართ. რაც გამოწვეულია: ინფლაციის შედეგად მოსახლეობის ანაბრების გაუფასურებით, ბანკების გაბანკოტებითა და მათი მხრიდან ფინანსური თაღლითობით. ასევე თუ დავუმატებთ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დაბალი შემოსავლების დონესა და დაგროვების უმცირეს ნაწილს, მაშინ ნათლად დავინახავთ მთელს სურათს. მიუხედავად ამისა დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ნელნელა იზრდება (იხ. ცხრილი №1 და №2).

შეუძლებელია ბანკების მიმართ მოსახლეობის უარყოფითი შეხედულების სწრაფი შეცვლა. ნდობა შეიძლება მხოლოდ თანდათანობით სტაბილური ფულადი პოლიტიკის გატარებითა და საბანკო სისტემის გამყარებით მოვიპოვოთ. ეს პროცესი ბოლო წლებში დაბალი ტემპებით, მაგრამ მაინც მიმდინარეობს.

**ფულის 58% ბანკებს ბარათი მიმოიქცევა.**

დაბალ საშემნახველო დონესთან ერთად პრობლემას წარმოადგენს დეპოზიტებში დოლარების დიდი წილი. მაღალი ინფლაციის პირობებში ეს მოვლენა ადვილად ასახსნელი იყო. 1994 წლის ბოლოს კერძო სექტორის უცხოურ ვალუტაში დეპოზიტები შეადგენდა 60%-ს ბანკებში განთავსებული ყველა სახსრებისა. ლარის შემოღების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა — 1995 წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში მყოფი დეპოზიტების წილი 40%-მდე დაეცა, ხოლო შემდეგ კვლავ განიცადა ზრდა და 1997 წლის დასაწყისში 50%-ს მიაღწია. იმავდროულად ეროვნული ბანკი ხელს უწყობდა დეპოზიტებში „დოლარიზაციის“ ხარისხის შემცირებას. 1996 წელს მიღებული იქნა გადამწყვეტილება, რომ აუცილებელი რეზერვები უნდა შევიდეს ეროვნულ ბანკში მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. ამან გამოიწვია ბანკებში უცხოურ ვალუტის დეპოზიტებზე მომსახურების ხარჯების გაზრდა.

**1997 წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში მყოფი დეპოზიტების წილი 58%-მდე გაიზარდა**

მთლიანი დეპოზიტების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა ორგანიზაციებისა და სამაუწყებლო და-

წესებულებების წილი, რაც 1996 წლის განმავლობაში მერყეობდა 25 დან 30%-მდე, ხოლო წლის ბოლოს დაეცა 16%-მდე.

ანაბრებზე საშუალოდ საპროცენტო განაკვეთები 1996 წლის განმავლობაში დაინია. ინფლაციის დაცემასთან ერთად ბანკებმა შეამცირეს განაკვეთები 16%-დან 7%-მდე (წლის განმავლობაში). ეს ტენდენცია 1997 წელსაც გაგრძელდა და ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 6% გახდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი უფრო დიდი იყო და შეადგენდა 13%-ს.

რაც შეეხება მოკლე ვადიან ანაბრებს ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები დაფიქსირდა 1-დან 6 თვემდე ვადის ანაბრებზე. 1996 წლის ბოლოს საპროცენტო განაკვეთი იმყოფებოდა 21-28%-ის დონეზე, ხოლო თითქმის იგივე დაფიქსირდა უცხოური ვალუტის ანაბრებზე.

საწარმოებისთვის კრედიტების მიწოდებისათვის კომერციული ბანკებისაგან მოსახლეობის ანაბრების მობილიზაციის შესაძლებლობა კვლავ ისევ შეზღუდულია: ამ ბოლო დროს დეპოზიტების თანხის გაზრდა ძირითადად საწარმოების დეპოზიტების ხარჯზე იქნა შესაძლებელი (დანართი №2), იმიტომ რომ ეკონომიკურმა ზრდამ გააუმჯობესა მათი ფინანსური მდგომარეობა.

კომერციული ბანკების დეპოზიტების მოზიდვის ანალიზის შემდეგ მეტად მნიშვნელოვანია მათი საკრედიტო საქმიანობა, რომელიც თანამედროვე ეტაპზე არასრულყოფილია სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გამო. ბანკებში საკრედიტო საქმიანობის შეზღუდულობა წარმოადგენს, პირველ ყოვლისა, მათ საკრედიტო პორტფელებში დიდი რაოდენობით უიმედო და საეჭვო კრედიტების აკუმულაციას. მისი მიზეზი იმალება საქართველოს საწარმოებისა და ქვეყნის ეკონომიკის მთლიან სისუსტეში. 1996 წელს საწარმოებზე გაცემული კრედიტების ნომინალური მოცულობა შემცირდა და შეადგინა მშპ-ს 2,2%.

**კომერციული ბანკების მიერ სესხებზე ღარიბ-სული და გადაუხდელი პროცენტების თანხა 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 38 მლნ ლარი, ხოლო მათ შორის გადახდის საეჭვოდ მიჩნევის გამო ბალანსიდან ჩამონერიღმა თანხა - 35 მლნ ლარი.**

ბანკების შეზღუდული საქმიანობა დაკრედიტების სფეროში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული ბანკის პოლიტიკის შედეგად. იგი დროდადრო ამცირებდა ბანკების აუცილებელი რეზერვების ნორმას. 1995 წელს შეადგენდა 20%-ს, 1996 წლის იანვარში ეს ნორმა შემცირდა 18%-მდე, 1996 წლის სექტემბერს გაუტოლდა 15%-ს, ხოლო 1997 წელს 12%-ს მიაღწია. ბოლო შემცირება დამოკიდებული იყო ბაზარზე სახაზინო ვალდებულებების გამოშვების დაგეგმვით.

ფულადი სახსრების დიდი ნაწილი „არ მუშაობს“ და არავითარი შემოსავალი არ მოაქვთ. 1996 წელს აუცილებელი რეზერვების თანხა, ფული ეროვნული

ბანკის საკრედიტო ანგარიშზე და სალაროში არსებული ნაღდი ფული შეადგენდა 64%-ს. ხოლო შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და ეს მონაცემები 40%-ზე დაეცა. ეს მოვლენა შეიძლება სხვადასხვანაირად ავხსნათ:

1. 1996 წელს მოხდა ბანკების სერტიფიკაციის პროცესი, რომელმაც აიძულა კომერციული ბანკები ეროვნული ბანკის მოთხოვნათა საფუძველზე გარდაქმნილიყვნენ და შეექმნათ რეზერვები საეჭვო ვალდებულებისათვის. ამან შეაფერხა ბანკების საკრედიტო საქმიანობა, მით უფრო რომ დაკრედიტების სფეროში კვლავ მაღალია რისკის ფაქტორი.

2. საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას საკრედიტო საქმიანობის განვითარებისათვის. საწარმოში აღრიცხვის სისტემის არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ბანკების მხრიდან არ იძლევა საშუალებას შეაფასოს მათი პოტენციური შესაძლებლობა. ამასთან ბანკები სუსტად ფლობენ კლიენტების შეფასების მეთოდოლოგიას.

3. მოკლევადიანი დეპოზიტების მობილიზაცია ზღუდავს ბანკის შესაძლებლობას გრძელვადიანი კრედიტების სფეროში. ამიტომ ბანკები იძულებულნი არიან ძირითადად კონცენტრირებულნი იყვნენ მოკლევადიანი კრედიტების გაცემით.

თანამედროვე ეტაპზე მიუხედავად საბანკო საქმიანობის პირობების გაუმჯობესებისა ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა კვლავ რჩება საქართველოს ეკონომიკისათვის არადაამაკმაყოფილებელი მაღალი საკრედიტო რისკისა და არასაიმედო ინვესტირების პირობებში (იხ. ცხრილი №3 , №4 და გრაფიკი №1). უმთავრესად კომერციული ბანკების მიერ გაცემული დაკრედიტების პოლიტიკა კონცენტრირებულია ვინრო წრის ოპერაციებისათვის. საქართველოს საბანკო სექტორის ძირითადი სუსტი მხარე არის გრძელვადიანი კრედიტების არარსებობა, რაც ხელს შეუწყობდა წარმოებისა და ქვეყნის ეკონომიკის ზრდას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებები უნდა გაატაროს ეროვნულმა ბანკმა. მან პირველ რიგში უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომლიც დააინტერესებს კომერციულ ბანკებს განავითარონ გრძელვადიანი დაკრედიტება და ასევე, უნდა იზრუნოს საბანკო სექტორში მსხვილი ინვესტირების მოსაზიდად.

1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საკრედიტო დაბანდების უდიდესი ხვედრითი წილი მოდის საეჭვო ოპერაციების დაკრედიტების მიზნით გაცემული

მაღალი რისკის კრედიტებზე, საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთით (იხ. გრაფიკი №2). ასევე წინა წლებთან შედარებით 1997 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ კერძო სექტორისათვის გაცემული სესხები (იხ. გრაფიკი №3 და №4).

შესაბამისად საბანკო სისტემაში მაღალია ბანკის სესხებით ვადაგადაცილებული დავალიანებისა და მათი უიმედოდ მიჩნევის გამო სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვიდან ჩამონერიღი თანხები, რომლებმაც 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა შესაბამისად 15 მლნ ლარი და 18 მლნ ლარი.



სტაბილიზაციის პროცესის განვითარებასთან ერთად თანდათანობით მცირდებოდა საპროცენტო განაკვეთები. მიუხედავად ამისა კვლავ რჩება შესამჩნევი განსხვავება კრედიტებისა და დეპოზიტების განაკვეთებს შორის. რაც დამოკიდებულია მაღალ საკრედიტო რისკზე, მაღალ სავალდებულო რეზერვების ნორმაზე, საკრედიტო პორთფელეებში მოუხსახურებელი სესხების ტვირთსა და ბანკების მისწრაფებაზე შეცვალონ კაპიტალის სტრუქტურა.

საჭიროა საბანკო სისტემის რეფორმის წარმატებით განხორციელება, მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კრედიტების გაცემასთან დაკავშირებით ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას. საჭიროა საბანკო სისტემაში დაინერგოს კრედიტის გაცემის საკონტრაქტო ურთიერთობები. კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობა ვალის ამღებს უნდა დაეკისროს. ამჟამად მოქმედი ნორმატიული დებულებები და მითითებები, რომლებითაც ეროვნული ბანკი ადმინისტრაციული წესით ზედამხედველობას უწევს კომერციულ ბანკებს, როგორც ჩანს, ეფექტური არ არის და მოითხოვს გადასინჯვას მათი სრულყოფის მიზნით. კომერციული ბანკების სანესდებო ფონდებში არასახელმწიფოებრივ-იურიდიულ პირთა სააქციო-საპაიო შენატანების მეტად მცირე ხვედრითი წილი იწვევს მათი მხრიდან უკონტროლობას და ზრდის კორუმპირებულ-მონოპოლიზებული საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ტენდენციას. საკრედიტო ბაზრის რეგულირების ერთ-ერთ ხელშემშლელ მიზეზად კრედიტების საპროცენტო განაკვეთების ადმინისტრაციული წესით განსაზღვრა მიგვაჩნია. საჭიროა მისი აუქციონის განაკვეთებთან შესაბამისობაში მოყვანა. რისკის ფენომენის ყოველმხრივი შესწავლა-ანალიზის დროს ყურადღების გამახვილებაა საჭირო ისეთ საკითხებზე როგორცაა: ლიკვიდობის მართვა და მასთან დაკავშირებული რისკები, საპორტფელე ინვესტიციების რისკის მართვის ხანგრძლივობის და საერთო მახასიათებლების ანალიზი, კრედიტების ფუნქციებისა და საკრედიტო რისკების ურთიერთკავშირის ანალიზი, საპროცენტო რისკების მართვის ხანგრძლივობის განსაზღვრა საპროცენტო ფიქსირების, ოფციონებისა და სვოპების გამოყენებით და სხვა.

ეროვნული ბანკის ნორმატივი ბანკის მიერ ლიკვიდური პოზიციის 30%-ით შენარჩუნების შესახებ, ვრცელდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან აღებული გრძელვადიანი საკრედიტო ხაზებით მიღებულ არასადეპოზიტო ვალდებულებებზეც, რაც არ მიგვაჩნია მართებულად, რადგანაც იგი ბანკს აიძულებს იმ მიზნობრივი რესურსების ნაწილი, რომელიც მან კონკრეტული პროექტის დასაფინანსებლად აითვისა, 30%-ის ოდენობით ლიკვიდური სახსრების სახით გააჩეროს და თანაც რამოდენიმე წლის განმავლობაში. აღნიშნულ ვალდებულებებზე უმჯობესია გავრცელდეს მხოლოდ მიმდინარე ლიკვიდურობის მაჩვენებელი, 100%-ის ოდენობით. ანუ ეს ვალდებულებები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოთხოვნებით, რომელთა ვადაც არ აღემატება აღნიშნული ვალდებულებების ვადას. ხოლო 30%-იანი ლიკვიდურობის ზღვარი დღესდღეობით

შეიძლება გადაჭარბებული იყოს, რადგან სულ უფრო იზრდება საბანკო დეპოზიტების მოცულობა და მყარდება ნდობა საბანკო ინსტიტუტების მიმართ. ეს ზღვარი შეიძლება 25%-ით განისაზღვროს.

თანამედროვე საბანკო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ ცენტრალურ რგოლს, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოში კომერციული ბანკების ძლიერი და ფართო ქსელის არსებობას. ბანკის სიძლიერეს განაპირობებს მენეჯმენტის გონივრული სტრუქტურის არსებობა, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს, როგორც ბანკის მომგებიანობას, ასევე ლიკვიდობის სათანადო დონის შენარჩუნებას.

კომერციული ბანკის მართვისას, ერთ-ერთ ყველაზე უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ლიკვიდობის სათანადო დონის უზრუნველყოფა. ბანკი ითვლება ლიკვიდურად თუ მას ხელი მიუწვდება სახსრებზე, რომლებიც შეიძლება მოზიდულ იქნეს გონივრული ფასებით სწორედ იმ მომენტში, როდესაც მათზე წარმოიშობა მოთხოვნილება. ეს ნიშნავს, რომ ბანკი ან ფლობს ამ სახსრებს ან შეუძლია სწრაფად მიიღოს ისინი სესხის აღების ან აქტივების გაყიდვის გზით.

გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ლიკვიდობის არასაკმარისი დონე წარმოადგენს პირველ ნიშანს იმისა რომ ბანკი განიცდის ფინანსურ სირთულეს. ასეთ სიტუაციაში იწყება ბანკიდან დეპოზიტების მასიური გატანა, რაც უფრო ამცირებს მის ნაღდ საშუალებებს და იძულებულს ხდის გაყიდოს ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები. ამავე დროს სხვა ბანკები უხალისოდ გასცემენ სესხებს (მსგავს სიტუაციაში ჩავარდნილ ბანკზე) დამატებითი უზრუნველყოფის გარეშე ან თუ გასცემენ ჩვეულებრივზე მაღალ პროცენტს, რაც უფრო ამცირებს ისედაც რთულ ფინანსურ სიტუაციაში ჩავარდნილ ბანკის მოგებას.

ბოლო წლებში ბანკებმა, განსაკუთრებით იმ ბანკებმა, რომლებმაც განიცადეს მძიმე ფინანსური სიტუაციები, გაითვითცნობიერეს ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნილების უზრუნველყოფის პრობლემა და დიდი ყურადღება დაუთმეს ფულადი სახსრების მარაგების შექმნას. ლიკვიდობის მართვა ბანკისათვის გადაიქცა უფრო მთავარ ამოცანად ვიდრე მანამდე.

საბანკო სფეროში ლიკვიდობასთან დაკავშირებულ პრობლემათა უმრავლესობა წარმოიშობა ბანკის ფარგლებს გარეთ, მათი კლიენტებიდან გამომდინარე. სინამდვილეში, კლიენტის ლიკვიდობის პრობლემა ტრანსფორმირდება მათი ბანკების ლიკვიდობის პრობლემაში. თუ, ვთქვათ ფირმა განიცდის ლიკვიდური სახსრების უკმარისობას, იგი მიმართავს ბანკს კრედიტისთვის ან მოხსნის სახსრების ნაშთს თავის დეპოზიტებიდან. ყველა შემთხვევაში ბანკს, რომლის კლიენტსაც წარმოადგენს მოცემული ფირმა, მოუწევს გამოძებნოს დამატებითი სახსრები.

იმ შემთხვევაში თუ დროის გარკვეულ მომენტში ბანკს გააჩნია ჭარბი ლიკვიდური სახსრები, ხელმძღვანელობა მზად უნდა იყოს შეუფერხებლივ მოახდინოს ამ სახსრების ინვენსტირება, რათა თავიდან აიცილოს გამოუყენებელი სახსრების ალტერნატიული

ლირებულების წარმოშობა, რომელსაც არ მოაქვს მოგება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის ლიკვიდობის მართვა დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკთან (საპროცენტო რისკი) და ბანკისათვის საჭირო ლიკვიდური სახსრების მიუწვდომლობის რისკთან. მაგალითად, თუ საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ფინანსური აქტივების ღირებულება (რომლის გაყიდვასაც ბანკი აპირებს, რათა მიიღოს ლიკვიდური სახსრები) მცირდება და ცალკეული აქტივები გაიყიდება ზარალით. ამ შემთხვევაში ბანკი არა მარტო იძენს ნაკლებ ლიკვიდურ სახსრებს აქტივების გაყიდვით, არამედ ამცირებს თავის შემოსავალს იძულებითი დანაკარგების გამო. გარდა ამისა საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგად ლიკვიდური სახსრების მიღება უფრო ძვირი ჯდება და გარკვეული სახის ლიკვიდური სახსრების სესხად აღება ბანკისთვის მიუწვდომელი ხდება.

ლიკვიდურ სახსრებზე ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველაზე ძველი ხერხი ცნობილია, როგორც ლიკვიდობის მართვა აქტივების მართვით. წმინდა სახით სტრატეგიის ეს სახე მოითხოვს ლიკვიდური სახსრების დაგროვებას ლიკვიდური აქტივების სახით — მნიშვნელოვან წილად ფულად სახსრებად და ფასიან ქალაქობად. როცა წარმოიშობა მოთხოვნა ლიკვიდურ სახსრებზე, მოცემული აქტივები გაიყიდება მანამდე, სანამ არ დაკმაყოფილდება ნაღდ საშუალებებზე მოთხოვნა. ლიკვიდობის მართვის ამ სტრატეგიას ხშირად უწოდებენ აქტივების ტრანსფორმაციას, რამდენადაც ლიკვიდური აქტივები მიიღება არაფულადი აქტივების ნაღდ საშუალებებად გადაქცევის ხარჯზე.

ლიკვიდური აქტივები უნდა ფლობდნენ სამ თვისებას:

1. ჰქონდეთ საკუთარი ბაზარი, რათა სწრაფად გადაიქცნენ ფულად (რაც საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს).

2. ჰქონდეთ საკმაოდ სტაბილური ფასები ანუ ბაზარმა უნდა მიიღოს ყველა გასაყიდი აქტივი, მათზე ფასების მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

3. უნდა იყვნენ უკუქცევითი ანუ გამყიდველს უნდა შეეძლოს აინაზღაუროს პირველადი ინვესტიციები მინიმალური რისკით.

რა თქმა უნდა, ბანკმა შეიძლება გაზარდოს ლიკვიდობის დონე (ლიკვიდური აქტივების გაზრდის ხარჯზე), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბანკი აუცილებლად ლიკვიდური იქნება, რამდენადაც ლიკვიდობის დონეზე მოქმედებს ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნა. ბანკი ითვლება ლიკვიდურად, როცა შეუძლია მიიღოს ლიკვიდური სახსრები გონივრული ფასებით, საჭირო რაოდენობით და დროის აუცილებელ მომენტში. საქართველოს ბანკების უმრავლესობა იყენებს ლიკვიდობის მართვის შუალედურ სტრატეგიას ანუ ლიკვიდობის მართვა აქტივებით და პასივებით. რა თქმა უნდა ეს მეთოდი უფრო ეფექტურია და მიღებულია მსოფლიო პრაქტიკაში, მაგრამ ეს არ არის მიზეზი იმისა, რომ ქართული ბანკების ხელმძღვანელობა ლიკვიდობის მართვის ამ სტრატეგიას ანიჭებს უპირატესობას. ამას აშკარად დავინახავთ, თუ ერთმანეთს შევადარებთ აშშ-სა და საქართველოს ბანკების საბალანსო მაჩვენებლებს.

აშშ-ს ბანკებში მეტწილად გავრცელებულ ლიკვიდურ აქტივებს განეკუთვნებიან: სახაზინო თამასუქები, დეპოზიტები სხვა ბანკებში, მუნიციპალური ხელისუფლების ობლიგაციები, ფედერალური უწყებების ფასიანი ქალაქობები და ა.შ. ამავდროულად აქტივები ითვლება ლიკვიდურად, თუ ისინი ასრულებენ სამ თვისებას: აქვთ საკუთარი ბაზარი, ფასები მათზე სტაბილურია და უნდა იყვნენ უკუქცევითი.

ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ აშშ-ს ბანკების ბალანსში ლიკვიდური აქტივების დიდ მოცულობას შეადგენს სახელმწიფო ფასიანი ქალაქობები, თამასუქები და ობლიგაციები. მათ გააჩნიათ საკუთარი ბაზარი და საკმაოდ სტაბილური ფასები. მაგალითად, სახაზინო თამასუქებში სახსრების დაბანდება ითვლება ურისკოდ, ამავე დროს სხვა ფასიანი ქალაქობის კურსის ათვლა ხდება სახაზინო თამასუქებიდან და მისი ნომინალი აიღება ერთად.

რაც შეეხება ქართულ სინამდვილეს, საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქალაქობები არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1997 წლის 8 აგვისტოს დამტკიცებული დებულებით გამოშვებულ სახაზინო ვალდებულებებს (28 და 90 დღიანი), რომელთაც აქტიური მეორადი ბაზარი არ გააჩნიათ და აქედან გამომდინარე, ისევე ურისკოდ და ლიკვიდურად ვერ ჩაითვლებიან, როგორც აშშ-ს სახაზინო თამასუქები.

როგორც ჩანს, იმის გამო რომ საქართველოში არ მიმოიქცევა სახელმწიფო ფასიანი ქალაქობები და არ არსებობს მათთვის მეორადი ბაზარი, ბანკებს საშუალება არა აქვთ, შეიძინონ ისეთი ლიკვიდური აქტივები, რომელთაც ექნებათ საკუთარი ბაზარი სტაბილური ფასებით. აქედან გამომდინარე, რეალურად საქართველოში ბანკების ხელმძღვანელობა ლიკვიდობის აქტივებით მართვის სტრატეგიას ვერ გამოიყენებს.

რაც შეეხება ლიკვიდობის პასივებით მართვას, საქართველოში ბანკების ხელმძღვანელობისათვის ეს სტრატეგია ც მიუღებელია კონკრეტული მიზეზების გამო. ჯერ ერთი, საქართველოში არ არსებობს ისეთი ფულადი ბაზარი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მისაღები ფასებით, საჭირო რაოდენობით და დროის აუცილებელ მომენტში ლიკვიდური სახსრების მოზიდვა. გარდა ამისა პასივებით მართვის სტრატეგია საკმაოდ მაღალ რისკიანია; რისკს ზრდის ისიც, რომ კომერციული ბანკებისათვის ეროვნული ბანკის ნორმატივი აიძულებს მათ ყოველი თვის ბოლოს აქტივებში ლიკვიდური აქტივების დონე უზრუნველყონ 30%-ით (ლიკვიდურ აქტივებში იგულისხმება: ფული სალაროში და ინკასირების პროცესში; თანხები კორესპონდენტი ბანკების ანგარიშზე; ჩეკები და სხვა საგადასხდელი დოკუმენტები ინკასირების პროცესში; წმინდა რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში).

ამდენად, ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ზემოთ წარმოდგენილი ლიკვიდობის მართვის სამი სტრატეგიიდან, საქართველოს კომერციული ბანკების ხელმძღვანელობა იყენებს მართვის შუალედურ სტრატეგიას ანუ ლიკვიდობის მართვა პასივებით და აქტივებით.

რაც შეეხება ეროვნული ბანკის საქმიანობას, იგი

გამიზნული უნდა იყოს სარეზერვო მოთხოვნების ოპტიმალური რეგულირებისა და კომერციული ბანკების რეფინანსირების სისტემის სრულყოფისაკენ, საბანკო სისტემის გარეთ ფულის მასის მოძრაობის ოფიციალურ არხებში ჩართვაში. ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მომავალში თანდათანობით უნდა შეიცვალოს ზომიერი ფულად — საკრედიტო პოლიტიკით.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1997 წელს უზრუნველყო მის წინაშე დასახული ამოცანის შესრულება (ინფლაციის მაჩვენებლისა და შესაბამისად ფასების ზრდის ტემპის შემცირება - ლარის გაცვლის კურსის სტაბილურობის მიღწევის გზით), რაც დადასტურდა თვითონ ინფლაციის დონის შემცირების ტენდენციით. ამის შედეგად ინფლაციის წლიური ტემპი 7,3% -ს გაუტოლდა.

**1997 წელს ინფლაციამ პროგრამით გათვალისწინებული 1,1%-ის ნაცვლად საშუალოდ თვეში 0,6% შეადგინა**

ვალუტის გაცვლის კურსის სტაბილურობის მიუხედავად გასული წლის განმავლობაში ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნილების ზრდამ განაპირობა კომერციული ბანკების მხრივ ვალუტის მიწოდების მატება.

**1997 წელს კომერციულმა ბანკებმა თბსგ-ზე გაყიდეს 47 მლნ აშშ დოლარი, რაც 33 მლნ აშშ დოლარით აღემატება 1996 წლის შესაბამის მაჩვენებელს**

იმავდროულად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვნად შეამცირა სავალუტო ინტერვენციები და შემდგომ ლარისეული ინტერვენციებზე გადასვლით უზრუნველყო 30 მლნ აშშ დოლარის შექენა, რაც 27 მლნ აშშ დოლარით აღემატება 1996 წლის მაჩვენებელს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ინფლაციის შემცირების მიმდინარე ტენდენციამ ლარს, გადახდის ფუნქციასთან ერთად, შესძინა ღირებულების საზომისა და დაგროვების ფუნქცია, რაც გამოიხატა დეპოზიტების მატებით. ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების ოდენობა 1997 წლის განმავლობაში შედარებით გაიზარდა 14 მლნ ლარით (მათ შორის მოქალაქეთა ანაბრები 3 მლნ ლარით) და 55 მლნ ლარი შეადგინა.

ამჟამად ჩვენთან მოქმედი რეზერვების ნორმა 12% საკმაოდ მაღალია სხვა ქვეყნებთან შედარებით და აუცილებელია მისი შემცირება 8-9%-მდე. მიუხედავად იმისა, ბანკები მაინც თავისი ინტერესებით აჩერებენ რეზერვში მნიშვნელოვნად მეტ ფულად საშუალებებს, დაწესებულ ნორმასთან შედარებით, და საბანკო სისტემაში წარმოიშობა ზელიკვიდობის მოვლენა, რომელიც ფაქტობრივად ჩვენს ქვეყანასთან ერთად ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნის ეკონომიკისათვის არის დამახასიათებელი. ასეთ ვითარებაში ყველაზე ეფექტურს წარმოადგენს, როგორც ბევრ უცხოელ მკუთლეარს მიაჩ-

ნია, ის რომ გამოყენებულ იქნას ფართო მასშტაბით ფულის მიწოდების რეგულირების მეთოდი, საქმე ეხება სახაზინო ვალდებულებათა ყიდვა-გაყიდვას, რომელიც ბიუჯეტის დაფინანსების ფორმას წარმოადგენს.

ამ მიზნით 1997 წლის აგვისტოდან საქართველოს ფულად-საკრედიტო ურთიერთობის სფეროში შემოვიდა ახალი საფინანსო ინსტრუმენტი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის მისიის თანხმობით მიმოქცევაში გამოუშვა საქართველოს სახაზინო ვალდებულებები.

ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროსათვის სავალუტო ფონდის მიერ დამტკიცებული კრედიტის ფარგლებში და შემუშავებული მეთოდის საფუძველზე დაიწყო მისი ემისია. დღემდე ჩატარებული 28 და 91 დღიანი სახაზინო ვალდებულებების აუქციონების შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი:

1. სახელმწიფოს მხრიდან დისკონტის ზედა ზღვრის დონე არ არსებობს და აქედან გამომდინარე დისკონტის მერყეობა საერთაშორისო სტანდარტებით საოცრად დიდია (თუ შევადარებთ საქართველოში გასულ წელს გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთის დონეს სხვა ქვეყნების მონაცემებს, შევნიშნავთ, რომ სახაზინო ვალდებულებათა საპროცენტო განაკვეთი საგრძნობლად დაბალია, რასაც განაპირობებს ლარის სიმყარე, ინფლაციის დაბალი დონე და ინვესტორების მხრიდან დიდი ნდობის ფაქტორი).

2. სახელმწიფო აკონტროლებს ფასიანი ქაღალდების ბაზარს არაპირდაპირი მეთოდით: სავალუტო კურსი, საკრედიტო აუქციონები და სავალდებულო რეზერვების წილი.

3. არც ერთ ბანკს არ გააჩნია საკმარისი საკუთარი რესურსები, რომ მთლიანად "აილოს" ემისია. უმთავრესად 3 ბანკი მონაწილეობს ამ ბაზარზე: TBC-ბაზრის ძირითადი Market Maker-ი, "როსიისკი კრედიტი-ქართუ" და ბანკი "აბსოლუტი", რომელთაც შედარებით "იაფი" რესურსები აქვთ.

4. ამ ბაზარში თანდათან იზრდება არარეზიდენტი პირების როლი და მნიშვნელობა.

5. აუქციონის გაუმართავი ტექნიკური პროცესი, რაც ამ ბაზარზე კორუფციის საბაზს იწვევს.

6. არ არსებობს სახაზინო ვალდებულებების მეორადი ბაზარი, რაც ხელს უშლის მის შემდგომ განვითარებას.

იზრდება უცხოელ პარტნიორთა ინტერესი საქართველოს კომერციული ბანკების მიმართ. საბანკო სისტემაში დაბანდებულია 10 მლნ აშშ დოლარის კაპიტალი, რაც უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობის 8%-ია. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ის, რომ უცხოელ ინვესტორთა „სანდო“ ბანკის სიაში სულ 9 ბანკი მოხვდა, აქედან 7-ს ევრობანკმა უკვე გაუხსნა საკრედიტო ხაზი, რამაც უდავოდ ხელი შე-

**საქართველოს საბანკო სისტემაში დაბანდებულია 10 აშშ დოლარის უცხოური კაპიტალი, რაც მთლიანი უცხოური ინვესტიციების 8% არის**



უნყო მათ ზრდასა და განვითარებას.

კომერციული ბანკების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, როგორც არსებული კანონების და კანონქვემდებარე აქტების სრულყოფისათვის, ასევე ახალი ნორმატიული აქტების მისაღებად (მაგალითად: საერთაშორისო ანგარიშსწორება უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ქვეყნის შიგნით, რაც დიდი ჩამორჩენაა. ამ კუთხით საჭიროა ელექტრონული ხელმოწერების შესახებ კანონის მიღება. საქართველოში დღეს ვალუტაში ანგარიშსწორება უფრო სწრაფია, ვიდრე ლარებში).

ქვემოთ განხილული იქნება თითოეული კანონისა და კანონქვემდებარე აქტის არსებული ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ხელს უშლის ან აფერხებს კომერციული ბანკების ნორმალურ ფუნქციონირებას.

**1. საქართველოს კანონი "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ"**

\* აღნიშნულ კანონში საყურადღებოა მუხლი 10, კერძოდ აღნიშნული მუხლის 1. პუნქტი, რომელიც აცხადებს: "ბანკის არც ერთ პარტნიორს (აქციონერს) ან ერთობლივად მომქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფს არა აქვს უფლება ფლობდეს და განკარგავდეს ნილის იმ რაოდენობას, რომელიც ალემატება განცხადებული თუ განაღებული კაპიტალის 25 პროცენტს". ჩვენის აზრით უმჯობესი იქნებოდა არ იყოს დაწესებული აღნიშნული შეზღუდვა.

\* საყურადღებოა აღნიშნული კანონის მუხლი 20 (საბანკო საქმიანობა), რომელშიც მოცემულია ბანკებისათვის ნებადართული საქმიანობის ამომწურავი ჩამონათვალი. ჩვენის აზრით აღნიშნული ჩამონათვალი არასრულია და იგი უნდა მოიცავდეს საქმიანობის სხვა სახეობებსაც. ჩვენ თვლით რომ ამ მუხლს უნდა დაემატოს ლიზინგის უფლება.

\* თავისი მნიშვნელობით მეტად საყურადღებოა საბანკო საიდუმლოების დაცვის საკითხი. ჩვენის აზრით სრულყოფილი უნდა იქნეს კანონის მუხლი 17 ("საბანკო საიდუმლოება"). მიზანშეწონილია, რომ სრულყოფილად ჩამოყალიბდეს საბანკო საიდუმლოების დაცვის ობიექტები: ანგარიშის მფლობელი პირი, ანგარიშზე არსებული თანხის ოდენობა, ანგარიშის ნომერი და სხვა. ამასთან, სრულყოფილი უნდა იქნეს საბანკო საიდუმლოების დაცვის გარანტიები. აგრეთვე, უფრო კონკრეტულად განისაზღვროს ის საფუძვლები (შემთხვევები), რომლებითაც დაშვებული იქნება საბანკო საიდუმლოებაში ჩარევა. ამასთან შემოღებული უნდა იყოს კოდირების სისტემა.

**2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი**

სადღეისოდ კომერციული ბანკებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს გირაოს რეალიზაცია, როდესაც მსესხებელის მიერ არ ხდება სესხის თანხის დაბრუნება. საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 26 ივნისს მიღებულმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან გააუქმა საქართ-

ველოს კანონი "გირავნობის შესახებ". გირავნობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღება უდავოდ პროგრესული მოვლენაა, თუმცა მისი პრაქტიკაში გამოყენებისას წამოიჭრება საკითხები, რომლებიც ხელს უშლის კომერციული ბანკების ნორმალურ ფუნქციონირებას. გირავნობის საკითხებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნის, მესამე კარის, მეექვსე თავი, რომელიც მოიცავს ორ ქვეთავს: I. გირავნობა და II. იპოთეკა.

გირავნობის ქვეთავში შედარებით მარტივად არის მოგვარებული გირავნობის საგნის რეალიზაციის საკითხი. კერძოდ, მუხლი 276 მიხედვით "იმ მოგირავნეს, რომელსაც აქვს გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლება, უნდა გადაეცეს გირავნობის საგანი". მაგრამ ამავე ქვეთავის მუხლი 278 საფუძველზე "რეალიზაცია გირაოს გაყიდვის გზით უნდა განხორციელდეს აუქციონზე", რაც უდავოდ ართულებს გირავნობის საგნის რეალიზაციის საკითხს, რადგან პირველ აუქციონზე შეიძლება არ მოხერხდეს საგნის რეალიზება. მუხლი 273 მიხედვით ბათილია ისეთი შეთანხმება, რომლითაც გირავნობის საგანზე საკუთრება პირდაპირ გადადის მოგირავნეზე, თუ მისი მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული ან დროულად ვერ დაკმაყოფილებულია. კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელი რომ ყოფილიყო მოგირავნეზე გირავნობის საგანზე საკუთრების გადასვლა, გაცილებით გაამარტივებდა გირაოს რეალიზაციის საკითხს კომერციული ბანკებისათვის.

გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაა იპოთეკის საკითხებთან დაკავშირებით. პრობლემა შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს, პირველი დაკავშირებული იპოთეკის რეგისტრაციასთან, ხოლო მეორე უძრავი ნივთის რეალიზაციასთან.

მუხლი 289 მიხედვით „იპოთეკა წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. რეგისტრაცია ხდება დადგენილი წესის მიხედვით უძრავი ნივთის მესაკუთრისა და იპოთეკარის მიერ სანოტარო წესით დამონმებული საბუთების წარდგენით". პირველი პრობლემა, რაც წარმოიშვება ამ შემთხვევაში არის იპოთეკის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონმება, რაც დაკავშირებულია საკმაოდ მაღალ ხარჯებთან არსებული მაღალი სანოტარო ტარიფების გამო (გირავნობის ხელშეკრულების დამონმებისთვის დაწესებული არის გადასახადი ქონების შეფასების 1%-ის ოდენობით), იმისათვის, რომ ეს ხარჯები ბანკს ტვირთად არ დაანვეს და ხელი შევუწყოს საკრედიტო რესურსების გაიაფებას, საჭიროა შემოღებულ იქნას გირავნობის ხელშეკრულების დამონმებისათვის მცირე და ფიქსირებული გადასახადი.

მეორე პრობლემა, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან. როგორც მოგეხსენებათ აღნიშნული სამსახური ჯერ არ არსებობს, ხოლო სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი დებულებებით, კერძოდ მუხლი 1514 მიხედვით მინის ნაკვეთების გასხვისების რეგისტრაცია ევალებათ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებს ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს. იგივე მუხლი აცხადებს „ამასთან, მინის ნაკვეთების ყოვე-

ლი ახალი შედენის რეგისტრაცია 1997 წლის 25 ნოემბრიდან მოხდეს მინის რეგისტრაციის სამსახურის სისტემაში არსებული საადგილმამულო ნიგნის (საჯარო რეესტრის) სამსახურში". ხოლო მუხლი 1515 კი აცხადებს „საჯარო რეესტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე სამოქალაქო კოდექსით ამ სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციები განახორციელონ ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროებმა“. პრაქტიკაში იქმნება გაუგებარი სიტუაცია. ხელშეკრულებების რეგისტრაცია ხდება ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროში, მუხლი 1515 საფუძველზე, მაგრამ ამავდროულად საქართველოს მინის მართვის დეპარტამენტში შეიქმნა „საჯარო რეესტრი“. თუმცა გაუგებარია აღნიშნული „საჯარო რეესტრის“ შექმნის სამართლებრივი საფუძველი, რადგან სამოქალაქო კოდექსის მუხლი 311 პუნქტი 2. გარკვევით აცხადებს „რეესტრის ორგანიზაციის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით“. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს აღნიშნული საკითხი, ან მიღებული იქნეს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ და შეიქმნას შესაბამისი სამსახური ან საბოლოოდ გაირკვეს თუ ვის ევალება უძრავი ნივთების რეგისტრაცია ამ სამსახურის შექმნამდე, ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროს თუ რომელიმე სხვა სამსახურს. მეორე პრობლემა, რაც დაკავშირებულია იპოთეკასთან, არის უძრავი ნივთის რეალიზაციის საკითხი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 301 საფუძველზე უძრავი ნივთის გაყიდვა ხდება აუქციონზე სასამართლოს მიერ. ამავდროულად მესაკუთრეს (მოვალეს) მუხლი 304 საფუძველზე უფლება აქვს სასამართლოში განცხადების შეტანით ექვსი თვის ვადით შეაჩეროს აუქციონის ჩატარება, რაც მევალეს აძლევს საშუალებას გააჭიანუროს თანხის დაბრუნება. მუხლი 306 საფუძველზე „თუ პირველი აუქციონის დროს არ იქნება შემოთავაზებული ისეთი წინადადება, რომელიც აღწევს ექსპერტის მიერ შეფასებული ნივთის ღირებულების სამოცდაათ პროცენტს, აუქციონი ხელახლა უნდა ჩატარდეს“. განმეორებით აუქციონზე უნდა შეთავაზებულ იქნეს სულ ცოტა ისეთი თანხა, რომელიც ფარავს პროცენტის ხარჯებსა და კრედიტორის მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონი არ ჩატარდება. თუკი ხელმეორედაც არ მოხერხდა ნივთის გაყიდვა აუქციონზე, კანონმდებლობით უკვე აღარ არის განსაზღვრული რა უნდა მოხდეს შემდგომ. მუხლი 302 პუნქტი 2 საფუძველზე „ბათილია ისეთი შეთანხმება, რომლითაც კრედიტორზე პირდაპირ გადადის უძრავი ნივთის საკუთრება“. ჩვენის აზრით უმჯობესი იქნებოდა ხელმეორედ აუქციონზე ნივთის გაყიდვის შეუძლებლობის შემთხვევაში უძრავი ნივთი გადავიდეს იპოთეკარის (ჩვენს შემთხვევაში ბანკის) საკუთრებაში. თუმცა კოდექსი ითვალისწინებს ნივთის იძულებით მართვას (სეკვესტრი, მუხლი 310), მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელი არ აბრუნებს სესხს და არ არის თანახმა იპოთეკართან შეთანხმებით გაყიდოს იპოთეკის საგანი და დაფაროს თავისი დავალიანება, სეკვესტრის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. ზოგიერთ შემთხვევაში ბანკისათვის უმჯობესია გირაოს საგნის რეალიზაცია მოხდეს მისი ღირებულების 70%-ზე ნაკლებად, ვიდრე გაჭიანურებული ვადაგადაცილებული სესხის არსებობა.

კლებად, ვიდრე გაჭიანურებული ვადაგადაცილებული სესხის არსებობა.

არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აძლევს სახარბიელო პირობებს კომერციულ ბანკებს. სამოქალაქო პროცესი დიდ დროს იკავებს და ბანკს არ აძლევს საშუალებას დროულად მოახდინოს იპოთეკის საგნის რეალიზაცია. მართალია ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წლის 1 მაისიდან, ითვალისწინებს დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებულ წესს (თავი XXXIV, მუხლი 302-309), მაგრამ მოპასუხეს (მოვალეს) მუხლი 307 საფუძველზე შეუძლია „არ ცნოს გადახდის ბრძანება მთლიანად ან ნაწილობრივ და შეიტანოს მის წინააღმდეგ შესაგებებელი (პროტესტი) სასამართლოში“, უფრო მეტიც ამავე მუხლის საფუძველზე „მოპასუხეს შეუძლია გააპროტესტოს გადახდის ბრძანება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გაპროტესტების ვადის გასვლას სასამართლო საპატიოდ მიიჩნევს“, რაც ხელს უწყობს საქმის კიდევ უფრო დიდი ხნით გადავადებას. სამოქალაქო საქმეებისათვის დადგენილია განხილვის ვადა არაუგვიანეს 2 თვისა განცხადების მიღების დღიდან. ეს ვადა ისედაც საკმაოდ დიდია და ამავდროულად პროცესის მოქმედების პერიოდში მოპასუხეს შეუძლია მაქსიმალურად გაზარდოს განხილვის ვადა.

თუკი ვერ მოხერხდა მოპასუხის წარმოდგენა სასამართლო პროცესზე, მაშინ საერთოდ შეუძლებელი ხდება საქმის განხილვა. იყო შემთხვევები, როდესაც მსესხებელმა დატოვა საქართველოს ფარგლები, მას დაგირავებული ჰქონდა უძრავი ნივთი, მაგრამ სასამართლოს მიერ არ იქნა საქმე განხილული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოგვარდეს გირაოს რეალიზაციის საკითხი. ამისათვის შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში: ან მოხდეს უძრავი ნივთის პირდაპირ ბანკის საკუთრებაში გადმოსვლა, როდესაც გავა სესხის დაბრუნების ვადა, ან კანონმდებლობაში ცალკე განისაზღვროს ბანკთან დაკავშირებული გირაოს და იპოთეკის საგნის რეალიზაციის გამარტივებული წესი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სესხების დაუბრუნებლობით ისედაც დაზარალებულ ბანკს კიდევ უფრო ამძიმებს სახელმწიფო ბაჟი, რისი გადახდაც უმეტეს შემთხვევაში სასამართლოს მოთხოვნით ბანკს უწევს სარჩელის შეტანისთანავე. ჩვენის აზრით სახელმწიფო ბაჟის გადახდა შეიძლება შეიცვალოს ბანკის საგარანტიო წერილით.

**3. საგადასახადო კოდექსი**

მუხლი 29. პუნქტი 16. აბზაცი დ-ს უნდა დაემატოს პლასტიკური ბარათებიც. პლასტიკური ბარათები პრაქტიკულად წარმოადგენენ ფულის ისეთივე შემცვლელებს, როგორც არის ჩეკები. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ აბზაცში უნდა შევიდეს „პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებული ოპერაციებიც“.

მუხლი 50-ის თანახმად ორგანიზაციებს შეუძლიათ ხარჯებში შეიტანონ კრედიტისათვის გადახდილი პროცენტი, რომლებიც შეადგენენ ბანკთაშორისი

საკრედიტო აუქციონზე ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთის 150%-ს. ჯერ ერთი უაზრობაა დასაბეგრი ბაზა იანგარიშებოდეს მაჩვენებლისაგან, რომელიც იცვლება კვირაში რამდენჯერმე, მეორეც როგორც წესი ასეთი მაჩვენებელი გამომდინარეობს ქვეყნის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეფინანსირების პროცენტისაგან და არა ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონზე ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთიდან, მესამე, 150% არის ძალიან მცირე, რადგან ჩვენი რეალობიდან გამომდინარე ამ აუქციონზე ჩამოყალიბებული პროცენტები არ აღემატება თვეში 1,5%-ს, როცა ბანკებიდან ორგანიზაციებისთვის სესხის ასაღები პროცენტი შეადგენს მინიმუმ 4%-ს თვეში და მეოთხეც, თუ გარკვეული პროცენტი გამოიქვითება ერთი ორგანიზაციის ხარჯებიდან და შემცირდება დასაბეგრი მოგება, იგი მიემატება ბანკის დასაბეგრ შემოსავალს და სახელმწიფო არ დაკარგავს არაფერს.

3 კოდექსის 39-ე მუხლს "ბ" პუნქტის თანახმად ფიზიკური პირის დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები იბეგრება 10%-ით და ამის გაკეთება ევალება ბანკს. ჯერ ერთი ეს ფაქტი უარყოფითად იმოქმედებს ქვეყანაში არსებული ფულის მასის ბანკებში მოქცევის დაწყებულ პროცესზე, მეორე, ბანკებს მოუწევთ მნიშვნელოვანი სახსრების გაღება დაბატებითი შტატების აყვანაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე და ქალაღზე. იმის გამო, რომ დიდ ბანკებს, რომელთაც ჰყავთ ბევრი ფიზიკური პირები, მოუწევთ ყოველი თვის ბოლოს ათობით ათასი გატარების გაკეთება და დარიცხული პროცენტების საგადასახადო ინსპექციის ანგარიშზე გადარიცხვა, მესამეც, მშ მუხლის თანახმად იურიდიული პირი ვალდებულია საგადასახადო ინსპექციას ყოველი საგადასახადო წლის ბოლოს შეატყობინოს გადასახადის გადამხდელისთვის დაკავებული თანხის ოდენობა და მისამართი, რაც უხეშად არღვევს ანგარიშის მფლობელის კონფიდენციალობას.

ჩვენი აზრით საგადასახადო კოდექსში უნდა განხორციელდეს მთელი რიგი ცვლილებები საბანკო საიდუმლოების დაცვის მიზნით. მაგალითისათვის მუხლი 88, პუნქტი 3 გ. და მუხლი 231 ანესრიგებენ საგადასახადო ორგანოებისთვის ინფორმაციის წარდგენის საკითხებს, მაგრამ არ არის გათვალისწინებული საბანკო საიდუმლოების დაცვა. მუხლი 233 ითხოვს საინდენტიფიკაციო კოდის მითითებას საბანკო ოპერაციების განხორციელებისას, ხოლო ამ კოდით კი საგადასახადო სამსახურებს ყოველთვის შეეძლებათ მოახდინონ ანგარიშის მფლობელის სრული იდენტიფიცირება.

1997 წელს საქართველოში ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპის წარმატებით დამთავრებამ, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ქვეყანაში შექმნილი სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებაში, საფუძველი ჩაუყარა მეორე ეტაპის დაწყებას, რაც გულისხმობს: ინფლაციური პროცესების სისტემურ მართვას, კომერ-

ციული ბანკების გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ამაღლებას მკაცრად განსაზღვრული ნორმატივებით, ფასიანი ქალაღების ორგანიზებული ბაზრის ფორმირებასა და განვითარებას, ეს ხელს შეუწყობს არა მარტო საბანკო სისტემის განვითარებას, არამედ ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას. ასევე ამ ეტაპზე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

**1. პირველ რიგში უნდა შეიქმნას ბაზარზე ჯანსაღი კონკურენცია. ამისათვის საბოლოოდ უნდა აიკრძალოს ყოფილი სახელმწიფო ბანკების ყველა პრივილეგია. ბანკთაშორისი კონკურენციის განვითარებისთვის მთავარი როლი უნდა შეასრულოს უცხოური კაპიტალის შემოსვლამ საბანკო სექტორში. ეს არა მარტო განვითარებს საბანკო სისტემას, არამედ ამით მოგებული გამოვა მოსახლეობა და მენარმეებიც (ბანკთაშორისი კონკურენცია შეამცირებს კრედიტებისა და დეპოზიტების განაკვეთებს შორის დიდ განსხვავებას).**

**2. შემუშავდეს ფიზიკური პირების ანაბრებისთვის გარანტიის სისტემა. ასეთი კანონი ხელს შეუწყობს მოსახლეობის ნდობის გაღრმავებას ბანკების მიმართ და მოიზიდავს ბანკებს გარეთ არსებში არსებულ უზარმაზარ ფულის მასას.**

**3. მოწესრიგდეს გირავნობის კანონი, სასამართლო მექანიზმები, რომლებიც უმთავრესად ხელს უშლიან დაუბრუნებელი კრედიტების პრობლემის მოგვარებას.**

**4. მიღებულ იქნას კანონი "მინის კერძო საკუთრების შესახებ", რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის, ამ ყველაზე რისკიანი და ტრადიციული დარგის, განვითარებას (ღვინის კრედიტმა ბევრი ბანკის კარი სამუდამოდ მიხურა. სოფლის მეურნეობა დღეს მთლიანად დაბალ რენტაბელურია. აქ რისკის დონე საკმაოდ მაღალია. ამდენად, სახელმწიფო მხარდაჭერისა და დაბალი პროცენტიანი კრედიტების გარეშე შეუძლებელია მართო სიტუაცია).**

**5. არ არის სრულყოფი ნორმატიული ბაზა ანგარიშსწორების ელექტრონული ფორმის დანერგვასთან დაკავშირებით, რაც სულ უფრო აქტუალური ხდება საბანკო მომსახურების განვითარებასთან ერთად.**

**6. გამკაცრდეს ბანკების ზედამხედველობა, როგორც ნორმატივების შესრულების კუთხით, ასევე ბანკის შტატის კვალიფიკაციის დონეზე. ბანკებს უნდა მართავდნენ პროფესიონალები.**

ამასთან საბანკო სისტემა უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ, მძლავრ მექანიზმს საქართველოს ეკონომიკაში, რომელიც იზოლირებული იქნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისაგან, და რეალურად მიეცემა საშუალება ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, წარმართოს ქვეყანაში დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

დანართი N1

**საქართველოს კომარცდული ბანკების კონსოლიდირებული 1998 წლის I კვარტლის მიხედვით**  
 აბტივიების სტრუქტურა (ათას ლარებში)

ბანკები	სალარო	სარეზერვო ანგარიში	ნაღდი ვალუტა და ანგარიშსწ. ვალუტაში	ბანკის ანგარიშები	დეპო-ტორები	ბანკის მიერ გაყვნილი სესხები	ბანკთა-შორისი სესხები	ფასიანი ქაღალდები	ძირ. სა-შუალო-ბები	სხვა აქტი-ვები	სულ აქ-ტივები	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1 გქბ	3906	2695	5168	3512	3250	29526	95	1555	11468	232	61408	
2 საქართველოს ბანკი	1977	2188	1360	4443	1741	18831	0	156	5225	234	36155	
3 აგრომრეწვბანკი	1294	0	193	-999	1470	3020	2	203	8065	638	13887	
4 შავი ზღვის საერთ. ბანკი	0	0	0	2081	2	0	0	178	1185	40	3486	
5 აბსოლუტი	321	1677	3282	1660	745	10317	1238	1192	2520	410	23362	
6 თბილკრედიტბანკი	162	1228	1452	4419	49	12765	597	167	1220	74	22133	
7 რგრქბ.	3	186	2	1895	96	2729	140	0	55	138	5243	
8 საინვესტ. სააგრო ბანკი	0	1	2	2	28	819	0	1	396	0	1249	
9 როსისკო კრედიტი-ქართუ	372	153	1009	1793	274	8563	3346	675	476	0	16662	
10 კავკასიონი	0	1	0	2	0	5110	0	0	22	1	536	
11 ბანკი კრედიტი	164	192	54	82	46	1789	0	3	588	3	2921	
12 ივერთბანკი	78	138	944	4269	750	8411	0	0	8089	886	23565	
13 ენერგობანკი	29	69	25	77	122	1102	0	0	47	1	1472	
14 თბილკომბანკი	702	862	297	3939	320	14132	741	15	851	233	22094	
15 მერკური	102	41	29	416	0	1808	0	0	247	75	2718	
16 რესპუბლიკა	654	420	190	525	219	3241	0	48	1066	158	6521	
17 დიდუბე	29	3	52	44	0	424	45	45	15	0	659	
18 აგორა	245	66	0	286	23	3739	0	0	70	2	4430	
19 მაგისტრალბანკი	369	80	70	62	51	1736	0	7	213	29	2617	
20 ექსპორტ-იმპორტის ბანკი	45	101	40	329	513	472	0	0	419	26	1944	
21 არაგვიზონსბანკი	1	79	338	11	60	943	0	18	170	86	1706	
22 თეთრი	30	6	18	180	1	573	0	0	52	35	893	
23 თბილინტერბანკი	51	553	234	875	9	5715	402	295	254	788	9176	
24 არმაზი	28	3	1	2	36	2121	0	35	171	16	2433	
25 TBC-ბანკი	660	1547	1477	1893	434	12609	567	1062	2404	31	22684	
26 ბანკი მონოლითი	81	10	4	45	10	880	0	0	2	0	1032	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
27	დისკონტ-ბანკი	6	90	81	258	5	978	489	0	295	41	2242
28	ქართული ბანკი	179	12	31	146	0	462	0	0	141	0	972
29	ეკრაზია	2781	1307	18	0	0	35	0	8	0	3	
30	ელდორადო	105	2	17	11	66	6431	466	0	0	2890	2887
31	აისი	6262	45	0	28	8	0	0	28	2	0	435
32	ჯორჯიან ინვესტბანკი	100	1	97	301	934	405	1665	0	11	0	0
33	კრწანისი	108	961	311	9387	421	0	281	2	0	0	1572
34	გამა-ბანკი	19	21	4	2	0	808	0	0	1	3701	056
35	სიგმა-ბანკი	233	1143	73	18	273	1697	0	0	35	0	2744
36	საქსურორტ ბანკი	204	54	19	28	18	568	0	260	325	0	1477
37	ქარ-იტ. ინდუსტრია ბანკი	116	17		9	4	4	1009	0	0	760	1234
38	ინტელექტბანკი	1418	1714	1750	1632	0	13964	105	581	2365	277	23806
39	თბილისი ბანკი	105	26	6	35	14	75	1	0	0	31	1956
40	ტრანსკავკასია	161	81	201	204	667	21	0	0	301	151	967
41	მაგნიტბანკი	300	0	0	0	12	932	0	0	15	0	990
42	ბაზისბანკი	137	28	63	179	0	348	135	104	25	0	1020
43	დარიალი	0	3	0	0	0	412	0	0	20	0	434
44	ლომპი	147	28	37	11	12	79	0	0	0601	0	1626
45	საქ. საფოსტო ბანკი	345	793	40	1463	1005	4967	116	7958	91	4	9411
46	კითხა ბანკი	1025	68	20	573	422	503	0	31	483	0	4429
47	თბილ- უნივერსალ ბანკი	100	204	256	877	2	2796	0	32	150	0	4415
48	რონი	29	76	10	37	15	1225	100	0	4	0	1496
49	ლომბანკი	256	6	0	1	115	243	0	0	21	0	643
50	ქართული კაპიტალი	32	13	23	27	154	837	0	54	101	0	1240
51	ბათუმი (ნაერთი)	195	949	481	2405	1768	10856	0	12	4988	556	22210
	სულ	16442	16945	19879	39458	14826	1973313	8326	7353	56528	506038	2149



პასივიების სტრუქტურა  
(ათას ლარებში)

ბანკები	საწესდებო ფონდი	სხვა ფონდები	სავალ. ანგ. და ანგ-ბა ვალ.-ში	სხვა ბანკების ანგარიშები	ანგარიშსწ. ანგარიშები	ვადიანი ანაბრ. და დეპოზიტ.	ბანკთა-შორისი სესხები	სხვა კრედიტები	მოქალაქ. ანაბრები	გაუნანი-ლებელი მოგება	სხვა პასივები	საბიუჯეტო სახსრები	სულ პასივები
1 2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1 გეპ	14600	2745	7210	2964	8850	34	17347	342	6977	-522	362	499	61408
2 საქართველოს ბანკი	5010	5003	1986	402	8602	684	717	448	6918	2667	3655	63	36155
3 აგრომრ-ენგბანკი	5093	1616	764	0	3572	5	1074	450	293	-811	1806	23	13887
4 შავი ზღვის საერთო ბანკი	3874	74	0	0	0	0	0	0	0	-463	0	0	3486
5 აბსოლუტი	4182	749	7417	477	2483	1665	2470	92	3178	651	0	0	23362
6 თბილკრე დიტბანკი	2051	1327	3657	1845	1474	4451	6066	28	1201	32	0	0	22133
7 რგრეპ	1301	278	218	6	206	240	1490	246	1064	194	0	0	5243
8 საინვესტ. სავაჭრო ბანკი	1043	89	4	0	2	0	85	28	0	-2	0	0	1249
9 როსისკი კრედიტი-ქართუ	13982	565	604	202	402	190	0	5	1	712	0	0	16662
10 კავკასიონი	491	41	0	0	2	0	0	80	-6	0	0	536	
11 ბანკი კრედიტი	816	508	33	0	280	9	0	102	1315	-140	0	-2	2921
12 ივერთ ბანკი	9424	378	1027	44	1666	12	8072	1118	2411	-666	79	0	23565
13 ენერგო ბანკი	676	170	0	0	214	63	50	12	253	33	0	0	1472
14 თბილკომ ბანკი	3183	872	4948	419	2107	298	8125	16	719	1147	261	0	22094

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
15	მერკური	789	702	86	484	180	0	342	425	97	-386	0	0	2718
16	რენტგენ-ლოკალიზაცია	1759	438	742	285	1300	749	836	8	476	-97	24	0	6521
17	დიდიუბე	575	18	0	0	18	0	0	5	24	18	0	0	659
18	აგორა	2612	343	1	0	270	160	472	24	51	498	0	0	4430
19	მაგისტრალბანკი	1055	115	8	0	335	79	677	5	334	5	4	0	2617
20	ექსპორტ-იმპორტის ბანკი	922	49	304	1	143	0	267	42	246	-83	55	-1	1944
21	არაგვი ბიზნეს ბანკი	981	192	647	0	78	0	0	5	109	-318	11	0	1706
22	თეთრი	613	32	61	0	7	0	150	0	16	14	0	0	893
23	თბილი-ნტერ ბანკი	962	1055	814	242	916	1619	1992	413	1093	68	1	0	9176
24	არმაზი	509	470	10	0	330	0	788	432	190	-296	0	0	2433
25	TBC-ბანკი	2978	2264	5111	1073	2362	2187	1540	1208	3555	408	0	0	22684
26	ბანკი მონოლითი	599	55	5	0	86	25	259	0	4	-1	0	0	1032
27	დისკონტ-ბანკი	778	206	94	0	124	600	0	21	449	-31	0	0	2242
28	ქართული ბანკი	691	24	0	0	74	0	1	0	9	179	-5	00	972
29	ცერაზია	535	38	69	0	55	0	0	0	40	67	0	0	803
30	ელდორადო	719	100	21	0	427	0	594	777	630	-417	35	0	2887
31	აისი	410	22	3	0	12	0	0	7	2	-22	0	0	435
32	ჯორჯიან ინვესტ ბანკი	896	36	6	0	106	0	0	27	0	27	0	0	1100
33	კრწანისი	593	192	0	0	618	40	0	0	51	17	60	0	1572
34	განა-ბანკი	705	97	0	0	126	30	58	0	18	23	0	0	1056
35	სიგმა-ბანკი	768	218	119	0	124	64	1193	0	555	-296	0	0	2744
36	საქსეკორტ ბანკი	826	75	122	0	128	0	124	10	203	-10	0	0	1477
37	ქარ-იტ. ინდუსტრია ბანკი	731	50	26	0	65	0	300	1	51	11	0	0	1234



1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
38	ინთელექტ ბანკი	3400	1443	3741	11	3232	485	1789	628	7903	-65	1240	-1	23806
39	თბილისი სტანკი	691	101	103	0	58	0	6	25	105	-132	0	0	956
40	ტრანსკავკასია	611	185	82	0	36	15	331	164	540	5	0	0	1967
41	მაგნიტ ბანკი	667	48	29	0	20	0	238	3	0	-15	0	0	990
42	ბაზის-ბანკი	671	27	14	0	41	0	50	0	195	20	0	0	1020
43	დარიალი	381	17	0	0	13	0	0	9	5	10	0	04	34
44	ოლიმპი	829	92	0	0	89	0	530	0	99	-14	1	0	1626
45	საქ. საფოსტო ბანკი	928	674	1012	0	4239	105	431	840	917	10	255	0	9411
46	ვითა ბანკი	1500	127	583	1	362	0	1658	42	178	-22	0	0	4429
47	თბილენი-ვერსალ ბანკი	751	178	954	240	387	40	771	52	562	480	0	0	4415
48	რონი	726	123	0	0	6	0	0	0	632	9	0	0	1496
49	ლომბანკი	561	31	0	0	50	0	0	2	6	0	0	0	643
50	ქართული კაპიტალი	700	216	3	0	54	0	206	10	48	3	0	0	1240
51	ბათუმი (ნაერთი)	5887	3017	2657	791	4350	1568	130	1149	2113	-2498	3045	0	22210
	<b>სულ</b>	<b>106032</b>	<b>27482</b>	<b>45297</b>	<b>9486</b>	<b>50674</b>	<b>15416</b>	<b>61338</b>	<b>9231</b>	<b>45907</b>	<b>-191</b>	<b>10896</b>	<b>581</b>	<b>382149</b>

ცხრილი N1

კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში მოზიდული დეპოზიტებისა და ანაზრების მოცულობისა და მათზე დადგენილი საშუალო წლიური პენონილი საპროცენტო განაკვეთების დინამიკა 1998 წელი

პერიოდი	მოცულობა სულ ათ. ლარებში	მათ შორის											
		მოთხოვ- ნამდე		30 დღემდე		30 დღიდან 90 დღემდე		90 დღიდან 180 დღემდე		180 დღიდან 1 წლამდე		1 წელზე მეტი	
		მოც.	%	მოც.	%	მოც.	%	მოც.	%	მოც.	%	მოც.	%
1.01.98	43427	6014	3	3487	9	12189	17	10126	17	10484	21	1127	28
1.02.98	46129	7436	1	2616	8	11945	17	102216	21	11433	19	2483	18
1.03.98	45167	4234	4	2002	15	8796	17	14385	19	13583	20	3194	2
1.04.98	44844	6283	9	1234	14	7247	16	14231	22	12544	18	3305	2 19

ცხრილი N2

კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში მოზიდული დეპოზიტებისა და ანაზრების მოცულობისა და მათზე დადგენილი საშუალო წლიური პენონილი საპროცენტო განაკვეთების დინამიკა 1998 წელი

პერიოდი	მოცულობა სულ ათ. ლარებში	მათ შორის											
		მოთხოვ- ნამდე		30 დღემდე		30 დღიდან 90 დღემდე		90 დღიდან 180 დღემდე		180 დღიდან 1 წლამდე		1 წელზე მეტი	
		მოც.	%	მოც.	%	მოც.	%	მოც.	%	მოც.	%	მოც.	%
1.01.98	16818	5794	4	1331	11	2027	14	2911	12	926	16	2829	7
1.02.98	17066	5821	5	1473	14	1469	16	102216	21	1382	11	2811	7
1.03.98	45167	4234	5	6006	16	120	19	14385	19	1438	13	2739	7
1.04.98	44844	6283	5	6937	14	676	22	14231	22	2271	13	2662	7

ცხრილი N3

კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში მოზიდული დეპოზიტებისა და ანაზრების მოცულობისა და მათზე დადგენილი საშუალო წლიური შენობილი საპროცენტო განაკვეთების დინამიკა 1998 წელი

პერიოდი	მოცულობა სულ ათ. ლარებში	მათ შორის											
		მოთხოვ- ნამდე		30 დღემდე		30 დღიდან 90 დღემდე		90 დღიდან 180 დღემდე		180 დღიდან 1 წლამდე		1 წელზე მეტი	
		მოც.	%	მოც.	%	მოც.	%	მოც.	%	მოც.	%	მოც.	%
1.01.98	78340	10647	46	19062	45	16801	38	21276	38	926	16	2829	7
1.02.98	77640	8778	48	21549	45	15838	38	22800	32	1382	11	2811	7
1.03.98	77101	7310	50	21063	41	17838	34	21813	32	1438	13	2739	7
1.04.98	74409	6433	46	16120	51	17406	36	24430	30	2271	13	2662	7

ცხრილი N4

კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში მოზიდული დეპოზიტებისა და ანაზრების მოცულობისა და მათზე დადგენილი საშუალო წლიური შენობილი საპროცენტო განაკვეთების დინამიკა 1998 წელი

პერიოდი	მოცულობა სულ ათ. ლარებში	მათ შორის											
		მოთხოვ- ნამდე		30 დღემდე		30 დღიდან 90 დღემდე		90 დღიდან 180 დღემდე		180 დღიდან 1 წლამდე		1 წელზე მეტი	
		მოც.	%	მოც.	%	მოც.	%	მოც.	%	მოც.	%	მოც.	%
1.01.98	80521	6794	4	1331	11	2027	14	2911	12	926	16	2829	7
1.02.98	92808	5821	5	1473	14	1469	16	02216	21	1382	11	2811	7
1.03.98	98114	4234	5	6006	16	120	19	14385	19	1438	13	2739	7
1.04.98	103623	6283	5	6937	14	676	22	14231	22	2271	13	2662	7


საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის განხილვის მიზნით

დაწარმო N2

	ზომის ერთეული	01.01.97	01.02.97	01.03.97	01.04.97	01.05.97	01.06.97	01.07.97	01.08.97	01.09.97	01.10.97	01.11.97	01.12.97
საქართველოში რეკონსტრუქციული ბანკების რაოდენობა	ერთეული	61	22	21	57	57	55	55	53	53	53	53	53
ფილიალების რაოდენობა	ერთეული	101	166	167	171	171	200	169	179	179	181	182	182
ლიცენზირებული ბანკების რაოდენობა	ერთეული	61	62	61	57	57	55	54	53	53	53	53	53
მათ შორის: გენერალური ლიცენზიით	ერთეული	44	47	47	46	46	44	44	43	43	43	43	43
გამოთხოვილი ლიცენზიის რაოდენობა	ერთეული	41	41	42	46	46	49	49	51	51	51	51	51
მათ შორის: თვითლიცენზიით	ერთეული	14	14	14	16	16	16	16	17	17	17	17	17
ეროვნული ბანკის მიერ განცხადებული საწესდებო ფონდი	ათას ლარ	27	27	28	30	30	33	33	34	34	34	34	34
განცხადებული საწესდებო ფონდი	ათას ლარ	9905	9905	9905	16460	16460	47232	48283	73353	73353	88847	88847	88847
ზრდის ტემპი	ათას დოლ	55338	55338	55338	50180	50180	29443	29443	17888	17888	16438	16438	16438
ზრდის ტემპი	% დოლ	100	100	100	166.2	166.2	476.9	487.5	740.6	740.6	897	897	897
ზრდის ტემპი	% დოლ	100	100	100	90.7	90.7	53.2	53.2	32.3	32.3	29.7	29.7	29.7
სანარმოების, ორგანიზაციების და კომპერატორების დემოზიტის საერთო მოცულობა	ათას ლარ	1275	1554	2298	4257	4444	4546	5168	5464	4126	5184	3339	4397
ზრდის ტემპი	ათას ლარ	100	122	180.4	334.1	348.8	356.8	405.7	428.9	323.9	406.9	262.1	345.1
ბანკების კრებითი ბალანსი (ბრუტო)	ათას ლარ	288863	330802	358007	387265	3888550	418926	300481	349595	429590	43060	448529	4666795
კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტები	ათას ლარ	123797	124245	127949	132971	134309	137722	140878	143649	45150	151314	159994	167065
ზრდის ტემპი	ათას ლარ	100	100.4	103.4	107.4	108.5	111.2	113.8	116	117.2	122.2	129.2	135
მათ შორის მოკვადიანი	ათას ლარ	12167	122654	126320	131371	132956	136376	139458	142258	141868	148072	156632	162840
ზრდის ტემპი	ათას ლარ	100	100.4	103.4	107.5	108.8	111.6	114.2	116.4	116.1	121.2	128.2	1341
გრძელვადიანი	ათას ლარ	1630	1591	1629	1600	1353	1349	1420	1391	3282	3242	3362	3225
ზრდის ტემპი	ათას ლარ	100	97.6	99.9	98.2	83	82.8	87.1	85.3	201.3	198.9	286.3	197.9
სხვა ბანკებისთვის გაცემული კრედიტები	ათას ლარ	5713	7218	6390	6704	5623	7986	9173	8312	8176	11642	6561	7200
ზრდის ტემპი	ათას ლარ	100	126.3	111.9	117.4	98.4	139.8	160.6	145.5	143.1	203.8	114.8	126
დაბანდება სახელმწიფო საცალო ელექტროსადენო	ათას ლარ									977	594	1413	3077
ზრდის ტემპი	ათას ლარ										60.8	144.6	314.9


გრაფიკი N1

მოკლევადიანი და საშუალო ვადიანი სესხები დარგების მიხედვით



გრაფიკი N2


კომერციული ბანკების მიერ 1998 წლისათვის გაცემული სესხების სტრუქტურა დარგობრივ ჭრილში






გრაფიკი N3

მოკლევადიანი და საშუალო ვადიანი კრედიტები



გრაფიკი N4

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები სექტორების მიხედვით



# ეკონომიკური მიმოხილვა

(1998 წლის მარტი, აპრილი, მაისი)



**დავით ლომიძე**  
**ბიორგი ბარბაქაძე**

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც დაიწყო მთავრობის მიერ გამოცხადებული რეფორმების მეორე ეტაპი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის მონიტორინგს.

ამ მხრივ შეტად საინტერესოა საფინანსო სისტემის ძირითადი რგოლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები (იხ. ცხრილი N1).

მხოლოდ 39.4%-ით, რაც გამოწვეულია ამ გადასახადის გეგმით გათვალისწინებულის ამოღებაში საგადასახადო ინსპექციის მიერ 57,1%-ით და საბაჟო დეპარტამენტის მიერ 38,3%-ით შესრულებამ. ხოლო დღგ შესრულდა 98.3%-ით. ამის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდა 13,6 მლნ ლარი. ამ ორი სახის გადასახადის სრულ და ოპერატიულ ამოღებას მომავალში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან სა-

ცხრილი N1

	1997 წ. I კვარტალი მლნ ლარი	1998 წ. I კვარტალი მლნ ლარი	1998 წ. I კვარტალი 1997 წ. I კვარტალთან შედარებით
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	94.4	159.5	169.0%
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები	68.7	125.4	182.5%
საგადასახადო შემოსავლები	64.9	77.5	119.5%
არაგადასახადო შემოსავლები	2.7	43.1	1596.3%
კაპიტალური შემოსავლები	1.1	4.7	426.0%
სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლები	23.5	34.1	145.3%
უცხოეთიდან მიღებული გრანტები	2.2	0	0
სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და წმინდა დაკრედიტება	154.1	187.3	121.2%
ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები და წმინდა დაკრედიტება	124.3	148.5	119.5%
სპეციალური სახელმწიფო ფონდების ხარჯები	29.8	38.8	130.3%
დეფიციტი	59.7	27.8	

\* წყარო — სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

სახელმწიფო ფინანსების აგრეგატიული მაჩვენებლების ფაქტიური მონაცემების მიხედვით 1998 წლის I კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები გეგმასთან შედარებით შესრულდა 114,5%-ით და შეადგინა 159 მლნ ლარი. მთელი შემოსავლების 78,6% ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებზე მოდის. მათ შორის საგადასახადო შემოსავლები შესრულდა 89,8%-ით, რაც განპირობებულია სააქციზო გადასახადის და დღგ- არასრულყოფილი შესრულებით. აქციზი გეგმასთან შედარებით შესრულდა

ხელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში მათ 45% უკავიათ.

სხვა საგადასახადო შემოსავლები გეგმაზე გადამეტებით შესრულდა. კერძოდ, შემდეგი გადასახადები:

საშემოსავლო გადასახადი შესრულდა 132,6%-ით და შეადგინა 7,8 მლნ ლარი;

მოგების გადასახადი — 139,6%-ით და შეადგინა 4,4 მლნ ლარი;

საბაჟო გადასახადი — 114,4%-ით და შეადგინა

13,5 მლნ ლარი;

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არასაგადასახადო შემოსავლებმა, რომელიც 391,6%-ით შესრულდა და შეადგინა 43,1 მლნ ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 21,4% მოდის საპეციალურ სახელმწიფო ფონდებზე, რომელთა მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 34,1 მლნ ლარი შე-

**1998 წლის I კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგინა 159,3 მლნ. ლარი.**

ადგინა და წინა წელთან შედარებით 45,3%-ით გაიზარდა.

1998 წლის I კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმასთან შედარებით 114,5%-ით შესრულებამ გამოიწვია ხარჯების გაზრდა და შეადგინა 154,5%. მათ შორის გეგმის ზევით განეული იქნა შემდეგი ხარჯები: სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა შესრულდა 105,1%-ით და შეადგინა 29,6 მლნ. ლარი (მათ შორის ალსანიშნავია, რომ საპენსიო ფონდში გადასაცემი ტრანსფერტის საკასო შესრულებამ შეადგინა 137%, რაც 10,3 მლნ. ლარია); სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი — 307,8% და შეადგინა 0,98 მლნ. ლარი; ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები, რომელმაც გეგმის გათვალისწინებული 150 ათასი ლარის ნაცვლად შეადგინა 524 ათასი ლარი. მსოფლიო ბანკის კრედიტების მომსახურების ხარჯები გაიზარდა 303 ათასი ლარით და გეგმასთან შედარებით შესრულდა 183,6%-ია.

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების რაციონალურ განეევას. პირველ რიგში უნდა შესრულდეს ბიუჯეტის დაცული მუხლები და ძირითადი

**1998 წლის I კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 187,3 მლნ ლარი.**

პრიორიტეტები, რომლებიც განისაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისას, და შემდეგ შემოსავლების შესაბამისად სხვა დანარჩენი ხარჯები — პროპორციულად.

წინა წელთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების არსებითმა ზრდამ განაპირობა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვანი შემცირება და იგი 1997 წლის I კვარტალთან შედარებით შემცირებულია 31.9 მლნ. ლარით, ანუ 53.5%-ით.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ფინანსური

**1998 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 27.8 მლნ. ლარი.**

რესურსების მობილიზაცია ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად კვლავ მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან იგი ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების არაინფლაციურ წყაროს წარმოადგენს. დღეისათვის სახაზინო ვალდებულებებით მობილიზებული სახსრები

ძალიან მცირეა, მაგრამ მომავალში ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით აღებული სახაზინო ვალდებულებები დიდ როლს ითამაშებს არსებული დეფიციტის დაფარვაში.

სახაზინო ვალდებულება წარმოადგენს ურისკო და ფასიან ქაღალდებში ყველაზე ლიკვიდურ, მისაღებ აქტივს საქართველოში. მას გააჩნია განვითარების ყველაზე სწრაფი ტენდენცია სხვა დარგებთან შედარებით.

1998 წლის მარტი-აპრილის მონაცემებით (იხ. გრაფიკი N1 და გრაფიკი N2) სახაზინო ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთი თანდათან განიცდიდა შემცირებას და ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთზე დაბლა დაეცა (იხ. გრაფიკი N3), რაც გამოწვეულია სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე კონკურენციის გამძაფრებით.

მიუხედავად სახაზინო ვალდებულებების ბაზრის მზარდი განვითარებისა, ბევრია ხელისშემშლელი პირობები:

- აუქციონის შესახებ ინფორმაციის არადროული გამოცხადება და მიტანა ბანკებამდე.
  - აუქციონამდე ერთი დღით ადრე მთლიანი თანხის ჩარიცხვა.
  - თანხის ნომინალით გადარიცხვა დისკონტის გაუთვალისწინებლად.
  - აუქციონის ჩატარების ტექნიკური გაუმართაობა, რაც იწვევს ლობირების საშუალებას.
  - ზედა ზღვრის არ არსებობა და არანაირი მცდელობა სიტუაციის გაჯანსაღებაზე, ანუ ინტერვენციის მეთოდის არ გამოყენება.
- ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპზე ფულად-საკრედიტო სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ „მცოცავი მართვადი“ სავალუტო კურსის პოლიტიკას.

ეროვნული ბანკი მონაწილეობს სავალუტო ბაზარზე — თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟაზე (თბსბ-ზე), რათა დააკმაყოფილოს აშშ დოლარზე მოთხოვნა. ამ მიზნით მან 1998 წლის (მარტი, აპრილის მონაცემებით) 2,4 მლნ. აშშ დოლარის ინტერვენცია მოახდინა. თუ გადავხედავთ წინა ორი თვის მონაცემებს (22 მლნ. აშშ დოლარი), ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირებულია (იხ. გრაფიკი N4).

1998 წლის მარტი-აპრილში ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვები შემცირდა 11,6 მლნ. ლარით და შეადგინა 186,8 მლნ. ლარი. ამავე დროს წმინდა უცხოური აქტივები შემცირდა 12,4 მლნ. ლარით და შეადგინა 152 მლნ. ლარი. ხოლო წმინდა შიდა აქტივები გაიზარდა 28,5 მლნ. ლარით და შეადგინა 423 მლნ. ლარი; მთავრობის წმინდა დავალიანება გაიზარდა 24,1 მლნ. ლარით და შეადგინა 443 მლნ. ლარი. ამან გამოიწვია სარეზერვო ფულის გაზრდა 16,2 მლნ. ლარით და მიაღწია 271 მლნ. ლარს.

მარტი-აპრილის პერიოდში ფულის მასა გაიზარდა: — ფართო ფული (ბანკებს გარეთ არსებულ ნაღდ

ნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში) გაიზარდა 12,8 მლნ ლარით და შეადგინა 373,6 მლნ ლარი;

— ფართო ფული უცხოური დეპოზიტების გარეშე გაიზარდა 6,3 მლნ ლარით და მიაღწია 278,4 მლნ ლარს;

— სარეზერვო ფულის მასა (ბანკებს გარეთ არსებულ ნაღდ ფულს დამატებული ბანკებში არსებული სხვადასხვა რეზერვები) გაიზარდა 16,2 მლნ ლარით და მიაღწია 271 მლნ ლარს;

— ლარები მიმოქცევაში გაიზარდა 10,2 მლნ ლარით და მიაღწია 237,6 მლნ ლარს. ეს გამოიწვია იმ სავალუტო პოლიტიკამ, რომელიც განახორციელა ეროვნულმა ბანკმა თბსბ-ზე უცხოურ ვალუტაზე

**1998 წლის 4 თვის ინფლაციის ტემპი არის 2,4%**

მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 1998 წლის მარტ-აპრილში გამართულ ვაჭრობებზე ოპერაციების საერთო მოცულობა შეადგენდა 7,4 მლნ აშშ დოლარს. აქედან ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 4,5 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იყიდა 1,2 მლნ აშშ დოლარი. ამის შედეგად აშშ დოლარის მიმართ ჩამოყალიბდა ლარის ოფიციალური გაცვლის საშუალო კურსი — 1 აშშ დოლარი=1,34 ლარს (იხ. გრაფიკი

N5).


ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური კურსები რუსულ რუბლთან და გერმანულ მარკასთან მიმართებაში განიცდიდა რხევებს (იხ. გრაფიკი N6 და N7). ამ კურსების რხევები, როგორც გრაფიკებიდან ჩანს, უფრო შესამჩნევია ვიდრე დოლარის კურსის. რუსული რუბლის ძლიერი დაცემა შეიმჩნევა მომენტალურად აპრილის შუა რიცხვებში, რომელიც შემდეგში სწრაფად დარეგულირდა.

1998 წლის აპრილში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 1997 წლის დეკემბერთან შედარებით შეადგინა 102,4%. 1998 წლის 4 თვის მონაცემებით ინფლაციის დონე თვეში საშუალოდ 0,6% იყო. გასული წლის შესაბამის პერიოდში კი — 1%.

სავადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ, რომელსაც ერთ-ერთ შედეგად ბენზინის გაძვირება მოჰყვა, მოსალოდნელი იყო სამომხმარებლო ფასების ინდექსის და შესაბამისად ინფლაციის ზრდაც, მაგრამ აბსოლუტურად მოულოდნელად ბენზინის ფასების ზრდამ არ გამოიწვია ჯაჭვური რეაქცია და 1998 წლის პირველ ოთხ თვეში ინფლაციის ტენდენცია, რომელიც 2,4% შეადგენდა და 1997 წლის ამავე პერიოდის შესაბამის მაჩვენებელს 1,5 ერთეულით ჩამოუვარდებოდა (1997 წლის პირველი ოთხი თვის ინფლაციის ტემპი 3,9% იყო), შენარჩუნებული იქნა მაისის თვეშიც.

გრაფიკი N1


91-დღიანი სასაზონო ვალდებულებების აუქციონების შედეგების დინამიკა



ემისიის მოცულობა  
  მოთხოვნა  
  მინიმალური  
  საშუალო შეწონილი  
  მაქსიმალური

გრაფიკი N2

28-დღიანი სასაზონო ვალდებულებების შედეგების დინამიკა




ემისიის მოცულობა  
  მოთხოვნა  
  მინიმალური  
  საშუალო შეწონილი  
  მაქსიმალური




გრაფიკი N3

საქართველოს ეროვნული ბანკის განკთავორის საკრედიტო რესურსების აუქციონებაზე ვალების მიხედვით დაფიქსირებული საკრედიტო განაკვეთების დინამიკა 1998 წლის მარტიდან 1 მაისამდე




გრაფიკი N4


თბილისის განკთავორისი სავალუტო ბირჟაზე აშშ დოლარის ვაჭრობის 1998 წლის შედეგები



აშშ დოლარის ლართან მიმართებაში გაცვლითი კურსის დინამიკა



ლარის გერმანულ მარკასთან მიმართებაში ოფიციალური გაცვლითი კურსის დინამიკა



ლარის რუსულ რუბლთან მიმართებაში ოფიციალური გაცვლითი კურსის დინამიკა

